სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

დიდი თამაში კავკასიის რეგიონში, გლობალური და რეგიონალური ძალები, მათი ინტერესები და მოქმედების სტრატეგია

GREAT PLAY IN THE CAUCASUS REGION, GLOBAL AND REGIONAL FORCES, THEIR INTERESTS AND STRATEGY OF ACTION

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული

COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

დიდი თამაში კავკასიის რეგიონში, გლობალური და რეგიონალური ძალები, მათი ინტერესები და მოქმედების სტრატეგია

GREAT PLAY IN THE CAUCASUS REGION, GLOBAL AND REGIONAL FORCES, THEIR INTERESTS AND STRATEGY OF ACTION

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

სარჩევი

„კავკასიური მოზაიკა, ალყაში მოქცეული ბასტიონი“
ლევან ანთია _ _ _

CONTENT

"CAUCASIAN MOSAIC, BESIEGED BASTION"
LEVAN ANTIA _ _ _

„კავკასიური მოზაიკა, ალყაში მოქცეული ბასტიონი“

“CAUCASIAN MOSAIC, BESIEGED BASTION”

ლევან ანთია
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და
საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

LEVAN ANTIA
DOCTOR OF INTERNATIONAL RELATIONS
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
THE FACULTY OF LAW AND INTERNATIONAL RELATIONS

თბილისი
TBILISI
2021

აბსტრაქტი

თანამედროვე კვლევებში რუსეთის ფედერაცია წარმოადგენს „კონტინენტალური იმპერიის“ საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრეს. უდავოა ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის დაშლამ ძირეულად შეცვალა მსოფლიო გეოპოლიტიკური მდგომარეობა და მსოფლიო პოლიტიკური რუკა. ბოლო დროის მოვლენები გვაჩვენებს, რომ საერთაშორისო კავშირების ძიებასა და დამყარებაში დიდ მეზობელ და არამეზობელ ქვეყნებთან რუსეთის ფედერაცია უქმნის პრობლემებს თავის ყოფილ რესპუბლიკებს, როგორიცაა საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, მოლდოვა. ასევე აგრესიული ტონით აცხადებს, რომ ყახაზეთის რესპუბლიკამ მიითვისა რუსეთის ფედერაციის მიწები.

რუსეთის მთავარი მიზანია ყველა დაარწმუნოს იმაში, რომ მისგან წამოსულ აგრესიაში ის არაფერ შუაშია, რომ ის მხოლოდ „თავს იცავს“ და თავად მსხვერპლს აკისრებს სრულ პასუხისმგებლობას მომხდარზე, როგორც ეს მოხდა საქართველოს მიმართებაში, უკრაინის, მოლდოვის, ესტონეთის ლატვიისა თუ ლიეტუვაში.

საკვანძო სიტყვები:
გეოპოლიტიკა, რუსეთი, კონფლიქტები, ენერგორესურსები, გლობალური პოლიტიკა, ტრანზიტი, უსაფრთხოება.

ABSTRACT

TheRussianFederationstillconsiderstheformerSovietrepublicsasitsspheresofinfluence, whereonlyRussianpolicyshoulddominate.He believes that the former republics are vital territories for him and not the independent republics that have been informed of his priorities and path of development. Particularly aggressive perceives any democratic regime in its neighborhood.

According to Russia's policy, the former republics are a buffer zone for him from external threats and any foreign interference, be it political or humanitarian, he perceives as an act of aggression against him and the longing of the former Soviet republics for Europe is inadmissible for him. The South Caucasus is a buffer zone for it against Iran and Turkey, while Ukraine and Moldova are from Western Europe.

KEYWORDS:
Geopolitics, Russia, Conflicts, Energy, Global Politics, Transit, Security.

შესავალი

საქართველო წარმოადგენს შეზღუდული რესურსების მქონე ქვეყანას, მაგრამ ის ამავდროულად იმყოფება გეოგრაფიულად მნიშვნელოვან ადგილზე, ვინაიდან საქართველოზე გადის მნიშვნელოვანი სატრანზიტო არტერია შავ ზღვაზე არსებული პორტებით, რომელიც უმოკლესი გზით აკავშირებს ცენტრალურ აზიას ევროპასთან. ასევე, რაც მნიშვნელოვნად საყურადღებოა, საქართველო ესაზღვრება კავკასიის ყველა სახელმწიფოს და რუსეთის ფედერაციის ყველა ფედერალურ სუბიექტს, რაც თავისთავად ზრდის საქართველოს მნიშვნელობას რეგიონში.

საქართველო მთელი ისტორიის განმალობაში მუდმივი წნეხის ქვეშ იმყოფებოდა თავისი დიდი მეზობლების მხრიდან, ხოლო ბოლო დროს რუსეთის მხრიდან განიცდის პოლიტიკურ და სამხედრო ზეწოლას. აქედან გამომდინარე, საქართველო ყველანაირად ცდილობს კეთილმეზობლური ურთიერთობების შენარჩუნებას აზერბაიჯანთან, სომხეთთან და თურქეთთან. ასევე მუდმივ მჭიდრო კავშირშია შეერთებულ შტატებთან, ვინაიდან აშშ-ს დაინტერესება რეგიონის მიმართ საკმაოდ მაღალია. თუმცა, მიუხედავად დასავლეთის მხარდაჭერის ყველა ძალისხმევისა, საქართველოს უჭირს სუვერენიტეტისა და სამხედრო-პოლიტიკური ბალანსის შენარჩუნება რეგიონში, ისევე, როგორც თავისი ტერიტორიული პრობლემების მოგვარება იმ პირობებში, როდესაც საქართველოს სუვერენიტეტს ემუქრება ისეთი დიდი ქვეყანა, როგორიც არის რუსეთის ფედერაცია.

ძირითადი ნაწილი

სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკური როლი მართლაც, უნიკალურია, როგორც მისი პოტენციალიდან, ასევე მისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე. კავკასია ესაზღვრება ე.წ დიდ ახლო აღმოსავლეთის რეგიონს, რომლის მოდერნიზაცია და რეფორმები, რიგი მიზეზების გამო, დღეს მსოფლიო თანამეგობრობის ერთ-ერთი მთავარი და ურთულესი ამოცანაა. ეს არის რეგიონი, სადაც მუდმივი კონფლიქტები მძვინვარებს და სულ უფრო და უფრო ძლიერ ზეწოლას ახდენს კავკასიის რეგიონზე. ხოლო სამხრეთ კავკასია განიხილება იმ რეგიონად, რომელიც მიიწევს დასავლური ცივილიზაციისკენ და ზოგადად, ლოიალურია გატარებული დასავლური პოლიტიკის მიერ.

აგრესიამ რუსეთის მხრიდან იმატა განსაკუთრებით 1999 წელს, პუტინის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, რამაც მძლავრი იმპულსი მისცა მის გუნდს, რომელიც მეტ წილად დაკომპლექტებული იყო სახელმწიფო სპეცსამსახურების თანამშრომლებისა და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებით, ხალხით, რომლებიც თავიდანვე განწყობილი იყო დაპირისპირება გამოეწვია მეზობელ ქვეყნებთან და არ ეძებდნენ კონსტრუქციულ ურთიერთობებს, პარტნიორულ თანამშრომლობას. მათ სჭირდებათ მხოლოდ სივრცე, სადაც ისინი შეძლებდნენ მოახდინათ თავისი გავლენების გაფართოების რეალიზაცია სხვა ქვეყნების ხარჯზე. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ხდებოდა შეუძლებელი რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება და მშვიდობიანი თანაცხოვრება. როგორც თავის გამოსვლაში აღნიშნა პუტინის ყოფილმა მრჩეველმა ეკონომიკის საკითხებში ანდრეი ილარიონოვნა, პუტინი საქართველოს წინააღმდეგ ომის სამზადისს მოსვლის დღიდანვე შეუდგა.[1]

რუსეთის ფედერაციის მე-2 და „უვადო“ პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა საბჭოთა კავშირის დაშლას უდიდესი ისტორიული კატასტროფა უწოდა თავის ინტერვიუში, რაც ახსნა იმით, რომ 25 მილიონი რუსი დარჩა რუსეთის ფედერაციის მიღმა და რუსეთის ვალი იყო დაეცვა ეთნიკურად რუსები და რუსეთის მოქალაქეები ნებისმიერ ადგილზე (ნებისმიერი ადგილი, რა თქმა უნდა, იგულისხმება ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები). მან ასევე აღნიშნა, რომ დაირღვა ერთიანი ეკონომიკური სივრცე და რუსეთის ენერგოუსაფრთხოებას შეექმნა პრობლემები, და აქედან გამომდინარე, რუსეთს მყისიერი რეაგირება უნდა მოეხდინა, რაც თავისთავად გულისხმობს პრევენციულ ქმედებებს რუსეთის მხრიდან, რაც გამოიხატა მის აგრესიაში მეზობლების მიმართ, ვინც კი გაბედა და აიღო განვითარების დასავლური კურსი [2].

ასევე, ვლადიმერ პუტინმა თავის გამოსვლაში, რომელიც მიძღვნილი იყო ყირიმის ანექსიის დღისადმი მან წარმოთქვა სიტყვა, სადაც ისაუბრა რუსეთის ფედერაციის სამომავლო აგრესიულ გეგმებზე ყველა მეზობელ ქვეყანასთან მიმართებაში. ამასთან, ის შეეხო ბალტიისპირეთის სახელმწიფოებს - ლატვიას ლიეტუვასა და ესტონეთს, სადაც დაინახა რუსეთისთვის ენერგოუსაფრთხოების კუთხით დიდი პრობლემები. [3]

მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში სამხრეთ კავკასია, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტრანსსასაზღვრო

რეგიონია, რომელსაც მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული პოზიცია გააჩნია და მოსკოვის სურვილის საწინააღმდეგოდ, ბაქო-ნოვოროსიისკის ნავთობსადენი აზერბაიჯანის მიერ მხოლოდ ნაწილობრივ გამოიყენებოდა, რაც ასევე გამაღიზიანებელი ფაქტორი იყო რუსეთისთვის, ხოლო ძირითადი აზერბაიჯანული ნავთობი 1999 წლიდან ალტერნატიული ბაქო-სუფსის მარშრუტით საქართველოზე გატარებამ, რომელმაც საკმაოდ დიდი ფინანსური და პოლიტიკური ზარალი მიაყენა რუსეთის ფედერაციას. ამასთანავე დაიბადა იდეა, რომ კასპიის ნავთობის ტრანსპორტირება ასევე რუსეთის გვერდის ავლით უნდა მომხდარიყო, ბაქო-სუფსის-ოდესა-ბროდი-ევროპა („ევრაზიის ნავთობის ტრანსპორტის კორიდორის" შექმნის პროექტით).[4]

რუსეთისთვის არანაკლებ მტკივნეული იყო, მაშტაბური სატრანსპორტო ენერგო დერეფნის პროექტში აზერბაიჯანისა და საქართველოს მონაწილეობა, რომელსაც აქტიურად ლობირებდა შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი.[5]

აქედან გამომდინარე, კავკასიის რეგიონი დღესაც რთული პოლიტიკური მოვლენების ასპარეზად რჩება, სადაც რუსეთის ფედერაცია მყისიერად არის წარმოდგენილი თავისი ენერგეტიკული, ეროვნული და სტრატეგიული უსაფრთხოების ინტერესებით, რაც კიდევ უფრო ართულებს სიტუაციას რეგიონში, ვინაიდან რუსეთის ფედერაცია რეგიონს გლობალურ მნიშვნელობას ანიჭებს და ნებისმიერ სხვა ქვეყნის მოქმედს საფრთხედ აღიქვამს.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა რუსეთს დამატებითი ბერკეტი მისცა რეგიონში საკუთარი გავლენის გასამყარებლად, რამაც საქართველოს ორი რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარება გამოიწვია. ამ ქმედებამ რუსეთს საშუალება მისცა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში თავისი სამხედრო ბაზები გაეძლიერებინა, სამხედროების რიცხვი მკვეთრად გაეზარდა, რაც საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ საქართველოს, არამედ რეგიონის განვითარებასა და უშიშროებას.

რეგიონის მნიშვნელობა

ბევრი ავტორიტეტული პოლიტიკოსი და მკვლევარი ყურადღებას აქცევს ევრაზიის დერეფნის სტრატეგიულ მნიშვნელობას. კავკასიის ქვეყნების ლიდერები, აცნობიერებენ თავიანთი ქვეყნების გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან მხარეებს და ცდილობენ მოცემული ვითარება გამოიყენონ ეროვნული დამოუკიდებლობისა და უშიშროების გასამყარებლად, ასევე შეიმუშაონ ახალი ეკონომიკური საკითხები და მოირგონ ახალი როლი თანამედროვე სამყაროს საერთაშორისო არენაზე. ამ შესაძლებლობების რეალიზაციის საშუალებებს ზოგიერთი ანალიტიკოსი, კავკასიის ქვეყნების ლიდერების შესაძლებლობებიდან გამომდინარე ხედავს, ვინაიდან ნებისმიერი საერთაშორისო პროექტის განხორციელება დამოკიდებულია რუსეთზე, აშშ-ზე, ევროკავშირზე, თურქეთზე, ირანსა და ჩინეთზე. თუ ამ მეზობლების პოლიტიკაში ჰეგემონიური ტენდენციები გაიმარჯვებენ, მაშინ რეგიონი გახდება კონფლიქტის მიზეზი, რაც უფრო მეტად გაართულებს არსებულ პრობლემებს. აზერბაიჯანს გააჩნია ერთი დიდი უპირატესობა სხვა ახლად ჩამოყალიბებულ ქვეყნებთან შედარებით. ეს არის ნავთობისა და გაზის რესურსები, რომელიც მთელი მსოფლიოს ბიზნესმენებისა და პოლიტიკოსების ყურადღებას იპყრობს. ეს მოცემულობა აზერბაიჯანის სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ ქვეყნად ხდის ევრაზიის დერეფანში და აქცევს მას რუსეთის ფედერაციის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ.

ყარაბაღის კონფლიქტი

რა თქმა უნდა, რუსეთის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა სომხეთში განხორციელებული ხავერდოვანი რევოლუცია, რის შედეგადაც მთავრობაში მოვიდა დასავლეთზე ორიენტირებული პოლიტიკოსთა ჯგუფი ნიკოლო პაშინიანის ლიდერობით, რაც რუსეთისთვის საკმარისი იყო დაეწყო მზადება პაშინიანის წინააღმდეგ, რათა მოეხდინა მისი დისკრედიტაცია საზოგადოებაში შემდგომში მისი ხელისუფლებიდან ჩამოცილების მიზნით. ეს გამოიხატებოდა როგორც მის წინააღმდეგ აგორებული საინფორმაციო შეტევით, ასევე სიტუაცია დაიძაბა მთიანი ყარაბაღის ირგვლივ, რაც გადაიზარდა ფართომასშტაბიან ომში.

ამ კონფლიქტში რუსეთმა მოჩვენებით ნეიტრალური პოზიცია დაიკავა, თუმცა ორივე მხარეს ინტენსიურად ამარაგებდა შეიარაღებით, მიუხედავად იმისა, რომ სომხეთი წარმოადგენს რუსეთისთვის სამხედრო და პოლიტიკურ პარტნიორს, აზერბაიჯანის არმიის 70% შეიარაღება მოდის რუსეთიდან. არც კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრებმა სადაც რუსეთს უკავია წამყვანი პოზიცია გამოხატეს მზაობა მხარი დაეჭირათ სომხეთისთვის თუნდაც განცხადების დონეზე. ამით რუსეთმა საქართველოს მსგავსად სომხეთიც დასაჯა მისი დასავლური კურსის გამო. სომხეთის სრული კრახის შემდეგ, რუსეთი კვლავ

გამოჩნდა მედიატორის როლში სამხრეთ კავკასიაში და ამჯერად მან თავისი ე.წ სამშვიდობო სამხედრო კონტინგენტი განალაგა უშუალოდ აზერბაიჯანის სუვერენულ ტერიტორიაზე ყარაბაღის რეგიონში, რაც დამატებით საფრთხეს უქმნის რეგიონის დემოკრატიულ განვითარებასა და უსაფრთხოებას. რუსეთის ამგვარი „დახმარება“ სომხეთსა და აზერბაიჯანს პოლიტიკურად საკმაოდ ძვირი დაუჯდება. მან ამჯერადაც დაანახა მსოფლიოს, თუ ვინ არის რეალური „პატრონი“ რეგიონში.

ირანი, ისევე, როგორც რუსეთი, ცდილობს, შეაჩეროს და მინიმუმადე დაიყვანოს დასავლეთისა და თურქეთის გავლენა სამხრეთ კავკასიის რეგიონში, ვინაიდან ისინი თვლიან, რომ ეს საფრთხეს უქმნის მათ რეჟიმებს და ცდილობენ შეინარჩუნონ მაქსიმალური კონტროლი კასპიის ზღვის აუზში არსებული, უზარმაზარი ენერგო მარაგების მიმართ და ენერგო მარშუტებზე, რომელიც გადის საქართველოს გავლით.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ირანის გატარებული პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში, არ უქმნის საფრთხეს თავად რუსეთის ფედერაციას და ირანი ყველანაირად ცდილობს, ხელი შეუწყოს რუსეთს, თავისი პოლიტიკის გატარებაში და თავად იმოქმედოს რუსეთის საფარქვეშ. ორივე ცდილობს ყველანაირად შეაფერხოს აშშ-ს ზეგავლენის გაძლიერება რეგიონში, თუმცა არც ამერიკა და ევროპული ქვეყნები არიან უსაქმოდ, ისინი მაქსიმალურად ცდილობენ, შემოიყვანონ და გააძლიერონ რეგიონში საერთაშორისო ორგანიზაციები, რითაც აძლიერებენ „აბრეშუმის გზის“ სტრატეგიას. საქართველოსთან 1999 წლიდან მიმდინარეობს მჭიდრო თანამშრომლობა, როგორც სამხედრო გზით, ასევე პოლიტიკურ-ეკონომიკურ ჭრილში, ე.წ. „აღმოსავლეთ პარტნიორობა“. ასევე, ბოლო დროს შემჩნევა თურქეთის მზარდი როლი რეგიონში და ეს მკაფიოდ გამოიკვეთა 2020 წლის აზერბაიჯან სომხეთის ომში, როგორც პოლიტიკური მხარდამჭერით გლობალურ არენაზე ასევე სამხედრო კუთხით. ასევე დიდ ყურადღებას იწვევს მისი გაფართოება ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, რაც თავისთავად საფრთხეს უქმნის რუსეთს და ირანის ინტერესებს.

დასკვნა, მიგნებები რეკომენდაციები

მინდა ასევე აღვნიშნო, რომ ვიდრე რუსეთი დარწმუნებული იქნება იმაში, რომ დასავლური სამყარო იქნება ნაკლებად აქტიური სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე პრობლემების მიმართ, ან ნაკლებად დაინტერესებული და არ აპირებს ქმედითი ნაბიჯების გადადგმას და აქტიურად ჩაერთოს პოლიტიკურ მოვლენებში, რუსეთი უფრო და უფრო გაიმყარებს თავის პოზიციებს სამხრეთ კავკასიის რეგიონში და დაასუსტებს ამ ქვეყნების პოზიციებს გლობალურ არენაზე, შემოიტანს მეტ დესტაბილიზაციას და შეეცდება აგრესიული პროცესების ფორსირებას, რათა წარმოაჩინოს, როგორც არასანდო რეგიონი, სუსტი და არაპროგნოზირებადი, რთული შიდა პოლიტიკური ვითარებით, რომლებიც შორს არიან დემოკრატიული ღირებულებებისგან, თუმცა, რესპუბლიკელების მოსვლის შემდეგ ვითარება შეიძლება რადიკალურად შეიცვალოს და მიდგომები რეგიონის მიმართ აშშ-ს მხრიდან და ევროკავშირის ქვეყნების გააქტიურებაც გამოიწვიოს.

როგორც ასმუსი აღნიშნავს, და არ შემიძლია არ დავეთანხმო, არის ის, რომ საქართველოს, „საშუალო სტატისტიკური“ ევროპელი არ იცნობს და მათ ეს ეპატიებათ, თუმცა, საკმარისია ჩამოვიდეს საქართველოში და ის საჭიროებაზე მეტს გაიგებს, თუ რის გადატანა მოუხდა ამ პატარა უძველეს ქვეყანას [6].

მსოფლიოში მრავალი გადაუჭრელი კონფლიქტია. იგივე კვიპროსი, რომელიც ევროკავშირის წევრია. ამის მიუხედავად, კუნძულის გამოყოფის პრობლემა ათწლეულების განმავლობაში არსებობს. ან გაიხსენეთ პაკისტანსა და ინდოეთს შორის დაყოფილი ქაშმირი, ან იგივე ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი. ფაქტია, რომ თუ კონფლიქტის მხარეებს არ სურთ ერთმანეთს გაუგონ და შეთანხმდნენ ერთმანეთში, მაშინ ამ დროს საერთაშორისო ინსტიტუტები მხოლოდ დამკვირვებლების როლში რჩებიან და ამ შემთხვევაში მათი მთავარი ამოცანაა შეინარჩუნონ მშვიდობა, თუნდაც დროებით, მაგრამ, რაც შეიძლება დიდხანს. ჩვენ ამას ვხედავთ მთიან ყარაბაღში [7].

თომას დე ვაალის სიტყვები და ვლადიმერ პუტინის გამოთქმა იმაზე, რომ ორივე მხარეს თავისი სიმართლე გააჩნია, რომ გავაანალიზოთ, მივიღებთ მარტივ მოცემულობას სიმართლე ძლიერის მხარესაა, ხოლო დანარჩენი არ წარმოადგენს მნიშვნელობას.[8]

კრემლს არ სჭირდება რაიმე პროვოკაცია, ის აკეთებს იმას, რაც სურს და შემდეგ ცდილობს, სხვები დაადანაშაულოს, ამიტომაც გვაქვს განგრძობადი ყალბი ნარატივი. რეალურად, ჯობს იყო ძლიერი და საკუთარ თავზე აიღო ინიციატივა, კრემლი მხოლოდ ძალას სცემს პატივს “, - აღნიშნავს ბენ ჰოჯესი [9].

ჰოჯესის სიტყვების თანახმად, (რაშიც სრულიად ვეთანხმები) რუსეთის გეოსტრატეგია უცვლელია და ის მოიცავს მეზობელი ტერიტორიების ოკუპაციას, რათა თავის ირგვლივ შექმნას ე,წ უსაფრთხოების ზონები

პოლიტიკური და სამხედრო ძალის გამოყენებით. რუსეთისთვის აპრიორი ყველა მტერია, ვინც კი აირჩევს განვითარებისა და დემოკრატიის გზას, ასე მოხდა 1991 - 2008 წელს, როცა ის შემოიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე, 1992 წელს მოლდოვეთში, 2014 წელს მეზობელ უკრაინაში, რუსეთი ძალის გამოყენებით ცდილობს არ გაუშვას თავისი გავლენებიდან მეზობელი ქვეყნები.

აქედან გამომდინარე, საქართველოსთვის ერთადერთი მტრის შემაკავებელი ფაქტორია მისი საგარეო პოლიტიკა. მჭიდროდ ითანამშრომლოს ჩრდილო ატლანტიკურ პოლიტიკურ სამხედრო ალიანსთან და მაქსიმალურად შეეცადოს წარმოაჩინოს თავი, როგორს სანდო და საჭირო პარტნიორად ურთულეს რეგიონში სადაც ასევე გადის დასავლეთის უსაფრთხოება.

უნდა შეიქმნას შავი ზღვის უსაფრთხოების სარტყელი - უკრაინა, საქართველო, თურქეთი, მოლდავეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ვინაიდან შავ ზღვაზე გადის რეგიონის უსაფრთხოება, ეკონომიკური დამოუკიდებლობა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გზები და ასევე წარმოადგენს რუსეთისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საზღვაო დერეფანს, ამას ცხადყოფს მისი მრავალსაუკუნოვანი მცდელობა მაქსიმალურად გააკონტროლოს შავი ზღვისკენ გასასვლელი, რაზეც ნათლად მოწმობს სსრკ-ს მიერ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დაეუფლებოდა აღმოსავლეთ ევროპას.

როგორც ძველი სიბრძნე ქადაგებს, „აგრესორს აჩერებს არა კეთილი სიტყვა და ჩარჩო ხელშეკრულებები, არამედ ორგანიზებული შეიარაღებული წინააღმდეგობა"

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://echo.msk.ru/blog/aillar/710462-echo/ ЭхоМосквы, А., Илларйонов, Августовская 2008 г. российско-грузинскаявойна: Ктоначалпервым? 2010.14.09. გადამოწმებულია 2021 23.06.2021
2. https://www.facebook.com/TopIzTopNews/videos/191847209051686 ვ., პუტინის ინტერვიუ
3. https://www.youtube.com/watch?v=fXS_-EA1tMA . Putin's speech. Big festive concert in honor of the 7th anniversary of the reunification of Crimea with the Russian Federation გადამოწმებულია 19.03.2021.
4. https://www.energycharter.org/fileadmin/DocumentsMedia/Thematic/Oil_Pipeline_Tariffs_2007_ru.pdf от скважины к рынку, Copyright Первое издание, 2007-31. გადამოწმებულია 24.06.202
5. РиаНовости.Нефтепровод Баку-Тбилиси-Джейхан им. Г.,Алиева, Справка Заказ Издательство 2085. "Азербайджан" 20014.
6. რონალდ დ. , ასმუსი, „მცირე ომი, რომელმაც მსოფლიოს შეძრა" 2010
7. «Проиграла не только Армения». Томас де Ваал – о судьбе Нагорного Карабаха https://bit.ly/369PazZ
8. Путин заявил, что в ситуации с Карабахом у каждого своя правда https://ria.ru/20201029/karabakh-1582123489.html გადამოწმებულია 23.06.2021
9. „ტიფლის ნიუსი" ბენ ჰოჯესი04 დეკემბერი 2020.http://tiflisnews.ge/ბენ-ჰოჯესი-შავი-ზღვის-რეგ/გადამოწმებულია 23.06.2021.

რეგიონში განვითარებული გეოპოლიტიკური ცვლილებები ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ და საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის პერსპექტივები

GEOPOLITICAL CHANGES IN THE REGION AFTER THE SECOND WAR OF KARABAKH AND TRANSIT POTENTIAL PROSPECTS OF GEORGIA

შადიმან ბიწაძე
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების ასოცირებული პროფესორი

SHADIMAN BITSADZE
ASSOCIATE PROFESSOR OF THE MASTER'S DEGREE OF SECURITY STUDIES OF DAVID AGMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

თბილისი
TBILISI
2021

აბსტრაქტი

2020 წლის ნოემბრის დასაწყისში აზერბაიჯანის შეიარაღებულმა ძალებმა 44 -დღიანი ომის შედეგად საბოლოოდ გაანთავისუფლეს მთიანი ყარაბაღის ტერიტორია და მასთან ერთად მიმდებარე შვიდი რაიონი: აგდამი, ფიზული, ჯაბრაილი, ზანგეზური, ლაჩინი, გუბადლი და ქელბაჯარა. აზერბაიჯანის არმიის მიერ აზერბაიჯანის ისტორიულად კუთვნილი მიწების განთავისუფლებამ ერთხელ და სამუდამოდ გამოუთხარა ძირი XIX ს-ის ბოლოს სომეხი ნაციონალისტების მიერ შექმნილ პოლიტიკურ მითოლოგიას ორი ათასი წლის წინ არსებული „დიდი სომხეთის“ შესახებ, რომლის მეშვეობითაც სომხური პოლიტიკური ელიტა სომხურ სამოციქულო ეკლესიასთან ერთად საუკუნის განმავლობაში კვებავდა საკუთარი ერის პატივმოყვარეობას, რამაც საბოლოო ჯამში სომხეთის სახელმწიფოებრიობა სრულ კოლაფსამდე მიიყვანა.

2020 წლის 10 ნოემბერს სამმხრივი (რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი) შეთანხმების შედეგად 30-წლიანი კონფლიქტი საბოლოოდ დასრულდა. 2011 წლის 11 იანვარს მოსკოვში გაიმართა შეთანხმების მონაწილე ქვეყნების ლიდერთა შეხვედრა. შეხვედრა მიზნად ისახავდა 10 ნოემბრის შეთანხმების მე-9 პუნქტის რეალიზაციის საკითხს. აღნიშნული პუნქტის თანახმად გადაწყვეტილია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის აღდგენა აზერბაიჯანის ტერიტორიიდან ზანგეზურის (სომხურად - სიუნიქი) გავლით ნახიჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკამდე თურქეთის სარკინიგზო ქსელთან დაკავშირების პერსპექტივით. სატრანსპორტო კომუნიკაციების გახსნა საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებას რეგიონში და უარყოფითად არ აისახება საქართველოს,როგორც სატრანზიტო ქვეყნის პოტენციალსა და იმიჯზე.

საკვანძო სიტყვები:
სატრანზიტო პოტენციალი, პოლიტიკური მითოლოგია, პოლიტიკური ელიტები.

ABSTRACT

As a result of the 44-day war in early November 2020, the Azerbaijani Armed Forces finally liberated the territory of Nagorno-Karabakh and its seven adjacent districts: Agdam, Fizuli, Jabrayil, Zangezur, Lachin, Qubadli, and Kelbajar. The liberation of the lands historically owned by Azerbaijan by the Azerbaijani army once and for all brought to light the political mythology created by Armenian nationalists in the late 19th century about the “Greater Armenia” that existed two thousand years ago, through which the Armenian political elite, along with the Armenian Apostolic Church, nurtured the ambition of their own nation for centuries, which ultimately led to the absolute collapse of Armenian statehood.

On November 10, 2020, the 30-year conflict finally ended as a result of a tripartite agreement (Russia, Azerbaijan, Armenia). A meeting of the leaders of the member states of the agreement was held in Moscow on January 11, 2011. The meeting focused on the implementation of Article 9 of the November 10 agreement. According to the mentioned article, it was decided to restore the transport infrastructure from the territory of Azerbaijan through Zangezur (Armenian - Syunik) to the Nakhichevani Autonomous Republic with the prospect of connecting to the Turkish railway network. The opening of transport communications will ultimately contribute to the strengthening of peace and stability in the region and will not negatively affect the potential and image of Georgia as a transit country.

KEYWORDS:
Tranzit potencial, Politikal mithologi, Political elites.

შესავალი

ყარაბაღის ომის დასრულებამ რადიკალურად შეცვალა სამხრეთ კავკასიაში გეოპოლიტიკური ვითარება. სამწუხაროდ, „ეუთოს“ ეგიდით შექმნილმა „მინსკის ჯგუფმა“ ვერ შეძლო ყარაბაღის კონფლიქტის მშიდობიანი გზით დარეგულირება. აზერბაიჯანმა საკუთარი ძალით აღადგინა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, რასაც სამწუხაროდ ადამიანთა დიდი მსხვერპლი მოჰყვა.

ყარაბაღის კონფლიქტმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ რეგიონში არსებული კონფლიქტები უნდა გადაწყდეს მხოლოდ მოლაპარაკებების გზით, სახელმწიფოთა შორის ტერიტორიული მთლიანობის აღიარებისა და საზღვრების ურღვეობის დაცვის პრინციპით.

ბრძოლა ზანგეზურისთვის XX ს-ის I ნახევარში

ზანგეზურისთვის ბრძოლა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის განსაკუთრებით გამწვავდა 1918-1919 წლებში, რასაც თავისი ახსნა აქვს - სწორედ ამ წლებში ჩნდება საერთაშორისო პოლიტიკაში ისეთი ფენომენი, როგორიცაა ე.წ „სომხური საკითხი,“ რომელმაც ერთგვარად წაახალისა კიდეც სომხეთის აგრესიული პოლიტიკა მეზობელი ქვეყნების მიმართ.

ზანგეზურის სტრატეგიულ მნიშვნელობას რომ ჩავწვდეთ, აუცილებელია გავაკეთოთ მოკლე ისტორიული ექსკურსი. 1918 წლის დასაწყისში „დაშნაკთა“ პარტიის საბრძოლო რაზმებმა ზანგეზურში გაანადგურეს ასოცი დასახლებული პუნქტი, დაიხოცა და დაიჭრა უამრავი ადგილობრივი აზერბაიჯანელი მოსახლეობა. 1919 წლის იანვრიდან ზანგეზურის მაზრა შუშის, ჯევანშირისა და ჯაბრაილის მაზრებთან ერთად აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შევიდა, რასაც სომეხი ნაციონალისტების ახალი თავდასხმები მოჰყვა. 1920 წლის აპრილში გენერალ დროს (დრასტამატ კანაიანი) მოთარეშე რაზმები აზერბაიჯანის სახედრო ძალებმა განდევნეს ზანგეზურიდან.

1920 წლის 28 აპრილს აზერბაიჯანის ხელისუფლებაში მოსულმა ბოლშევიკურმა მთავრობამ მემკვიდრეობით მიიღო ტერიტორიული კონფლიქტი „დაშნაკურ სომხეთთან“. მხარეებმა ულტიმატუმის შემცველი რამდენიმე ნოტაც კი გაცვალეს ერთმანეთში ზანგეზურისა და ყარაბაღის ფლობის თაობაზე. აზერაიჯანის ხელისუფლება ნ.ნარიმანოვის მეთაურობით მალე ჩამოცილებულ იქნა სომხეთთან უშუალო მოლაპარაკებას. ორ მეზობელ ქვეყანას შორის ტერიტორიული კონფლიქტის „მოგვარება“ მოხდა საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახ.კომის გ.ჩიჩერინისა და ბოლშევიკური პარტიის კავ.ბიუროს თავჯდომარის ს.ორჯონიკიძის დირექტივების გათვალისწინებით.

ს.ორჯონიკიძე მხარს უჭერდა ზანგეზურისა და ყარაბაღის შენარჩუნებას აზერბაიჯანის შემადგენლობაში ავტონომიის უფლებით. ჩიჩერინი სრულიად განსხვავებულ პოზიციებზე იდგა. ითვალისწინებდა რა გართულებულ პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხებს თურქეთთან, იგი არ აპირებდა სომხეთის გაზრდილი მადის დაკმაყოფილებას. „დაშნაკები“ აცნობიერებდნენ რა ზანგეზურის სტრატეგიულ მნიშვნელობას ზანგეზურს დროს და ნჟდეს (გარეგინ ტერ - არუთინიანი) რაზმები შეუსიეს, რომლებსაც მოგვიანებით ამაზასპისა (ამაზასპ სრვანტციანი) და ანდრანიკის (ანდრანიკ ოზანიანი, „ზანგეზურის ლომად“ წოდებული) რაზმებიც დაემატა. ზანგეზურში „სიუნიქის“, ცოტა მოგვიანებით კი „მთიანი სომხეთის რესპუბლიკა“ შეიქმნა.

1920 წლის აგვისტოს ბოლოს წითელი არმიის ნაწილებმა ჩატარებული ოპერაციის შედეგად სომეხ ნაციონალისტთა მოთარეშე რაზმები გააძევეს ზანგეზურიდან, რომლებმაც ორდუბადის მაზრასა და შარურ-დარალგიოზის ტერიტორიას შეაფარეს თავი. წითელი არმია ნახჭევანში შევიდა და აქ მყარადაც მოიკიდა ფეხი, რამაც ერთგვარად დააჩქარა კიდეც სომხეთის სოვეტიზაციის პროცესი.

მოსკოვის გადაწყვეტილებით თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის უნდა შექმნილიყო „სომხური“ ბუფერი - ნახიჭევანი და ზანგეზურის მაზრა საბჭოთა სომხეთს გადაეცა. მოსკოვის მიზანი ნათელი იყო. თურქეთსა და აზერბაიჯანს უშუალო საზღვარი ერთმანეთთან არ უნდა ჰქონოდათ. აღნიშნული გადაწყვეტილება განმტკიცდა რსფსრ - ისა და სომხეთის სსრ-ს 1920 წლის 2 დეკმებრის შეთანხმების შესაბამისად.

1921 წლის 16 მარტს საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის მოსკოვში გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ნახჭევანი ავტონომიის უფლებით გასაბჭოებული აზერბაიჯანის შემადგენლობაში დარჩა, ზანგეზურის მაზრა კი საბჭოთა სომხეთის შემადგენლობაში შევიდა მიუხედავად აზერბაიჯანის ხელისუფლების დიდი წინააღმდეგობისა.

1921 წლის 13 ოქტომბერს ყარსში მოსკოვის ხელშეკრულებით გადაწყვეტილი საზღვრები საბჭოთა რუსეთმა იძულების წესით „დაადასტურებინა“ გასაბჭოებულ აზერბაიჯანსა და სომხეთს (საქართველოსთან

ერთად!), რაც მოგვიანებითრუსეთის კომუნისტური (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს მიერ იქნა საბოლოოდ გაფორმებული. ყოფილი ელიზავეტოპოლის გუბერნიის კუთვნილებაში მყოფი ზანგეზურის მაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი, სადაც მაცხოვრებელთა უმრავლესობას აზერბაიჯანელები შეადგენდნენ სომხეთს გადაეცა.-კრემლს არ სჭირდებოდა, რომ ენობრივად მონათესავე თურქეთსა და აზერბაიჯანს საერთო საზღვარი ჰქონოდათ. ამიტომაც, სომხების მიერ დაკავებული ზანგეზური (სიუნიქი), რომელიც სოლივითაა ჩარჭობილი აზერბაიჯანსა და მის ექსკლავ ნახიჭევანს შორის სომხეთს დარჩა [1, 186].

ზანგეზურის გადაცემით, იმის გარდა, რომ ნახიჭევანის იზოლირება მოახდა აზერბაიჯანის ტერიტორიიდან, სომხეთმა უშუალო საზღვარი მიიღო ირანთან, რაც გეოპოლიტიკური გაგებით სამხრეთ კავკასიის რეგიონში „თურქული სარტყელის“ გაწყვეტას ნიშნავდა . ეს პირდაპირ ჯდებოდა მოსკოვის ინტერესებში.

1923 წლის 7 ივლისს აზერბაიჯანის სსრ-ის შემადგენლობაში ახალი ადმინისტრაციული ერთეულის მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის შექმნამ, სადაც დროთა განმავლობაში სომხური მოსახლეობის რაოდენობის ზრდამ მნიშვნელოვნად შეცვალა დემოგრაფიული მდგომარეობა, აზერბაიჯანის ინტერესების საწინააღმდეგოდ, საბოლოოდ ჩადო ნელი მოქმედების ნაღმი ორ მეზობელ ერს შორის, რომელმაც 1988 წელს სისხლისმღვრელ კონფლიქტს დაუდო სათავე.

1992 წლის 24 მარტს „ეუთოს“ -ს ეგიდით შეიქმნა „მინსკის საკონტაქტო ჯგუფი“, რომელიც 1992 წლის დეკემბრიდან ჩაერთო აღნიშნული კონფლიქტის მოგვარებაში. თანათავჯდომარეებად დამტკიცდა რუსეთი, საფრანგეთი, აშშ და ფინეთი. 1994 წლის 12 მაისს ბიშკეკში (ყირგიზეთი) რუსეთის შუამდგომლობით გაფორმდა სამმხრივი შეთანხმება (აზერბაიჯანი, სომხეთი, მთიანი ყარაბაღი) ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

აზერბაიჯანი - რეგიონის სატრანსპორტო - საკომუნიკაციო დერეფნის მთავარი ჰაბი

საერთაშორისო ურთიერთობებში პოლიტიკის უმთავრეს ფაქტორს ეკონომიკური სიძლიერე წარმოადგენს, რადგან ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნები კარნახობენ პოლიტიკური თამაშის წესებს სუსტ ქვეყნებს [2, 224]. ეკონომიკური პარამეტრებით აზერბაიჯანის უპირატესობა სომხეთთან შედარებით კოლოსალურია. აზერბაიჯანი, გარდა იმისა, რომ ფლობს ბუნებრივი რესურსების დიდ მარაგს, სამხრეთ კავკასიაში წარმოადგენს მნიშვნელოვან სატრანსპორტო ჰაბს - მის ტერიტორიაზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის „ჩრდილოეთ-სამხრეთისა“ და „აღმოსავლეთ-დასავლეთის“ მაგისტრალები. აღსანიშნავია, რომ რეგიონში მხოლოდ აზერბაიჯანს შეუძლია საკუთარი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე წამყვანი როლი ითამაშოს რეგიონში სატრანპორტო პროექტებით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ინპლემენტაციის კუთხით. ამ მხრივ ზანგეზურის კორიდორი, რომელიც ბუნებრივად წარმოადგენს „აღმოსავლეთ-დასავლეთის“ მაგისტრალის ნაწილს, ამოქმედების შემთხვევაში დადებითად აისახება ქვეყნის შემოსავლებზე და მნიშვნელოვნად შეავსებს მის ბიუჯეტს.

პრეზიდენტმა ი.ალიევმა ზანგეზურის თაობაზე თავისი ჩანაფიქრი მკვეთრად გამოხატა სატელევიზიო გამოსვლის დროს მიმდინარე წლის 20 აპრილს: - „ზანგეზურის კორიდორის შექმნა წარმოადგენს ჩვენს ნაციონალურ, ისტორიულ და სამომავლო ინტერესებს. ახლაც და ომის დროსაც მე ვამბობდი, რომ ისინი (სომხები - შ.ბიწაძე) აუცილებლად ან კეთილი ნებით უნდა წაეთრიონ ჩვენი მიწიდან ან ძალით გავაძევებთ. ასეთი იქნება ზანგეზურის ბედი. აზერბაიჯანელი ხალხი აუცილებლად დაბრუნდება ზანგეზურში, რომელიც მას წაართვეს ასერთი წლის წინ. ზანგეზური აზერბაიჯანია, სომხეთის მხარე კარგად აცნობიერებს ზანგეზურის მომავალს - დროთა განმავლობაში ზანგეზურში მოხდება სომეხი მოსახლეობის შეცვლა აზერბაიჯანული ელემენტის გაძლიერების ფონზე და ე.წ „სიუნიქი“ საბოლოოდ დედა აზერბაიჯანს შეუერთდება. აღნიშნულ პროცესს ვერ შეაჩერებს ვერც „უძლეველი“ სომხური ლობიც. აზერბაიჯანულ დიპლომატიასთან ბრძოლაში სომხურმა ლობმა მარცხი განიცადა. საერთაშორისო პროექტები „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი“ და „სამხრეთ კავკასიის გაზის კორიდორი“ შემდგარი პროექტებია! სომხეთს გადარჩენის ერთადერთი შანსი დარჩა - უარი თქვას აგრესიულ პოლიტიკაზე და ჩაერთოს რეგიონალურ პროცესებში ან დარჩეს სრულ იზოლაციაში!“[3].

ყარაბაღის მეორე ომში, რომელიც 2020 წლის 27 სექტემბერს დაიწყო და 44 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, გარდამტეხ მომენტად ითვლება 8 ოქტომბერს ლელე-თეფეს (ჯაბრაილი) სიმაღლისთვის გამართულ ბრძოლაში სომხეთის არმიის კატასტროფული მარცხი (სომხებმა დაკარგეს 700 ჯარისკაცი!), რასაც ქალაქ ჰადრუტის დაკარგვა მოჰყვა 16 ოქტომბერს. ჰადრუტის აღების შემდეგ აზერბაიჯანის შეიარაღებულ ძალებს მიეცათ საშუალება გადაეკეტათ ე. წ. „ლაჩინის კორიდორი“ და განევითარებინათ შეტევა მთიანი ყარაბაღის მნიშვნელოვანი სტრატეგიული დანიშნულების მქონე ქალაქ შუშისაკენ. შეტევის პროცესში

აზერბაიჯანელი მეომრების მოტივაციას აორმაგებდა ის ფაქტიც, რომ ქალაქი შუშა, რომელსაც სრულიად სამართლიანად უწოდებენ „კავკასიის კონსერვატორიას“, ოდითგანვე წარმოადგენს აზერბაიჯანული კულტურის ცენტრს. შუშაში დაბადებულმა და გაზრდილმა დიდმა მუსიკოსებმა უზეირ გაჯიბეკოვმა, ფიკრეტ ამიროვმა, რაშიდ ბეიბუტოვმა, ნიიაზიმ და ბულბულმა საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი აზერბაიჯანულ ხელოვნებას [4. 222-223]. ქალაქზე კონტროლის დამყარების მიზნით მისი გეოგრაფიული ლანდშაფტიდან გამომდინარე, აზერბაიჯანის არმიის სპეციალური დანიშნულების ნაწილის მიერ განხორციელდა უნიკალური ოპერაცია, რომელიც ოქროს ასოებით ჩაიწერა აზერბაიჯანის სამხედრო ხელოვნების ისტორიაში. სომხურმა მხარემ, რომელმაც ქალაქის ქუჩებში მიმდინარე ხელჩართულ ბრძოლაში 300 ჯარისკაცი დაკარგა, 8 ნოემბერს კაპიტულაცია გამოაცხადა.

მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანის არმიამ ჯერ კიდევ 2020 წლის ოქტომბერში გაანთავისუფლა ფიზულის, ჯაბრაილისა და ზანგეზურის რაიონები, ქვეყანამ ფაქტიურად აღადგინა 138 კმ-იანი სასაზღვრო ზოლი მდინარე არაქსის გაყოლებით ირანთან და გახსნა გზა ბაქოდან ნახიჭევანამდე. აღნიშნული გზის მონაკვეთი ორი წლის შემდეგ განახლებული ინფრასტრუქტურით შეიცვლება, რომელიც მთლიანად იქნა განადგურებული სომხეთის მხრიდან ოკუპაციის დროს. 38 კმ-იანი ზანგზურის კორიდორის გავლით ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკა სამუდამოდ დაუკავშირდა აზერბაიჯანს. ამასთან ერთად აღდგა ბუნებრივი საზღვარი ირანთანაც. შემთხვევითი არ არის, რომ ზანგილანში, საიდანაც ისტორიულად მიმდინარეობდა ირანთან ხუდაფერინის ხიდის მეშვეობით სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობები ირანთან, შენდება საერთაშორისო დონის აეროპორტი, რაც კიდე უფრო გაზრდის აზერბაიჯანის სატრანზიტო მიმზიდველობას.

ომის დამთავრების შემდეგ ამოქმედდა ლაჩინის კორიდორი, რომელიც მთიანი ყარაბაღის სომხურ ქალაქს სტეპანაკერტს (ხანკენდი) აკავშირებს სომხეთთან. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ლაჩინის კორიდორის ამოქმედებას საერთო არაფერი აქვს გამარჯვებული მხარის დიდსულოვნებასთან ან საყოველთაოდ აღიარებული დემოკრატიული ფასეულობების (ადამიანის უფლებები, ეროვნული უმცირესობების დაცვა...) დაცვასთან. ამ გზით სომხებს ყველანაირი გზა აქვთ მოჭრილი, წინააღმდეგობა გაუწიონ ზანგეზურის კორიდორის ამოქმედებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ყარაბაღში დარჩენილ სომხურ მოსახლეობას გარკვეული პრობლემები შეექმნებათ გადაადგილების მხრივ.

ზანგეზურის კორიდორის ამოქმედებით დაინტერესებულია ირანი და რუსეთი. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ „სომხეთის რკინიგზა“ „რუსეთის სარკინიგზო ხაზების“ საკუთრებას წარმოადგენს, ინტერესი ბუნებრივია. აზერბაიჯანს ეძლევა სატრანსპორტო კომუნიკაციებით ზანგეზურის კორიდორის მეშვეობით დაუკავშირდეს ნახჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკას და სარკინიგზო არტერიის დამატების შემდეგ, რომლის ამოქმედებაც უახლოეს პერსპექტივას წარმოადგენს, პირდაპირ ჩაერთოს ევროპის სატრანსპორტო ქსელში, რაც ქვეყანას არა მარტო რეგიონულ, არამედ საერთაშორისო დონეზეც წარმოაჩენს, როგორც მსხვილ გეოპოლიტიკურ მოთამაშეს.

სომხეთის აგრესიული პოლიტიკის დასასრული

ზანგეზურის კორიდორის გახსნის მიმართ სომხეთში უარყოფითი განწყობაა. განსაკუთრებული რადიკალიზმით ქალაქ მეგრის მოსახლეობა გამოირჩევა, რადგან სწორედ მეგრიზე უნდა გაიაროს აღნიშნულმა დერეფანმა. მიმდინარე წლის 21 აპრილს ადგილობრივმა მოსახლეობამ მწვავე დახვედრა მოუწყო პრემიერ-მინისტრ ფაშინიანს - ადგილი ჰქონდა სამთავრობო კორტეჟზე თავდასხმასაც კი. მძიმე ინციდენტი მოხდა ქალაქ კაპანის ცენტრში, გარეგინ ნჟდეს სახელობის მოედანზეც.

მიმდინარე წლის 23 აპრილს სამეცნიერო - საგანმანათლებლო ორგანიზაციამ „სომხური პროექტი“ ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტთან ერთად ჩაატარა კონფერენცია თემაზე „სომხეთი და თურქეთი სამხრეთ კავკასიაში: რეალობა და რისკები.“ კონფერენციაზე, რომელსაც უძღვებოდა ფაკულტეტის დეკანი რუბენ მელქონიანი, განხილულ იქნა რეგიონში არსებული პოლიტიკური, ეკონომიური, სამხედრო და დემოგრაფიული საკითხები. კონფერენციამ რომელშიდაც მონაწილეობა მიიღო ქვეყნის ყველა წამყვანმა ექსპერტმა, ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ ზანგეზურის კორიდორის გახსნა არ შედის სომხეთის სასიცოცხლო ინტერესებში[5]. აკადემიური სფეროს წარმომადგენლები აპელირებენ იმაზე, რომ 10 ნოემბრის შეთანხმებაში პირდაპირი აქცენტი არ არის გაკეთებული, რომ კორიდორი გავიდეს ზანგეზურის (სიუნიქი) ტერიტორიაზე ქალაქ მეგრის გავლით, მაგრამ ავიწყდებათ, რომ შეთანხმებაში გარკვევით არის მითითებული - „სომხეთის რესპუბლიკა უზრუნველყოფს უსაფრთხო სატრანსპორტო მიმოსვლას აზერბაიჯანის დასავლეთ რაიონებსა და ნახჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის. მოქალაქეებისა და ტვირთების

შეუფერხებელ გადაადგილებაზე ორივე მიმართულებით კონტროლს ახორციელებს რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო უწყება [6].

მოლაპარაკების პროცესში სომხეთის მხარემ ატეხა განგაში ყბადაღებული „ახალი თურანის“ შექმნის შესახებ მისგან მომავალი“ საშინელი“ შედეგებით, მაგრამ როგორც ჩანს, უშედეგოდ - 10 ნოემბრის შეთანხმების შესაბამისად შეიქმნა სამუშაო ჯგუფი პრემიერ-მინისტრების მოადგილეების დონეზე, რომლის მოვალეობაშიდაც შედის ზანგეზურისა და ლაჩინის კორიდორებში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის აღდგენის საკითხები. აღნიშნულმა ჯგფმა პირველი შეხვედრა გამართა მიმდინარე წლის 30 იანვარს, 1 მარტისათვის კი სახელმწიფოს მეთაურებს დასამტკიცებლად წარუდგინა ჩასატარებელი ღონისძიებების განხორციელების სრული გრაფიკი.

უნდა აღინიშნოს, რომ სარკინიგზო ხაზი ზანგეზურში ქალაქ მეგრის გავლით არსებობდა საბჭოთა პერიოდშიდაც, რომლის მეშვეობით ფუნქციონირებდნენ სარკინიგზო ხაზები ერევანი-მოსკოვი და თეირანი-მოსკოვი. ყარაბაღის პირველი ომის დროს აღნიშნული მონაკვეთი სომხეთმა ჩაკეტა, რის შედეგადაც ნახჭევანის ავტონომიური რესპუბლიკა სრულ სატრანსპორტო იზოლაციაში აღმოჩნდა.

აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის 2001 წლის პარიზის მოლაპარაკების ფორმატში განიხილებოდა ზანგეზურისა და ლაჩინის ტერიტორიების გაცვლა,მაგრამ ბოლო მომენტში პრეზიდენტმა რობერტ ქოჩარიანმა ოპოზიციის რეაქციის შიშიდან გამომდინარე უარყო შეთავაზებული წინადადება. ბუნებრივია, იბადება კითხვა, ომში სასტიკი დამარცხების შემდეგ არის კი ქვეყანა მზად პარტნიორული თანამშრომლობისათვის? ომმა ფაქტიურად დაასამარა მითი სომხეთის არმიის „უძლეველობის“ შესახებ და წყალი შეუყენა სომხურ ნაციონალისტურ პროექტს „სომხეთი ზღვიდან ზღვამდე.“ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ 20 ივნისის არჩევნების შემდეგ ბევრ საჭირბოროტო კითხვას გაეცემა პასუხი, ქვეყანა საბოლოოდ გამოვა მიღებული ფსიქოლოგიური შოკიდან და აირჩევს იმ ერთადერთ და უალტერნატივო გზას, რომელიც სომხეთს გამოიყვანს სატრანსპორტო ჩიხიდან და დადებითად წაადგება მის სახელმწიფოებრიობას - სატრანსპორტო კომუნიკაციების აღდგენის შემთხვევაში სომხეთი ავტომატურად ერთვება როგორც „აღმოსავლეთ-დასავლეთის“, ისე „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ კორიდორებში და ხდება „ახალი აბრეშუმის გზის“ სრულუფლებიანი წევრი.

სომხეთის ხელისუფლება ბოლოსდაბოლოს მიხვდება, რომ კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება რეგიონის ქვეყნებთან უპირველესად შედის მის ინტერესებში, სხვა ალტერნატივა უბრალოდ არ არსებობს. წინააღმდეგ შემთხვევაში სომხეთის სახელმწიფოებრიობას დაემუქრება უდიდესი საფრთხე და შესაძლებელია დაასრულოს კიდეც.

საქართველოს სატრანსპორტო პოტენციალის რეალიზაციის პერსპექტივები რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური ცვლილებების შუქზე

2021 წლის 10-13 აპრილს აზერბაიჯანის დიპლომატიურ აკადემიაში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით „ახალი ხედვა სამხრეთ კავკასიაზე: პოსტკონფლიქტური განვითარება და თანამშრომლობა“. ქვეყნის პრეზიდენტმა ი.ალიევმა სიტყვით გამოსვლის დროს, ეხებოდა რა კომუნიკაციების აღდგენის თემას კონფლიქტის ზონაში, აღნიშნა : „ - საქართველო გარკვეული სიფრთხილით ეკიდება მიმდინარე პროცესს. მე მომიწევს დაველაპარაკო საქართველოს პრემიერ-მინისტრს, გავიგო მისი პოზიცია. საქართველო ჩვენთვის არა მარტო სტრატეგიული პარტნიორია, არამედ ჩვენი მოძმე და ძალიან ახლობელი ქვეყანაცაა. საქართველო და აზერბაიჯანი მეტად საჭირო როლს თამაშობენ ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის. იმედი მაქვს, ჩვენ შევძლებთ მოვძებნოთ თანამშრომლობის შესაბამისი ფორმატი, ასეთია ჩვენი შეხედულება. ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს ჩვენი დასავლელი პარტნიორები როგორ გამოდიოდნენ ბაქო-თბილისი-ყარსის მშენებლობის წინააღმდეგ და ცდილობდნენ აღნიშნულ პროექტში სომხეთის ჩართვას, რომლის მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ გზას გაევლო არა საქართველოზე, არამედ სომხეთზე. მახსოვს, როდესაც ვმუშაობდი აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობის კომპანიაში დასავლელი პარტნიორები გამოდიოდნენ წინადადებით, ნავთობსადენს (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი შ.ბიწაძე) გაევლო არა საქართველოს, არამედ სომხეთის ტერიტორიაზე. მე მოწმე ვარ იმისა, თუ როგორი სიძნელეების გადალახვით აშენდა აღნიშნული ნავთობსადენი. მსოფლიო ბანკმა ერთი წლით დაფინანსებაც კი შეგვიწყვიტა, მაგრამ ამას არაფერი შეუცვლია და ახლაც ასე იქნება“ [7].

ვითარების ადგილზე გასაცნობად მიმდინარე წლის 5 მაისს საქართველოს სამთავრობო დელეგაცია პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით ბაქოში იმყოფებოდა, სადაც შეხვედრა

ჰქონდა პრეზიდენტ ი.ალიევსა და პრემიერ-მინისტრ ა.ასადოვთან. საქართველოსა და აზერბაიჯანის რკინიგზებს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მხარეები შეთანხმდნენ „საქართველოს რკინიგზის“ დამატებით ტვირთებით უზრუნველყოფის შესახებ ტრანსკასპიურ საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტის მიმართულებით თანამშრომლობის ფორმატში. დოკუმენტს ხელი მოაწერეს შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელებმა ჯავიდ ყურბანოვმა და დავით ფერაძემ.

რკინიგზის ყველაზე მომგებიან მიმართულებას, როგორც ცნობილია სატვირთო გადაზიდვები წარმოადგენს. ბაქოში შეხვედრის დროს გადაწყდა, რომ ჩინეთიდან წამოსული ტვირთის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ საქართველოს ტერიტორიის გავლით ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზის მეშვეობით მოხვდება დასავლეთში. აღნიშნული გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ორ ქვეყანას შორის არსებულ სტრატეგიულ პარტნიორობას. ყარაბაღის მეორე ომმა აზერბაიჯანს დაანახვა, რომ საქართველო საიმედო პარტნიორია - ომის განმავლობაში საქართველომ პირნათლად შეასრულა პირობა და რუსეთიდან სომხეთისთვის გაგზავნილი სამხედრო დანიშნულების ტვირთი არ გაატარა, რაც სათანადოდ იქნა შეფასებული აზერბაიჯანის მხრივ. აზერბაიჯანი დღემდე რჩება საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს ინვესტორად.

ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი (TITR) 2017 წლის ოქტომბერში შეიქმნა“სარტყელისა და გზის“ ფორმატში და ითვალისწინებს ჩინეთის ყაზახეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს გავლით უკრაინასა და თურქეთთან დაკავშირებას [8, 11]. აღნიშნული დერფანი TRACECA-ს სატრანსპორტო ხაზს ეფუძვნება, რომლის წევრიც საქართველო 1993 წელს გახდა. 1993 წელს ავროკავშირმა შექმნა TRACECA-ს პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა ევროკავშირის დაკავშირებას ცენტრალურ აზიასთან ჩინეთთან და ინდოეთთან, შავი ზღვის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და კასპიის ზღვის გავლით. TRACECA-ს პროგრამით გათვალისწინებული იყო ტექნიკური დახმარების გაწევა, რაც პროგრამის მონაწილე ქვეყნებს საშუალებას აძლევდა მოეხდინათ რკინიგზის, საავტომობილო გზების, აეროპორტების, საზღვაო პორტებისა და ტერმინალების რეკონსტრუქცია, მოდერნიზაცია და მშენებლობა. სხვადასხვა პროექტების განხორციელების შედეგად გაიზარდა საქართველოს გავლით გარკვეული პროდუქტების, უპირველეს ყოვლისა, ნავთობისა და მისი პროდუქტების ტრანზიტი ცენტრალური აზიიდან ევროპაში [9, 3].

ინიციატივა „სარტყელი და გზა“ ორი პროექტისგან („აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი“ და „XXI საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზა“) შედგება და მოიცავს ექვს დერეფანს, რომელთა შორისაც კავკასიის რეგიონზე გამავალი დერეფანი ყველაზე უმოკლესია. 2020 წლის 4 დეკემბერს სტამბულიდან გამოსულმა შემადგენლობამ „ბაქო-თბილისი-ყარსის“ მაგისტრალის გავლით 15 დღეში მიაღწია ჩინურ პროვინცია სიანს - საქართველოს ტერიტორიის გავლით პირველად მოხდა ორი უმსხვილესი, ევროპისა და აზიის სატრანსპორტო ქსელების დაკავშირება, რაც სიმბოლურად ნიშნავს კიდეც უძველესი „აბრეშუმის გზის“ აღდგენას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მდებარეობის გამო საქართველოს ეძლევა შანსი აქტიურად ჩაერთოს მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში. ამიტომაც, დღეისათვის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება უმნიშვნელოვანესი პირობაა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის. დღევანდელი მსოფლიო გლობალიზაციის ეკონომიკური კარგახსნილობის პირობებში ჩვენი სატრანზიტო პოტენციალის სრულად ათვისება საქართველოს მოუტანს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სარგებელს [10, 3].

თუ გავითვალისწინებთ მიმდინარე პოლიტიკური პროცესების განვითარების ლოგიკას, ცხადია, რომ საქართველოს სატრანზიტო პოტენციალს და მის რეალიზაციას მოცემულ ეტაპზე, მიუხედავად სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე სატრანზიტო კომუნიკაციების გახსნისა, სერიოზული საფრთხე არ ემუქრება.

დასკვნა

სატრანსპორტო კომუნიკაციების გახსნა რეგიონში ხელს შეუწყობს ეკონომიკური ინტეგრაციის შეუქცევად პროცესს, სოციალურ-ეკონომიურ განვითარებას, ინვესტიციების მოზიდვას და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ჩამოყალიბებას. სამხრეთ კავკასიის რეგიონს შეუძლია გახდეს სავაჭრო-ეკონომიური და სატრანსპორტო-ლოგისტური დამაკავშირებელი რგოლი ევრაზიის მასშტაბით, რაც დადებით როლს ითამაშებს, როგორც დემოკრატიული ფასეულობებისა და ღირებულებების დაცვის კუთხით, ასევე წარმატებით აისახება რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცების პროცესის დინამიკაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაჩეჩილაძე რ. (2013). საქართველო მსოფლიო კონტექსტში. XX და XXI საუკუნეების პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მომენტები. თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა;
2. რონდელი ა. (1996). საერთაშორისო ურთიერთობები. თბილისი, თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი;
3. ПрезидентИлъхамАлиевдалинтервьюАзербайджанскомутелевидению. https://bit.ly/369l53o უკანასკნელად გადამოწმებულია 13.06.2021;
4. Marjanli Musa. (2016), Karabahk over the centuries, Dubai, IRS Publishing House.
5. Вардан Восканян:Южный Кавказ продолжит оставаться экспансионистским направлением для Турции. https://bit.ly/3jExcNT უკანასკნელად გადამოწმებულია 12.06.2021;
6. Кремль опубликовал Текст соглашения о прекращении войны в Нагорном Карабахе. Он очен отличается от того, что распространяли раньше. https://bit.ly/3xii5xH უკანასკნელად გადამოწმებულია 11.06.2021;
7. Президент Ильхам Алиев принял участие проходяшей в Университете АДА международной конференции под названием “Новый взгляд на Южном Кавказе посконфликтное развитие и сотрудничество” https://bit.ly/3wfKAuP უკანასკნელად გადამოწმებულია 11.06.2021;
8. ლარსენი ჯ. (2017). საქართველო-ჩინეთის ურთიერთობები.„სარტყელისა და გზის“ გეოპოლიტიკა. პოლიტიკის დოკუმენტი. თბილისი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი;
9. საქართველოს სატრანზიტო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და მისი განვითარების გარემოს დაცვითი და სოციალური ასპექტები. (2007). თბილისი, გამომცემლობა „მწვანე ალტერნატივა“;
10. პავლიაშვილი ს, გარაყანიძე ზ. (2014). საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი. პრობლემები და პერსპექტივები. თბილისი, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი.

სამხრეთ კავკასიის რეგიონის გეო-პოლიტიკური რეალიები

GEO-POLITICAL REALITIES OF THE SOUTH CAUCASUS REGION

გიორგი დოლიძე
ასისტენტ პროფესორი
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
საქართველოს უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი

GIORGI DOLIDZE
ASSISTANT PROFESSOR
LEPL DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA
INVITED LECTURER AT THE UNIVERSITY OF GEORGIA

თბილისი
TBILISI
2021

აბსტრაქტი

2020 წლის მთიანი ყარაბაღის სამხედრო კონფლიქტის შედეგად კიდევ უფრო გამწვავდა სამხრეთ კავკასიის გარშემო არსებული უსაფრთხოების გარემო. შექმნილი ვითარება ძირითადად გამოწვეულია რუსეთის ფედერაციის დესტრუქციული ქმედებებით, რომელიც მიზნად ისახავს მეზობელი ქვეყნების სახელმწიფოებრიობის შერყევას, მათი დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოების შეზღუდვას და ამ ქვეყნების კრემლის გავლენის ქვეშ მოქცევას, რაც მნიშვნელოვნად შეაფერხებს მათი დასავლეთთან ინტეგრაციის პროცესს. სამხრეთ კავკასიის გარშემო უსაფრთხოების გარემოზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რუსეთ-თურქეთისა და დასავლეთ-თურქეთის ურთიერთობების დინამიკა. სამხრეთ კავკასიაში კრემლის გავლენის ზრდის ფონზე, ყველა რეგიონულ სახელმწიფოს შორის თურქეთი, როგორც ნატოს წევრი ქვეყანა არის მთავარი აქტორი, რომელიც შეეცდება რუსეთის მიერ რეგიონში არსებული სამხედრო და პოლიტიკური ბალანსის შეცვლის მცდელობებისთვის წინააღმდეგობის გაწევას. რუსეთისა და თურქეთის გარდა, მნიშვნელოვანი იქნება სამხრეთ კავკასიის რეგიონის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოთამაშის, ირანის ფაქტორის გათვალისწინება, რომელიც დღემდე მეტ-ნაკლებად ნეიტრალურ პოზიციას ინარჩუნებდა და ცდილობდა მედიატორის როლი ეთამაშა. ზემოთაღნიშნულ მთავარ აქტორებთან ერთად, რეგიონის უსაფრთხოება, სტაბილურობა და ეკონომიკური განვითარება დიდწილად იქნება დამოკიდებული როგორც აშშ-ის, ასევე ნატოსა და ევროკავშირის სამომავლო ხედვებსა და პოზიციებზე.

საკვანძო სიტყვები:
უსაფრთხოების გარემო, სამხრეთ კავკასიის რეგიონი, რუსეთი ფედერაცია, თურქეთის რესპუბლიკა, ირანი, აშშ, ნატო, ევროკავშირი.

ABSTRACT

Since the 2020 Nagorno-Karabakh military conflict, the security environment around the South Caucasus has significantly aggravated. The current situation is mainly caused by destructive actions of the Russian Federation aimed at weakening neighboring countries' statehood, setting limitations on making their independent foreign policies, and leaving them under the Russian sphere of influence, which will hinder their Western integration process. The security environment around the South Caucasus significantly depends on the dynamics of Russian-Turkish and Western-Turkish relations. In the light of the rising Moscow's influence in the South Caucasus, of all the regional states Turkey as a NATO member country is the key actor to counter Russian efforts towards altering existent military and political balance in the region. Besides Russia and Turkey, it is worth mentioning that Iran is another key player in the South Caucasus region, which has maintained a balanced, neutral position attempting to play the role of mediator. Moreover, in addition to the regional key actors, the security environment, stability, economic development of the region will be largely dependent on the U.S., as well as NATO and European Union's further visions and positions.

KEYWORDS:
Security environment, South Caucasus Region, Russian Federation, Republic of Turkey, Iran, U.S., NATO, European Union.

შესავალი

ბოლო წლების განმავლობაში კიდევ უფრო გამძაფრდა ისტორიული დაპირისპირება გლობალურ და რეგიონალურ ძალებს შორის კავკასიის რეგიონში, რომელიც არსებული გეო-პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით, მიზნად ისახავს მათი გავლენებისა და ძალაუფლების შენარჩუნებასა და გაძლიერებას. რევიზიონისტული ძალების მზარდი ამბიციები რეგიონში უსაფრთხოების გარემოს კიდევ უფრო მოწყვლადს ხდის, რაც გამოწვევაა არსებული საერთაშორისო უსაფრთხოების მექანიზმებისთვის.[1]

1991 წლიდან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე ტერიტორიული კონფლიქტებისას, ისტორიული, რელიგიური და კულტურული ფაქტორების გათვალისწინებით თურქეთი ყოველთვის მოიაზრებოდა აზერბაიჯანის მტკიცე მხარდამჭერად, მაშინ, როცა რუსეთი 2020 წლამდე, აქტიურად ლობირებდა სომხეთის ინტერესების გატარებას და მისი გავლენების შენარჩუნებას ყარაბაღის კონფლიქტურ ზონაში. აღსანიშნავია, რომ კავკასიის რეგიონის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოთამაშე ირანი, რუსეთისა და თურქეთისგან განსხვავებით, დღეს, ისევე როგორც გასული ათწლეულების მანძილზე, მეტ-ნაკლებად ნეიტრალურ პოზიციას ინარჩუნებს.[2] აღსანიშნავია, რომ ენერგო რესურსების მიმართ არსებული ინტერესების, ასევე, კავკასიის რეგიონში ამერიკის შეერთებული შტატების და თურქეთის გავლენების შემცირების მიზნით ირანი ცდილობს შეინარჩუნოს პარტნიორული ურთიერთობები რუსეთთან.[3]

ნაშრომი მიმოიხილავს 2020 წლის ყარაბაღის სამხედრო კონფლიქტის შემდეგ ჩამოყალიბებული უსაფრთხოების გარემოს კავკასიის რეგიონში, რომლის საფუძველზეც განხილულ იქნება რეგიონულ და გლობალურ დონეზე სამხრეთ კავკასიის გარშემო უსაფრთხოების კუთხით მთავარი აქტორების - რუსეთის ფედერაციის, თურქეთის რესპუბლიკის, ირანის, ამერიკის შეერთებული შტატების, ნატოსა და ევროკავშირის სამომავლო პერსპექტივები რეგიონში არსებულ ვითარებასთან მიმართებაში.

რუსეთი

ბოლო დროინდელი უსაფრთხოების გარემოს კუთხით მიმდინარე მოვლენები აშკარას ხდის, რომ რუსეთის პოლიტიკა მომავალშიც მიმართული იქნება დასავლური ინტერესების წინააღმდეგ, განსაკუთრებით პოსტ-საბჭოთა სივრცის იმ გეოგრაფიულ არეალში, რომელსაც რუსეთის ფედერაცია თავისი „პრივილეგირებული ინტერესების ზონად“ მიიჩნევს. კავკასიის რეგიონი, ისევე როგორც აღმოსავლეთ ევროპა, სწორედ აღნიშნულ არეალში შეიძლება იქნას მოაზრებული, სადაც დასავლეთის პოზიციების გაძლიერებას კრემლი საკუთარ საფრთხედ განიხილავს.[4]

უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და კონფლიქტების მოგვარებაში საკუთარი შეუცვლელი როლის წარმოჩენით, მოსკოვი შეეცდება სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებზე ზეწოლის გაძლიერებას და ჰიბრიდული ელემენტების აქტიური გამოყენებით, საზოგადოებრივი აზრის იმგვარად ფორმირებას, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს მისი რეგიონული მიზნების მიღწევას.[5]

საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციით, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ დაწყებული სამხედრო მოდერნიზაციითა და გადაიარაღებით, ოკუპირებულ რეგიონებში მიმდინარე „ბორდერიზაციის“ პროცესით, ყირიმის ანექსიითა და რეგიონში პოზიციების კიდევ უფრო გამყარებით, რუსეთი განუხრელად ზრდის თავის სამხედრო შესაძლებლობებს სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონში. სამხედრო შესაძლებლობების აგრესიული წარმოჩენა და რეგიონში „საციცოხლო ინტერესების“ დასაცავად ზეწოლის, მათ შორის სამხედრო ზეწოლის მზაობის დაფიქსირება ყოველთვის წარმოადგენდა კრემლის საგარეო-პოლიტიკის ინსტრუმენტს, რომელსაც მუდმივად იყენებდა როგორც მეზობელი სახელმწიფოების, ისე დასავლეთის წინააღმდეგ. პოლიტიკური გავლენის მოპოვებისა და გაძლიერების მიზნით რუსეთი გააგრძელებს ერთის მხრივ რეგიონის ქვეყნებში პრორუსული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჯგუფების მხარდაჭერას, ხოლო მეორეს მხრივ, მისი ალტერნატიული სავაჭრო და ენერგეტიკული პროექტების ხელის შეშლას, რომელთა სანაცვლოდ ეცდება განახორციელოს საკუთარი პროექტები.[6]

1 სტრატეგიული თავდაცვის მიმოხილვა 2021-2025, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, 2021, გვ.10

2 Mehmet Fatih Öztarsu, Orkhan Gafarov, Arevik Anapiosyan, Khatuna Chapichadze, The Role of Global and Regional Actors in the South Caucasus, p.2, https://www.researchgate.net/publication/324536796_The_Role_of_Global_and_Regional_Actors_in_the_South_Caucasus, 05.06.21

3 ვალერიმოდებაძე, მთიან ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირების შემაფერხებელი ფაქტორები, გვ.17, http://dl.sangu.edu.ge/pdf/confsouthcauc_2020.pdf, accessed on 6th of June

4 Eugene Rumer, Russia and the security of Europe, achieved on the 18th of June, http://carnegieendowment.org/2016/06/30/russia-and-security-of-europe-pub-63990

5 Ibid

6 Robert E. Hamilton, August 2008 and Everything After, A Ten-Year Retrospective on the Russia-Georgia War, Foreign Policy Research Insti-

2020 წლის ყარაბაღის ომის შემდგომ, რუსეთის ფედერაციის მიერ სამხრეთ კავკასიაში ჩამოყალიბებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რუსული სამხედრო ინფრასტრუქტურა, რომელიც შედგება თანამედროვე აღჭურვილობით დისლოცირებული 2000 სამხედრო მოსამსახურისგან, ნათელი მაგალითია იმისა, რომ კრემლი განაგრძობს მისი პოლიტიკური ინტერესებისა და სამხედრო შესაძლებლობების გაძლიერებას სამხრეთ კავკასიის რეგიონში და ამ მხრივ, ცვლილებები არსებულ ეტაპზე არ შეინიშნება.[7]

სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული დაძაბულობის პარალელურად, მისი აგრესიული ქმედებებით და ჰიბრიდული ელემენტების გამოყენებით რუსეთი შემდგომშიც შეეცდება ხელი შეუშალოს საქართველოს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოებაში, დააბრუნოს რუსული გავლენის სფეროში და უარი ათქმევინოს მის მიერ არჩეულ დასავლურ კურსზე და ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებაზე. ამას ცხადყოფს ე.წ. „ბორდერიზაციის“ პროცესი, რომლის ინტენსივობაც ხშირ შემთხვევაში პირდაპირ არის დაკავშირებული საქართველოს მიერ მიღებულ საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან და წარმოადგენს სამხედრო კონფლიქტის განახლების პოტენციურ წყაროს.[8]

თურქეთი

კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების გარემოზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რუსეთ-თურქეთისა და დასავლეთ-თურქეთის ურთიერთობების დინამიკა.

სამხრეთ კავკასიაში მოსკოვის გავლენის ზრდის ფონზე, ყველა რეგიონულ სახელმწიფოს შორის თურქეთი, როგორც ნატოს წევრი ქვეყანა იქნება მნიშვნელოვანი აქტორი ნებისმიერი მხარდამჭერი ძალისხმევის თვალსაზრისით, რომელიც მიმართული იქნება რუსეთის მიერ რეგიონში არსებული სამხედრო და პოლიტიკური ბალანსის შეცვლის მცდელობებისთვის წინააღმდეგობის გაწევისკენ. თურქეთის პოზიციაზე დიდწილად იქნებადამოკიდებული რეგიონის უსაფრთხოება, ხოლო ამ ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობა და დეკლარირებული საგარეო პოლიტიკური კურსი პირდაპირ არის დაკავშირებული როგორც საქართველოს, ასევე რეგიონის სხვა ქვეყნების შემდგომი ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებსა და ენერგო უსაფრთხოებაზე. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია თურქეთში შენარჩუნდეს შიდა სტაბილურობა, რაც ხელს შეუწყობს თურქეთის ურთიერთობების ნორმალიზებას დასავლეთთან და ამასთან, უზრუნველყოფს ქვეყნის, როგორც შავ ზღვაზე ნატოს შეკავების სტრატეგიის ცენტრალური ელემენტის, ასევე, სამხრეთ კავკასიის რეგიონში რუსეთის საპირწონე ძალის პოტენციალის გაძლიერებას.[9]

თურქეთ-რუსეთის ურთიერთობების კუთხით აღსანიშნავია, რომ რუსეთში თურქეთის მიმართ განსაკუთრებული ნდობა არ არსებობს. კრემლისთვის თურქეთთან თანამშრომლობას დიდი მნიშვნელობა აქვს დასავლეთთან არსებული მწვავე კონფრონტაციული ურთიერთობების ფონზე. მოსკოვი სხვადასხვა სახის ერთობლივი პროექტების განვითარებით და თურქეთისადმი ლოიალობის დემონსტრირებით ეცდება ანკარა დაიყოლიოს თანამშრომლობაზე და ამავდროულად გარკვეული ბზარი შეიტანოს მის დასავლეთთან ურთიერთობებში, რადგან რუსეთის საზღვრებთან ახლოს თურქეთისა და მისი ნატოელი მოკავშირეების შეთანხმებული მოქმედებები კრემლის მიერ მნიშვნელოვან საფრთხედ აღიქმება.

სამხედრო კონფლიქტმა მთიან ყარაბაღშიმკაფიო გახადა, რომ რეგიონის უსაფრთხოების კონტექსტში თურქეთის გავლენები გაიზრდება და იგი ითამაშებს კიდევ უფრო დიდ როლს კავკასიის რეგიონში უსაფრთხოების გარემოს სამომავლო არქიტექტურის ჩამოყალიბებაში.[10]

ირანი

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ფართომასშტაბიანმა ესკალაციამ ირანი სამხრეთ კავკასიის რეგიონში ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. საკუთარი მრავალრიცხოვანი ეთნიკური აზერბაიჯანელი მოსახლეობის პირობებში, ირანი ცდილობდა ნეიტრალური პოზიცია დაეკავებინა და გარკვეულწილად მედიატორის როლი შეესრულებინა.[11]

სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის დადებულმა ცეცხლისშეწყვეტის შეთანხმებამ მნიშვნელოვნად შეცვალა

tute - Black Sea Strategy Papers, 2018, p.p. 11-15, accessed on 18th of June, https://www.fpri.org/wp-content/uploads/2018/10/final-bssp-1-hamilton.pdf

7 ალექსანდრე პეტრიაშვილი, კავკასიური კატალიზატორი, https://bit.ly/3qO9Gzu, 05.06.21

8 თავდაცვის სამინისტროს ხედვა 2030, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, 2021, გვ.11

9 Arkadiusz Legieć, Prospects for Turkey's Policy Towards the South Caucasus, 2021, https://bit.ly/2TzxWtb accessed on 18th of June

10 Ayla Jean Yackley, Turkey takes assertive role in Caucasus conflict, 2020, https://bit.ly/3xk1I3R, accessed on 18th of June

11 Emil Avdaliani, Iranin the South Caucasus: Adjustment and Evulution, 2021, https://bit.ly/3qU5Hli, accessed on 20th of June

არსებული სტატუს-ქვო კონფლიქტის ზონაში, რამაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს ირანის პოზიციებსა და ინტერესებზე რეგიონში. არსებული შეთანხმებით, რომლის შესრულების ფაქტობრივ გარანტს რუსეთის ფედერაცია წარმოადგენს, კრემლის პოზიციების გაძლიერებასთან ერთად სამხრეთ კავკასიაში, საგრძნობლად გააქტიურდა ირანის კიდევ ერთი მეტოქე, აზერბაიჯანის სტრატეგიული პარტნიორი - თურქეთი, რომელმაც ასევე მნიშვნელოვნად გაზარდა თავისი გავლენები რეგიონში.[12]

შეთანხმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა რეგიონში არსებული ეკონომიკური და სატრანსპორტო კომუნიკაციების გახსნა, მათ შორის, აზერბაიჯანი კონფლიქტის დროს დაბრუნებული ტერიტორიების საშუალებით, სომხეთის ტერიტორიის გავლით, შეძლებს პირდაპირი სახმელეთო კავშირი დაამყაროს ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკასთან, რომელთანაც კომუნიკაცია მანამდე ირანის ტერიტორიის გავლით ჰქონდა. იმ ფონზე, რომ ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებით გაძლიერებული აზერბაიჯანი, ირანის მხრიდან შესაძლოა ტერიტორიული მთლიანობის კუთხით გარკვეულ საფრთხედ იქნას აღქმული - მათ შორის „ჩრდილოეთ და სამხრეთ აზერბაიჯანის“ გაერთიანების იდეის გააქტიურების კუთხით, თეირანმა ბაქოსთან ურთიერთობაში მნიშვნელოვანი სატრანზიტო ფუნქციის უპირატესობა დაკარგა.

2020 წლის ყარაბაღის საბრძოლო მოქმედებების შედეგად, რეგიონში ჩამოყალიბებული ახალი სტატუს-ქვოს გათვალისწინებით, ირანს მოუწევს რუსეთისა და თურქეთის გამყარებულ პოზიციებთან „დაპირისპირება“, რაც პოლიტიკურ და ეკონომიკურ სანქციებში მყოფი თეირანისთვის კიდევ ერთი გამოწვევაა.[13]

აშშ, ნატო ევროკავშირი

აშშ-ს, ნატოს და ევროკავშირის ინტერესები სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის ფართო რეგიონში შენარჩუნდება და სავარაუდოდ კიდევ უფრო გამყარდება, ვინაიდან რუსეთის მზარდი აგრესიის შეკავების მთავარ ინსტრუმენტად ვაშინგტონი, ისევე როგორც ნატოსა და ევროკავშირის წევრი სხვა სახელმწიფოები კვლავ სამხედრო ალიანსისა და ევროკავშირის ფარგლებში მჭიდრო თანამშრომლობას განიხილავენ. აშშ, ნატო და ევროკავშირი შეინარჩუნებენ რუსეთის ფედერაციაზე არსებული ზეწოლის ბერკეტებს და გააგრძელებენ დამატებითი ბერკეტების ძებნასა და ჩამოყალიბებას აღნიშნული ინტერესების მხარდასაჭერად. ამასთან, ვაშინგტონი გააგრძელებს ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების და ალიანსში საქართველოსა და უკრაინის გაწევრიანების მხარდაჭერას.[14]

გაცხადებული პოლიტიკის ფარგლებში ნატო გააგრძელებს საქართველოს, როგორც მთავარი არაწევრი პარტნიორი ქვეყნის მხარდაჭერას და ძალის პროეცირების შესაძლებლობების ზრდას სამხრეთ კავკასიაში. ალიანსის მსგავსად, ვაშინგტონი თავისი სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე რეგიონში გააგრძელებს მისი მთავარი მოკავშირის, საქართველოს აქტიურ მხარდაჭერას, ვინაიდან საქართველოს რუსეთის გავლენის ქვეშ მოქცევა გამოიწვევს კრემლის სომხეთზე სრულ დომინირებას და რაც მთავარია, გაავრცელებს მის ჰეგემონიას აზერბაიჯანზე. საქართველო წარმოადგენს გეოგრაფიულ დერეფანს, რომლის მეშვეობით აზერბაიჯანს შეუძლია სტრატეგიული კომუნიკაცია დაამყაროს როგორც დასავლეთთან, ისე მის სტრატეგიულ მოკავშირე - თურქეთთან.[15]

აშშ-სა და რუსეთს შორის არსებული კონფრონტაციული ფონის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ორ ქვეყანას შორის არსებული დაძაბულობის ხარისხი ცივი ომის შემდგომ ერთ-ერთ ყველაზე მაღალ ნიშნულზეა და სავარაუდოდ ურთიერთთანამშრომლობის ხარისხის გაუმჯობესება არც ახლო მომავალშია მოსალოდნელი. რუსეთი შეეცდება სამხრეთ კავკასიაში აშშ-ს ინტერესების გაფართოების დანახარჯებისა და რისკების მაქსიმალურ გაზრდას, რათა შეცვალოს ვაშინგტონის კონკურენტული ქცევა რეგიონში. ასევე, კრემლი გააგრძელებს მცდელობას შეარყიოს მეზობელი ქვეყნების სახელმწიფოებრიობა და ხელი შეუშალოს საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან და ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესს.[16]

რუსეთის ფედერაციის ეფექტიანი შეკავებისთვის და რეგიონის სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია აშშ-ის, ნატოს და ევროკავშირის ძალისხმევის კიდევ უფრო გაზრდა რეგიონში. კერძოდ, აშშ-ის გაძლიერებული ყოფნა საქართველოში, ნატოს ერთობლივი მრავალეროვნული სწავლებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებელის გაუმჯობესება, ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირმა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში, მზარდი

12 Ibid
13 Brenda Shaffer, The Armenia – Azerbaijan War: Downgrading Iran's Regional Role, 2020, https://bit.ly/3wcxb6J, accessed on 20th of June
14 „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2021-2025“, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, 2021წ, გვ.13
15 დავით ბატაშვილი, ამერიკის სტრატეგია და საქართველო, 2018, https://www.gfsis.org/ge/blog/view/825, accessed on 12 June
16 Stephen Blank, What the Biden Administration Can and Should do in the South Caucasus, 2021, https://www.cacianalyst.org/publications/analytical-articles/item/13661-what-the-biden-administration-can-and-should-do-in-the-south-caucasus.html, accessed on 21st of June

გამოწვევების პირობებში კიდევ უფრო გაზარდოს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის წევრი ქვეყნების ქმედითი მხარდაჭერა.[17]

დასკვნა

ბოლო პერიოდის სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სამხედრო დაპირისპირების ესკალაციამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ მიუხედავად ეუთოს მინსკის ჯგუფის ფორმატში სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მიღწეული ზავისა, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი დარჩება კავკასიის რეგიონში დესტაბილიზაციის ერთ-ერთ მთავარ კერად.[18] შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ეტაპზე სამხრეთ კავკასიაში ფართო რეგიონული თანამშრომლობის პლატფორმის ჩამოყალიბება სერიოზულ გამოწვევებთან არის დაკავშირებული, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს რეგიონის უსაფრთხოებას, სტაბილურობასა და მის მიმზიდველობას მასშტაბური ინვესტიციების განხორციელების კუთხით.

მოსკოვისთვის სომხეთ-აზერბაიჯანის ომის ყველაზე არახელსაყრელი შედეგი კავკასიის რეგიონში საუკუნეზე მეტი ხნის პაუზის შემდეგ თურქეთის მნიშვნელოვანი დაბრუნებაა.[19]

ვინაიდან, მხარეების რეგიონალური და გლობალური ინტერესების, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ თურქეთი უსაფრთხოების თვალსაზრისით მომავალშიც იქნება დამოკიდებული ნატოზე და განსაკუთრებით აშშ-ზე, სავარაუდოდ დასავლეთ-თურქეთის ურთიერთობის პერიოდული გაუარესება არ მიიღებს სერიოზულ ხასიათს და მხარეებს შორის განსხვავებული პოზიციების არსებობა ხელს არ შეუშლის აშშ-ს და ნატოს ძალისხმევას, გააძლიეროს შეკავების შესაძლებლობები და რუსეთს არ მისცეს პოზიციების კიდევ უფრო გამყარების საშუალება კავკასიის რეგიონში.

გამოყენებული ლიტერატურა

- Avdaliani, Emil. Iranin the South Caucasus: Adjustment and Evulution, 2021, https://bit.ly/3qKtZ15;
- Batashvili, David. The U.S. Strategy and Georgia, 2018, https://bit.ly/2Tzf2Th;
- Blank, Stephen. What the Biden Administration Can and Should do in the South Caucasus, 2021, https://bit.ly/3hbNHj2;
- Eckel, Mike. As Guns Fall Silent In Nagorno-Karabakh, There's One Winner In The Conflict You Might Not Expect, 2020, https://bit.ly/3wdgQ1t;
- Hamilton E. Robert, August 2008 and Everything After, A Ten-Year Retrospective on the Russia-Georgia War, Foreign Policy Research Institute - Black Sea Strategy Papers, 2018, https://bit.ly/3jFyd8K;
- Lebanidze, Bidzina. A Region Lost? In the South Caucasus: The West is out, Turkey is in, and Russia is Strong ever, Georgian Institute of Politics, 2020, https://bit.ly/3jBfTxm;
- Legieć, Arkadiusz . Prospects for Turkey's Policy Towards the South Caucasus, 2021, https://bit.ly/3xeTERH;
- Ministry of Defense Vision 2030, Ministry of Defense of Georgia, 2021;
- Modebadze, Valeri. Factors hindering peaceful regulation of Nagorno-Karabakh conflict, https://bit.ly/3heqI6N;
- Öztarsu, Fatih Mehmet. Gafarov, Orkhan . Anapiosyan, Arevik . Chapichadze, Khatuna. The Role of Global and Regional Actors in the South Caucasus, https://bit.ly/3qN8QmW;
- Petriashvili, Alexander. Caucasian Catalyst, https://bit.ly/3dHwlZ0;
- Rumer, Eugene. Russia and the security of Europe, https://bit.ly/3ygaRKP;
- Shaffer, Brenda. The Armenia – Azerbaijan War: Downgrading Iran's Regional Role, 2020, https://bit.ly/3dG6oZR;
- Strategic Defense Review 2021-2025, Ministry of Defense, 2021;
- Yackley, Jean Ayla. Turkey takes assertive role in Caucasus conflict, 2020, https://bit.ly/3yxDuDx.

17 თავდაცვის სამინისტროს ხედვა 2030, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, 2021, გვ.11

18 Mike Eckel, As Guns Fall Silent In Nagorno-Karabakh, There's One Winner In The Conflict You Might Not Expect, 10.11.2020, https://www.rferl.org/a/as-guns-fall-silent-in-nagorno-karabakh-there-s-one-winner-in-the-conflict-you-might-not-expect/30940966.html, accessed on 6th of June

19 BidzinaLebanidze, A Region Lost? In the South Caucasus: The West is out, Turkey is in, and Russia is Strong ever, Georgian Institute of Politics, 2020, http://gip.ge/a-region-lost-in-the-south-caucasus-the-west-is-out-turkey-is-in-and-russia-is-stronger-than-ever/, accessed on 18th of June

„დიდი თამაში კავკასიის რეგიონში - თანამშრომლობა და დაპირისპირება რესურსების გამო“

“BIG GAME IN THE CAUCASUS REGION - COOPERATION AND CONFRONTATION OVER RESOURCES”

გიორგი კბილცეცხლაშვილი
მაგისტრატურის უფროსი ინსტრუქტორი
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

GIORGI KBILTSETSKHLASHVILI
SENIOR INSTRUCTOR OF MASTER’S DEGREE
LEPL DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

თბილისი
TBILISI
2021

აბსტრაქტი

თანამედროვე სამყარო ახალი თამაშის წესებს, ქვეყნებს კი ურთიერთობის ახალ ინსტრუმენტებს კარნახობს. „დიდ თამაშში“ ეკონომიკა საკუთარი ინტერესების გატარების ის იარაღია, რომელსაც მხარს საგარეო-პოლიტიკური და სამხედრო ინსტრუმენტები უმაგრებენ. სწორედ ეკონომიკაა „დიდი თამაშის“ მამოძრავებელი ძალა. წინამდებარე სტატიის მიზანს კავკასიის რეგიონში გამართული „დიდი თამაშის“ მოთამაშეთა ეკონომიკური ინტერესების ანალიზი წარმოადგენს.

სტატია მოკლედ მიმოიხილავს „მოთამაშეებსა“ (ევროკავშირი, ნატო, აშშ, თურქეთი, ჩინეთი, რუსეთი, შავი ზღვის რეგიონის ქვეყნები, კასპიის ზღვის რეგიონის ქვეყნები, სომხეთი, აზერბიჯანი და საქართველო) და მათ ინტერესებს. შედეგად ასკვნის, რომ კავკასიის რეგიონის „დიდ თამაშში“ ორი ძირითადი მიდგომაა: (1) თანამშრომლური და (2) ნეოიმპერიალისტურ-ნეობოლშევიკური.

საბოლოოდ კი სტატია პასუხობს კითხვაზე: და მაინც, ვინ არის ან იქნება ამ დიდი თამაშის გამარჯვებული?

საკვანძო სიტყვები:
კავკასიის რეგიონის რესურსები, კავკასიის რეგიონის მოთამაშეები, კავკასიის რეგიონის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა.

ABSTRACT

The modern world dictates new rules of the game, and new instruments for communication between countries. In the “Great Game”, the economy is a force for pursuing its own interests, supported by foreign policy and military instruments. Economy is the driving power of the “Great Game”. The purpose of this article is to analyze the economic interests of the “Great Game” players in the Caucasus region.

The article briefly reviews the “players” (EU, NATO, US, Turkey, China, Russia, Black Sea Region Countries, Caspian Sea Region Countries, Armenia, Azerbaijan and Georgia) and their interests. As a result, it concludes that there are two main approaches to the “Great Game” of the Caucasus region: (1) cooperative and (2) neo-imperialist/neo-bolshevik.

Finally the article answers the question: At the end of the day who is or will be the winner of this “Great Game”?

KEYWORDS:

Caucasus Region Resources, Caucasus Region Players, Caucasus Region Transport Infrastructure.

კავკასიის რეგიონი ოდითგანვე იყო სხვადასხვა ქვეყნების ინტერესების სფეროში. აქ იყო ომიც და მშვიდობაც, დაპირისპირებაც და თანამშრომლობაც. კავკაცსიის რეგოინზე გადიოდა მნიშვნელოვანი სატრანსპორტო და სავაჭრო გზები. თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ის იყო უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური, სავაჭრო და სატრანსპორტო ჰაბი. აქ არსებობდა ბევრი სხვადასხვა კულტურა (მათ შორის დამპყრობლების), რომლებიც ახდენდა დიდ ზეგავლენას ერთმანეთზე. ამ რეგიონში არსებულ ქვეყნებსა და ერებს ახსოვთ კარგი და (უფრო მეტი) ცუდი მომენტები თავისი ისტორიიდან.

მაგრამ დრო შეიცვალა. ახალი სამყარო კარნახობს ახალ თამაშის წესებს, ქვეყნების ურთიერთობის ახალ ინსტრუმენტებს. პირველ პლანზე გამოვიდა ეკონომიკა, როგორც იარაღი და საკუთარი ინტერესების გატარების შესაძლებლობა. ამ ეკონომიკურ იარაღს მხარს უმაგრებს საგარეო-პოლიტიკური და სამხედრო ინსტრუმენტები. სწორედ ეკონომიკა არის ამ „დიდი თამაშის“ ძირითადი მამოძრავებელი ძალა.

კავკასიის რეგიონის რესურსები

განვიხილოთ ეკონომიკის ის სექტორები, რომლებიც მნიშვნელოვანია კავკასიის და მასთან ურთიერთობაში მყოფი რეგიონებისა და ქვეყნებისთვის. პირველ რიგში ეს არის ენერგომატარებლები - ნავთობი და ბუნებრივი აირი. ეს რესურსები ჭარბად არის კავკასიის, ასევე მისი მიმდებარე კასპიის რეგიონებში. აზერბაიჯანი, ირანი, თურქმენეთი, ყაზახეთი და რუსეთი არის ის ძირითადი ქვეყნები, რომლის რესურსები წარმოადგენს ევროპისა და აზიის ქვეყნების სერიოზულ ინტერესს.

მეორე მნიშვნელოვანი ეკონომიკის სექტორი არის ჰიდროენერგეტიკა. იმ პირობებში, როდესაც მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა აიღეს გეზი „მწვანე ენერგეტიკისა“ და შესაბამისად, ეკოლოგიურად სუფთა ეკონომიკის განვითარებაზე, ამ სახის ენერგეტიკული კომპლექსების განვითარება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და როგორც შედეგი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის მოპოვებას. ეს რესურსები ჭარბად არის კავკასიის რეგიონში, თუმცა, მათი სრულად გამოყენებისთვის ჯერ კიდევ საჭიროა ახალი კონპლექსების მშენებლობა და ძველი კომპლექსების რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია.

მესამე მნიშვნელოვანი ეკონომიკის სექტორი არის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და საერთაშორისო გადაზიდვები. ამ თვალსაზრისით რომ შევხედოთ კავკასიის რეგიონს, დავინახავთ, რომ კავკასია არის მსოფლიოს ერთ-ერთი გზაჯვარედინი, სადაც განლაგებულია დასავლეთ-აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანსპოტო დერეფნები. კავკასიაზე გადის შემდეგი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო პროექტები:

- „გაზის სამხრეთ დერეფანი“, რომელშიც შედის „ბაქო-თბილისი-ერზერუმის“ გაზსადენი, „ტრანსანატოლიის ბუნებრივი აირის გაზსადენი“ (TANAP), „ტრანსადრიატიკული გაზსადენი“ (TAP).
- „თეთრი ნაკადი“, გაზსადენი, რომელიც აერთიანებს აზერბაიჯანს, საქართველოსა და რუმინეთს.
- „ბაქო-თბილისი-ჯეიხანის ნავთობსადენი“.
- „ბაქო-სუფსის ნავთობსადენი“.
- „ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი“ (TRACECA).
- „ახალი აბრაშუმის სარტყელი და გზა“.

მოთამაშეები

კავკასიის რეგიონში იკვეთება სხვადასხვა მოთამაშეთა პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური და სამხედრო ინტერესები. ესენი არიან ევროკავშირი, ნატო, აშშ, თურქეთი, ჩინეთი, რუსეთი, შავი ზღვის რეგიონის ქვეყნები, კასპიის ზღვის რეგიონის ქვეყნები, სასომხეთი, აზერბიჯანი და საქართველო. აქ ჩვენ განვიხილავთ მოთამაშეთა ეკონომიკურ ინტერესებს.

- ევროკავშირი. ევროკავშირი დაინტერესებულია კავკასიის რეგიონში არსებული ენერგომატარებლებით (ნავთობი და ბუნებრივი აირი), ელექტროენერგიითა და კავკასიაში გამავალი სატრანსპორტო დერეფნებით.
  - » ნავთობი. ევროკავშირში შედის აზერბაიჯანში წარმოებული 163,5 მლნ. ბარელი ნავთობი[1] (2019 წლის მონაცემები), რაც შეადგენს ევროკავშირის საერთო იმპორტის 4%.
  - » ბუნებრივი აირი. ევროკავშირში ასევე შედის აზერბაიჯანში წარმოებული 10 მლრდ. მ3 ბუნებრივი აირი. ევროპის მასშტაბში ეს არ არის დიდი რაოდენობა, მაგრამ აძლევს საშუალებას სამხრეთ ევროპის ქვეყნებს განამტკიცონ თავისი ენერგეტიკული უსაფრთხოება.

1 EU crude oil imports and supply cost | Energy (europa.eu)

» ელექტროენერგია. ევროკავშირი დიდ ყურადღებას აქცევს მრეწველობის მავნე ზეგავლენის შემცირებასა და „მწვანე ეკონომიკის/ენერგეტიკის“ განვითარებას. ამის მისაღწევად ევროკავშირში დაგეგმილია არსებული ელექტრო დამაკავშირებელი ქსელების რეაბილიტაცია/მოდერნიზაცია და ახლის განვითარება მშენებლობა. აქ დიდი ყურადღება ექცევა ევროკავშირის სამეზობლო პროგრამაში ჩართულ ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს.[2]

» კავკასიის რეგიონში არსებული სატრანზიტო დერეფნები. ეს დერეფნები უზრუნველყოფს ევროკავშირის წვდომას ცენტრალური აზიისა და ჩინეთის რესურსებთან და ხელს უწყობს მსოფლიო ეკონომიკური კავშირების განვითარებას.

• ნატო. ნატო-ს ინტერესის სფეროში შედის კავკასიის სატრანზიტო შესაძლებლობები. ამის დასადასტურებლად საკმარისია გავიხსენოთ ის ფაქტი რომ ავღანეთში ნატო-ს ოპერაციის მომარაგების ცენტრალური მარშრუტი გადიოდა სწორედ კავკასიის რეგიონზე.

• აშშ. შეერთებული შტატების ეკონომიკური ინტერესი ამ რეგიონში ასევე განპირობებულია რეგიონის სატრანსპორტო კომუნიკაციებით, რომლის გამოყენება ხელს უწყობს აშშ-ს გავლენის გაძლიერებას ცენტრალური აზიის რეგიონში.

• ჩინეთი. ჩინეთს ასევე გააჩნია ინტერესი კავკასიის სატრანსპორტო დერეფნის მიმართ. 2013 წელს ჩინეთის პრეზიდენტსი ძინპინის მიერ გამოცხადებული „ახალი აბრაშუმის სარტყელისა და გზის“ პროექტი, რაც გულისხმობს სახმელეთო დერეფნის (სარტელი) და საზღვაო მიმართულების (გზა) შექმნას ჩინეთიდან ცენტრალური აზიისა და კავკასიის რეგიონების გავლით ევროპაში. პროექტის ფარგლებში ჩინეთი გამოთქვავას მზადყოფნას დახარჯოს 8 ტრილიონი დოლარი 68 ქვეყანაში შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობაზე.

• თურქეთი. თურქეთის ეკონომიკური ინტერესები კავკასიაში მოიცავს როგორც ნავთობსა და ბუნებრივ აირს, ასევე კავკასიაში გამავალ სატრანზიტო გზებს.

» თურქეთი აღრმავებს თანამშრომლობას SOCAR-თან, რომელიც ანვითარებს ალიაგაში (იზმირის პროვინცია, თურქეთი) ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას (SOCAR Turkey Aegean Refinery - STAR). აღნიშნული ქარხნა გადაამუშავებს 10 მლნ. ტონა ნავთობს წელიწადში.[3] ეს საშუალებას აძლევს თურქეთს, აწარმოოს ნავთობპროდუქტები როგორც შიდა მოხმარებისთვის, ასევე საექსპორტოდ.

» თურქეთი მოიხმარს 48,1 მლრდ მ3 ბუნებრივ აირს წელიწადში. ამ რაოდენობის 11,5 მლრდ მ3 მოდის აზერბაიჯანიდან, რაც შეადგენს 20,5% მთელი იმპორტიდან. აზერბაიჯანის შაჰ-დენიზიზს საბადოს განვითარებასთან ერთად ეს რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება.

» „გაზის სამხრეთ დერეფნის“ განვითარება ხელს უწყობს თურქეთის როლის ზრდას როგორც გაზის ტრანზიტის ჰაბის ევროპის სამხრეთ მიმართულებაზე. ამ ჰაბში იქნება გაერთიანებული გაზი მომავალი კასპიის რეგიონიდან და გაზი მომავალი ახლო აღმოსავლეთიდან.

» TRACECA-სა და „აბრაშუმის სარტყელის“ პროექტების განვითარება ახალი „სტამბული“ საზღვაო არხის მშენებლობასთან ერთად სერიოზულად განავითარებს თურქეთის სატრანზიტო შესაძლებლობებს.

• კასპიის ზღვის და შავი ზღვის რეგიონების ქვეყნების მთავარი ინტერესი კავკასიის რეგიოში არის კავკასიის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. მისი განვითარება აამაღლებს შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების სატრანზიტო შესაძლებლობებს. ხოლო კასპიის ზღვის რეგიონისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს გაუხსნის გზას ევროპაში რუსეთის გვერდის ავლით, რაც შეასუსტებს რუსეთის კონტროლს ამ ქვეყნებზე და უფრო მეტ თავისუფლებას მისცემს მათ თავისი ეროვნული პოლიტიკის გატარების თვალსაზრისით.

• რუსეთი. რუსეთს ასევე გააჩნია ეკონომიკური ინტერესები კავკასიის რეგიონში, მაგრამ სხვა მოთამაშეებისგან განსხვავებით, ეს ინტერესები ვლინდება ორნაირად.

» ერთის მხრივ, რუსული ბიზნესი დაინტერესებულია კავკასიის რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის განვითარებითა და მისი გამოყენებით. აქ ჩვენ შეიძლება ვისაუბროთ ენერგეტიკასა და ტრანზიტზე, როგორც ჩრდილოეთი-სამხრეთის, რუსეთი-ირანისა და რუსეთი-სასომხეთის მიმართულების, ასევე აღმოსავლეთი-დასავლეთის მიმართულების, TRACECA-სა და „ახალი აბრაშუმის სარტყელი/გზის“ პროექტების გამოყენებაზე.

» მეორეს მხრივ, რუსეთი ცდილობს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მეთოდებით კონტროლის დამყარებას ამ რესურსებზე. იმ შემთხვევაში, თუ ეკონიმიკური გზებით ამ კონტროლის დამყარება ვერ ხერხდება, მაშინ რუსეთი არ ერიდება ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას. ამის მაგალითად შეიძლება გავიხსენოთ 2008 წელს ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსასდენის აფეთქების მცდელობა და საქართველოს

2 „Electricity interconnections with neighbouring countries, Second report of the Commission Expert Group on electricity interconnection targets“, Luxembourg: Publications Office of the European Union, 2019

3 STAR Aegean Refinery SOCAR Izmir Province Turkey (nsenergybusiness.com)

რკინიგზის აფეთქება.

» რუსეთს კატეგორიულად არ მოწონს და ყველანაირად ხელს შეუშლის ენერგომატარებლების სატრანზიტო პროექტებს. „გაზის სამხრეთ დერეფანი“ პირდაპირ კონკურენციას უწევს რუსეთს ევროპის გაზით მომარაგებაში და ქმნის ევროპის გაზით მომარაგების დივერსიფიკაციის საშუალებას. ასევე პერსპექტიული „ტრანსკასპიური გაზსადენი“ საშუალებას მისცემს ცენტრალური აზიის ქვეყნებს მოიპოვონ მეტი თავისუფლება რუსეთიდან, რაც გააძლიერებს ევროპის ენერგოუსაფრთხოებას და რაც ასევე მნიშვნელოვანია, შეარყევს რუსეთის პოზიციებს ევროპის ენერგეტიკულ ბაზარზე.

» დღესდღეობით, რუსეთი, არამდგრადი და არაპროგნოზირებადი სიტუაციის შექმნით, საფრთხეს უქმნის კავკასიის რეგიონის ეკონომიკური განვითერებას. აფხაზეში, სამაჩაბლოსა და სომხეთში (გიუმრი) განლაგებული სამხედრო ბაზები მზად არიან ნებისმიერ დროს დაიწყონ სამხედრო მოქმედებები კავკასიის რეგიონში არსებული სატრაზიტო ინფრასტრუქტურის გადასაჭრელად, ხოლო ამ ბაზებზე განლაგებული საჰაერო თავდაცვის სისტემები მთლიანად აკონტროლებს კავკასიის საჰაერო სივრცეს. ეს მუდმივი საფრთხე აქვეითებს რეგიონის მიმზიდველობას ინვესტორებისთვის და შედეგად, აფერხებს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას.

• სასომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო. კავკასიის სამივე სახელმწიფოს საბოლოო ჯამში აქვთ მსგავსი მიზანი - სტაბილური გარემოს შექმნა, მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაცია და ეკონომიკური განვითარება. თუმცა, გზები, რომელიც აქვთ არჩეული განსხვავდება ერთმანეთისგან. სასომხეთმა აირჩია რუსეთის „ხიშტებზე“ დამყარებული სტაბილობის გზა. ეს გზა მისთვის არის წამგებიანი, ვინაიდან თიშავს მას რეგიონალური და მსოფლიო საინტეგრაციო პროცესებიდან. აზერბაიჯანსა და საქართველოს სიტუაცია განსხვავდება. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქვეყანას გააჩნია ტერიტორიული პრობლემები, მათ მოახერხეს ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვა, რამაც მოუტანა მათ დამოუკიდებლობის უფრო მაღალი ხარისხი და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები. რუსეთმა ფაქტობრივად დაკარგა ყველანაირი ბერკეტი ამ სახელმწიფოების მიმართ და დარჩა მხოლოდ სამხედრო „კომბალი“ რომლის გამოყენება არ იქნება შესაძლებელი სრული მასშტაბით, ვინაიდან კავკასიის დიდი თამაშის სხვა დიდი მოთამაშეები - ევროკავშირი, ნატო, აშშ, ჩინეთი, თურქეთი დაიცავენ თუ არა ამ სახელმწიფოებს, თავის ეკონომიკურ ინტერესებს მაინც.

შეჯამება

ყოველივი ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ჩვენ შეიძლება დავასკვნათ, რომ დიდმა თამაშმა კავკასიის რეგიონში გვაჩვენა ორი მიდგომა, რომელსაც იყებენ მოთამაშენი.

პირველი არის თანამშრომლობა, რომელიც დამყარებულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების სტანდარტებსა და წესებზე. ეს თანამშრომლობა ხელს უწყობს არა მხოლოდ კავკასიის რეგიონის, არამედ მასთან დაკავშირებული რეგიონების განვითარებას. გარდა სუფთა ეკონომიკურისა, ეს პროექტები ხელს უწყობს რეგიონის პოლიტიკურ სტაბილობას და საბოლოო ჯამში - მშვიდობას.

მეორე მიდგომა, რომელსაც იყენებს რუსეთი არის ნეოიმპერიალისტული და ნეობოლშევიკური. პრინციპებს, რომელიც გამოხატავს ამ მიდგომას - „გათიშე და იბატონე“, „ვინც ჩვენთან არ არის ის ჩვენს წინააღმდეგია“, მივყევართ არასისდისიერი კონკურენციისკენ, გათიშულობისკენ, დიდი ქვეყნის პატარა ქვეყნების ექსპლუატაციისკენ.

და მაინც, ვინ არის ან იქნება გამარჯვებული ამ დიდი თამასში? ჩვენ შეიძლება ვთქვათ, რომ აქ არ იქნება ერთი გამარჯვებული. გაიმარჯვებს ყველა მოთამაშე, რომლებიც ჩართულნი არიან ინტეგრაციულ პროცესებში. დამარცხებული კი იქნება ისინი, ვინც ამ პროცესებს ეწინააღმდეგება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. EU crude oil imports and supply cost | Energy (europa.eu)
   https://ec.europa.eu/energy/data-analysis/eu-crude-oil-imports_en
2. „Electricity interconnections with neighboring countries, Second report of the Commission Expert Group on electricity interconnection targets “, Luxembourg: Publications Office of the European Union, 2019
3. STAR Aegean Refinery SOCAR Izmir Province Turkey (nsenergybusiness.com)
   https://www.nsenergybusiness.com/projects/star-aegean-refinery/#:~:text=SOCAR%20Turkey%20Aegean%20Refinery%20%28STAR%29%20is%20an%20oil,which%20is%20equivalent%20to%20214%2C000%20barrels%20a%20day.

რეგიონში წარმოებულ სამხედრო კონფლიქტებში თავდაცვის ძალების ასიმეტრიული შესაძლებლობების გამოყენების მნიშვნელობა და სამომავლო პერსპექტივები

THE IMPORTANCE AND FUTURE PROSPECTS OF USING ASYMMETRIC CAPABILITIES OF THE DEFENSE FORCES IN MILITARY CONFLICTS IN THE REGION

ლევან მაისურაძე
სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი,
სამხედრო ინჟინერიის სადოქტორო პროგრამა

LEVAN MAISURADZE
LEPL GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY, STUDENT DOCTORAL PROGRAM ON MILITARY ENGINEERING

თბილისი
TBILISI
2021

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია კავკასიის რეგიონსა და ახლო აღმოსავლეთში წარმოებული საბრძოლო მოქმედებები, რომლებსაც მკვეთრად გამოკვეთილი ასიმეტრიული ხასიათი აქვს. გაანალიზებულია თანამედროვე ასიმეტრიული ომი, რომლის წარმოებისთვის გამოიყენება ახალი ტექნოლოგიები, რაც თავისთავად ცვლის საბრძოლო მოქმედებების ხერხებსა და მეთდებს. აღნიშნულ საკითხზე არაერთი კვლევაა არსებობს, თუმცა წინამდებარე ნაშრომში ყურადღება მახვილდება ოპერატიული ცვლადების, სპეციალური ოპერაციების ძალების, უპილოტო საფრენი აპარატების, საინფორმაციო ომის წარმოების სპეციფიკაზე. საილუსტრაციოდ განხილულია ყარაბაღის ომში აზერბაიჯანის მხრიდან მცირე ჯგუფების მოქმედება, რომლებმაც რადიკალურად შეცვალეს ფართომასშტაბიანი შეტევების პრინციპები. ასევე გამახვილებულია ყურადღება უპილოტო საფრები აპარატების მიერ სამიზნეების აღმოჩენასა და განადგურებაზე, ამ პროცესის ამსახველი მასალების ინტერნეტსივრცეში გავცელების ეფექტზე. საინფორმაციო ზემოქმედების კუთხით აქცენტი გაკეთბულია მოწინააღმდეგის ჯარისკაცების ფსიქოლოგიურად დაშინების მნიშვნელობაზე. დასკვნის სახით შეთავაზებულია, რომ კავკასიის რეგიონში სამხედრო საფრთხეზე საპასუხოდ თავდაცვის ძალებმა განავითარონ ისეთი შესაძლებლობები, რომლებიც ასიმეტრიული ომის წარმოების საშუალებას იძლევა.

საკვანძო სიტყვები:
ასიმეტრიული. ომი. ძალები. ოპერაცია. ტექნოლოგია. საინფორმაციო.

ABSTRACT

This paper discusses the hostilities in the Caucasus region and in the Middle East, which have a pronounced asymmetric character. The paper analyses modern asymmetric warfare too, for the production of which new technologies are used, which in itself changes the methods and means of combat operations. There are a lot of researches on this issue, however, this paper focuses on the specifics of operational variables, special operation forces, drones and information warfare. To illustrate this issue, the actions of small groups on the part of Azerbaijan in the Karabakh war, which radically changed the principles of large-scale attacks is the perfect example. This paper focuses on the detection and destruction of targets by unmanned aerial vehicles and emphasizes the effect of the dissemination of these materials on the Internet on this process. In terms of information impact, the emphasis is on the importance of psychologically intimidating enemy soldiers. In conclusion, it is suggested that in response to the military threat in the Caucasus region, the defense forces should develop capabilities that will enable the production of asymmetric warfare.

KEYWORDS:
Asymmetric.Warfare. Forces. Operation. Technology. Information.

კავკასიის რეგიონსა და ახლო აღმოსავლეთში ბოლო პერიოდში წარმოებულმა სამხედრო კონფლიქტებმა ასიმეტრიული ომის ხასიათი მიიღო,რადგან ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა დაპირისპირებული ძალების შესაძლებლობები, ტექნოლოგიები და ტაქტიკა. ძირითადი ძალისხმევა მოიცავდა მოწინააღმდეგეზე ინფორმაციულ და ფსიქოლოგიურ წნეხს. აღნიშნული გარემოებები უბიძგებს საქართველოს თავდაცვის ძალებს, ბრძოლის წარმოების ახალი მეთოდების გათვალისწინებით განავითარონ ასიმეტრიული შესაძლებლობები როგორც მომავლის პერსპექტივა, რადგან სწორედ ასიმეტრიული ომი იძლევა რიცხობრივად აღმატებულ მოწინააღმდეგეზე უპირატესობის მოპოვების საშუალებას.

ასიმეტრიულ ომს, ჩვეულებრივ, კონფლიქტს უწოდებენ, რომელშიც დაპირისპირებული მხარეების რესურსები განსხვავდება. ბრძოლის დროს ისინი ცდილობენ თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ ერთმანეთის სუსტი მხარეები, არსებული დისბალანსი. თუ კონვენციური მოქმედებები უმეტესწილად მიმართულია ოპონენტის სამხედრო ძალის გასანეიტრალებლად, ასიმეტრიული მიდგომა გამიზნულია გამარჯვების მოსაპოვებლად სხვადასხვა ფარული და სპეციალური ხასიათის მეთოდების გამოყენებით, მაგალითად, პარტიზანული ბრძოლით, ტერორიზმით და სხვ.

ასიმეტრიულ ომში სუსტი მხარე მიმართავს არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგიასა და ტაქტიკას, რათა გაანეიტრალოს საკუთარი თავდაცვითი ძალებისა და აღჭურვილობის ნაკლოვანებები როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად. ეს მიდგომა განსხვავდება ტრადიციული, პირდაპირი მოქმედების, სტრატეგიისგან, როდესაც მხარეებს აქვთ შედარებით თანაბარი სამხედრო ძალა, რესურსი და ეყრდნობიან ტაქტიკას, რომელიც მთლიანობაში მსგავსია, განსხვავდება მხოლოდ დეტალებითა და შესრულების ხერხებით. ამ მეთოდის გამოყენება დაფუძნებულია მცირე ზომის ქვედანაყოფებით ბრძოლაზე და ფართომაშტაბიანი შეტაკებების თავიდან აცილებაზე.

ტერმინი პირველად ენდრიუ მაკომმა 1975 წელს გამოიყენა აკადემიურ ჟურნალში World Politics და დაწერასტატია - „რატომ მარცხდებიან დიდი სახელმწიფოები პატარა ომებში – ასიმეტრიული კონფლიქტის პოლიტიკა“. „ასიმეტრიული“ მოხსენიებული იყო როგორც ძალთა მნიშვნელოვანი დისბალანსი კონფლიქტში მოწინააღმდეგე მხარეებს შორის. „ძალა“ ამ კონტექსტში ნიშნავს მატერიალურ ძალას, მაგალითად, დიდი არმიას, დახვეწილ იარაღს, მოწინავე ეკონომიკასა და ა.შ. თავდაპირველად მაკომის ანალიზი მეტწილად უგულებელყოფილ იქნა, მაგრამ ცივი ომის დამთავრებამ ამ საკითხისადმი ახალი ინტერესი გამოიწვია სამხედრო თეორეტიკოსების მხრიდან. 1990-იანი წლების ბოლოს მაკომის მოსაზრება აქტუალობას იძენს, ხოლო 2004 წლის შემდეგ აშშ-ის სამხედრო თეორეტიკოსებმა საფუძვლიანად დაიწყეს ასიმეტრიულ ომთან დაკავშირებული პრობლემების განხილვა.

ასიმეტრიული ომი მკაფიოდ განსხვავდება კონვენციური ოპერაციებისგან ორი ასპექტით. **პირველი**, ეს არის ომი, რომელიც მოიცავს საზოგადოებას. კონფლიქტის მიზანია, არასამხედრო უპირატესობის, არამედ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება. სამხედრო ძალას შეუძლია წვლილი შეიტანოს ამგვარი კონფლიქტის გადაჭრაში, მაგრამ ამას არ ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა. სამხედრო ძალების ეფექტური გამოყენების შედეგად შეიძლება შეიქმნას ისეთი პირობები, რომლებში ცსახელმწიფო ძალაუფლების სხვა ინსტრუმენტები შეძლებენ მათი ზეგავლენის გამოყენებას. **მეორე** ასპექტის მიხედვით, ასიმეტრიული ომი აქცენტს აკეთებს არაპირდაპირ მიდგომაზე და მიზნად ისახავს პირდაპირი სამხედრო კონფრონტაციის თავიდან აცილებას. ის ცდილობს არარეგულარული ძალებისა და არაპირდაპირი მეთოდების (როგორიცაა, ტერორიზმი) კომბინირებას მოწინააღმდეგის დასამარცხებლად. ხშირად სუსტი მხარისთვის ეს არის ბრძოლის ერთადერთი რეალური საშუალება. ასიმეტრიული მოქმედებებით ხდება მტრის ნებისყოფის გატეხა მისი უწყვეტი დაუძლურებითა და დაბალი დონის მუდმივი ზეწოლით.

თანამედროვე მსოფლიოში ტექნოლოგიურმა განვითარებამ მრავალფეროვანი გახადა ომში მიზნის მისაღწევად პირდაპირი და არაპირდაპირი სტრატეგიის განხორციელების შესაძლებლობა. ომის თანამედროვე ხასიათი, რა თქმა უნდა, შეიცავს კლასიკურ კონცეფციებს, მაგრამ ამავდროულად გამოირჩევა წინა თაობის ომებისგან იმით, რომ მასში სამხედრო ცვლადთან ერთად, კომბინირებულად გამოიყენება პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ინფორმაციული, ინფრასტრუქტურული, ფიზიკური გარემოსა და დროის ცვლადები (იხ.ცხრილი1). ხშირ შემთხვევაში სამხედრო ცვლადი ვლინდება გვიან ეტაპზე. სწორედ ეს ნოვაციური ომის იდეა აქვს გამოყენებული რუსეთის ფედერაციის გენერალური შტაბის უფროსს, ვლადიმერ გერასიმოვს, 2014 წლის რუსეთ-უკრაინის სამხედრო კონფლიქტის დროს. ის აღნიშნავს: „სამხედრო და არასამხედრო საშუალებების კომბინირებული, კოორდინირებული გამოყენების მიზანია არა განადგურება, არამედ მოწინააღმდეგე სახელმწიფოსა და შეიარაღებული ძალების დაუძლურება. არა მოწინააღმდეგის ჯარისკაცების დახოცვა, არამედ მათი საბრძოლო სულისკვეთების ჩახშობა და წინააღმდეგობის უნარის წართმევა. მთავარი სამიზნეა დამიანის ფსიქიკა და საინფორმაციო სივრცეა“.

თანამედროვე (ახალი თაობის) ომს აქვს სპეციფიკური მახასიათებლები, როგორებიცაა: ახალი ტექნოლოგიები, მაღალი სიზუსტის იარაღი, დისტანციური მოქმედების საშუალებების ფართოდ გამოყენების შესაძლებლობა, კარგად გაწვრთნილი და მობილური მცირე ქვედანაყოფების მოქმედებები, საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ოპერაციების წარმოება ყველა სფეროში და ფართო მიზნებით, ერთიან საინფორმაციო გარემოში ძალებისა და საშუალებების მართვა. ახალი თაობის ომის დროს კონფლიქტი ხშირ შემთხვევაში მიმდინარეობს გამოუცხადებლად და აგრესორი მხარე უარყოფს მასში მონაწილეობას. ამის მაგალითია 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია და უკრაინის აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენები.

ცვლადი	აღწერა
პოლიტიკა	❖ ცენტრალური მთავრობა; ❖ პოლიტიკური პარტიები და ინტერესები; ❖ ადგილობრივი მთავრობები.
სამხედრო	❖ შეიარაღებული ძალები და ხელმძღვანელობა; ❖ შიდა უსაფრთხოება; ❖ სამხედრო ინდუსტრიული კომპონენტები და უზრუნველყოფა.
ეკონომიკური	❖ წარმოება და მიწოდება; ❖ მოხმარება და განაწილება.
სოციალური	❖ ძირითადი საჭიროებები; ❖ სოციალური ჯგუფები და ინტერესები.
ინფრასტრუქტურა	❖ კომუნალური კომპლექსები და ტრანსპორტირება; ❖ მრეწველობა და საზოგადოებრივი თავშეყრის ობიექტები.
ინფორმაცია	❖ გლობალური საინფორმაციო ქსელი; ❖ ეროვნული საინფორმაციო ქსელი; ❖ თავდაცვის საინფორმაციო ქსელი.
ფიზიკური გარემო	❖ გეოგრაფია და ადამიანის მიერ შექმნილი სტრუქტურები; ❖ კლიმატი და ამინდი.
დრო	❖ რეგულარულად მიმდინარე მოვლენების სიხშირე და თანმიმდევრობა; ❖ მოსახლეობის სამუშაო, სამსახურებრივი და თავისუფალი დროის აქტივობების განრიგი.

ცხრილი1. *პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური, სოციალური, ინფორმაციული, ინფრასტრუქტურული, ფიზიკური გარემო და დრო (PMESII-PT) ცვლადების აღწერა.*

დღეს კონფლიქტებში ბევრად ეფექტურად გამოიყენება კარგად გაწვრთნილი მცირე ზომის ქვედანაყოფები როგორც კონვენციური, ასევე ასიმეტრიული (არალეგურალური) ძალების სახით. შესაბამისად, გაზრდილია სპეციალური ოპერაციების ძალების როლი, რადგან მათ უნდა შეძლონ აწარმოონ ოპერაციები ნებისმიერი ოპერატიული გარემოს პირობებში. როგორც სპეციალური ოპერაციების ძალების ქვედანაყოფების, ისე პარტიზანების გამოყენება მეტად ეფექტურია მტრულ და გაურკვეველ გარემოში. ისინი ახორციელებენ ინფილტრაციას მოწინააღმდეგის კონტროლირებად ტერიტორიაზე რთული რელიეფისა და ამინდის მიუხედავად, ატარებენ ოპერაციებს იმ დროს და იმ ადგილზე, სადაც ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენება შეზღუდულია.

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ჩეჩნეთში წარმოებულმა ომებმა წარმოაჩინა ასიმეტრიული ტაქტიკის გამოყენების ეფექტურობა, როდესაც ჩეჩენი მებრძოლები (პარტიზანები) 1994-1996 წლებში მთელი ორი წლის განმავლობაში უპირისპირდებოდნენ მათზე გაცილებით ძლიერ მოწინააღმდეგეს. პროფესიონალი სამხედროებით დაკომპლექტებულ რაზმებში აერთიანებდნენ მოხალისეებს დაადგილმდებარეობის ხელსაყრელი პირობების გათვალისწინებით, მცირე ჯგუფებით ებრძოდნენ მოწინააღმდეგეს. ასიმეტრიული მოქმედებების ქვაკუთხედი იყო მტრის ძლიერი მხარეებისთვის თავის არიდება ან მათი განეიტრალება, ხოლო მოულოდნელობის ეფექტის გამოყენებით ახლო ბრძოლების წარმართვა. ასიმეტრიული მოქმედებების

ტაქტიკის გამოყენების თვალსაზრისით, ამ ომში ასევე განსაკუთრებული ადგილი ეჭირა დასახლებულ პუნქტებში, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, მცირე ჯგუფებად ბრძოლების წარმართვას.

ასიმეტრიული ტაქტიკის გამოყენების ერთ-ერთ წარმატებულ მაგალითს წარმოადგენს 2020 წლის შემოდგომაზე ყარაბაღის ომში აზერბაიჯანის სპეციალური ოპერაციის ძალების მიერ განხორციელებული ლაჩინის კორიდორისთვის შეზღუდვის ოპერაცია. ტრადიციული ომის სახმელეთო ძალების ფრონტალური შეტაკებები წარმატებით ჩანაცვლდა მაღალმანევრული უკონტაქტო საბრძოლო მოქმედებებით. აქ კი წამყვანი როლი ითამაშა მცირე ქვედანაყოფებით ბრძოლის ტაქტიკის მიზანმიმართულად გამოყენებამ. კარგად მომზადებულმა და გაწვრთნილმა სპეციალური დანიშნულების ჯგუფებმა ეფექტურად იმოქმედეს ყარაბაღში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში სტრატეგიული და ოპერატიული დანიშნულების ტერიტორიების გაკონტროლების თვალთახედვით, რის შედეგადაც მიაღწიეს კიდეც მიზანს. მათ შეძლეს შეუონვა, რთული რელიეფის გადალახვა და ლაჩინის კორიდორზე კონტროლის დამყარება. შედეგად შეზღუდეს მოწინააღმდეგის მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო მარშრუტი იმ დროს, როდესაც იქ ჯერ კიდევ არ იყვნენ მისული აზერბაიჯანის სახმელეთო ჯარების ნაწილები.

სპეციალური ოპერაციების ძალები ასევე ეფექტურად გამოიყენეს უკრაინაში, სადაც ე.წ. „მწვანე კაცუნებმა“ წინააღმეგობის გაწევის გარეშე 2014 წლის 27 თებერვალს, გამთენიისას, დაიკავეს ყირიმის პარლამენტი, შემდეგ რეგიონალური მთავრობის შენობა და სიმფოროპოლის აეროპორტი. მათ ასევე შეძლეს სამხედრო ბაზების ბლოკირება და უკრაინელი სამხედროების განიარაღება, ხოლო 10 დღის შემდეგ უზრუნველყვეს რეფერენდუმის ჩატარება უკრაინიდან გამოყოფის მოთხოვნით.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსეთმა გამოიყენა უკრაინაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისი და გადამწყვეტი მოქმედებები წამოიწყო ზუსტად იმ დღეს, როდესაც ოპოზიციურმა პარტიებმა დროებითი მთავრობა ჩამოაყალიბეს. იმ მომენტში არ იყვნენ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღები პირები და არც ძალოვან უწყებებს ჰქონდათ წინააღმდეგობის გაწევის უნარი. სწორედეს უკანასკნელიაახალი თაობის ომის ერთ-ერთი მიზანი – „წინაააღმდეგობის გაწევის სურვილის დაკარგვა“. აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ ცხადყოფს ასიმეტრიული მოქმედებებით, შეიარაღებული ბრძოლის გარაშე, მოწინააღმდეგის დამარცხების შესაძლებლობას.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ბოლო პერიოდში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტებში აქტიურად გამოიყენება უპილოტო საფრენი აპარატები, რომლებიც მნიშვნელოვნად ცვლიან ომის ბუნებას. 2006 წლის ლიბანის მეორე ომი, რომელიც ასიმეტრიული მოქმედების ხასიათს ატარებდა ისრაელის შეიარაღებულ ძალებსა და ჰესბოლას შორის, იყო ისტორიაში პირველი ომი, რომელშიც დაფიქსირდა უფრო მეტი უპილოტო ფრენის საათი, ვიდრე მოიერიშე ავიაციისა.

უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენების მაღალმა ეფექტიანობამ ბიძგი მისცა სახელმწიფოებს დაეწყოთ სხვადასხვა დანიშნულების უპილოტო საფრენი აპარატებით საკუთარი შეიარაღებული ძალების აღჭურვა. მათი საბრძოლო შესაძლებლობების ზრდასთან ერთად დაიხვეწა ბრძოლის წარმოების მეთოდები. საფრენი აპარატების კონცენტრირება მოხდა ქვედანაყოფებში, რომლებიც მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენდნენ მოწინააღმდეგისთვის. რეალურ დროში ბრძოლის ველზე ოპერატიული ინფორმაციის მიღებამ, სადაზვერვო და შემტევი შესაძლებლობების კომბინაციამ შექმნა იმის პირობა, რომ კიდევ უფრო მრავალფეროვანი გამხდარიყო უპილოტოების გამოყენება, რამაც უზრუნველყო ბრძოლაში საჰაერო უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობა და ადამიანური დანაკარგის გარეშე ამოცანის შესრულება. სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებამ ეკონომიკურად შედარებით სუსტ სახელმწიფოებს გაუჩინა შესაძლებლობა უპილოტო ავიაციის განვითარებით უზრუნველყონ სადაზვერვო და საბრძოლო მიზნით ასიმეტრიული ოპერაციების საჰაერო მხარდაჭერა.

სირიასა და ყარაბაღში ჩატარებული ოპერაციების წარმატებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებას. მათი საშუალებით გაიზარდა სამიზნის აღმოჩენისა და განადგურების შესაძლებლობები როგორც მიზანჩვენებისა და ცეცხლის კორექტირების კუთხით, ასევე სამიზნეზე ,,კამიკაძე“ დრონებით იერიშის მიტანით. უპილოტო საფრენი აპარატებით გადაღებული იერიშის ვიდეოკადრების ინტერნეტით გავრცელებამ დამანგრეველი გავლენა მოახდინა მოწინააღმდეგის ფსიქიკაზე, რამაც გააადვილა ოპერაციებში წარმატების მიღწევა.

ახალი თაობის ომებში ასევე განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება საინფორმაციო ოპერაციებზე, რომლებიც სამხედრო ოპერაციების განუყოფელი ნაწილია. ინფორმაციული ოპერაციების მთავარი მიზანია ინფორმაციული უპირატესობის მოპოვება და შენარჩუნება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სწორი გადაწყვეტილებების მიღება. იგი აერთიანებს სამხედრო ქმედებებს, ძალებსა და შესაძლებლობებს ოპერატიული გარემოს დომინირებით (ჰაერი, ხმელეთი, ზღვა და კოსმოსი), რათა შექმნას და/ან შეინარჩუნოს

სასურველი შედეგი მოწინააღმდეგის მეთაურებზე, ძალებზე (რეგულარულ ან არარეგულარულ), ინფორმაციაზე, ინფორმაციულ სისტემასა და სხვ.

საინფორმაციო უპირატესობის მნიშვნელობაზე უძველესი დროიდან მახვილდებოდა ყურადღება. ჩინელი სამხედრო თეორეტიკოსი სუნ ძი სამხედრო ხელოვნების ტრაქტატში აღნიშნავს: ყველა ომი დაფუძნებულია მოტყუებაზე. ის გვთავაზობს თავი ავარიდოთ მტრის კონცენტრილებულ ძალებს და მოტყუებით დავესხათ მათ თავს. შეიძლება ითქვას, რომ რეალურად სუნ ძიმ სტრატეგია ააგო ასიმეტრიაზე, რაც ძალზე მსგავსია იმ სიტუაციისა, რომელშიც დღეს 21-ე საუკუნის კონფლიქტები მიმდინარეობს.

საინფორმაციო ომში ასიმეტრია მოიცავს გარკვეული სახის დროის ასპექტს. მას შეიძლება ჰქონდეს როგორც მოკლევადიანი, ასევე ხანგრძლივი ეფექტები. თუ დავაკვირდებით ბოლო პერიოდში წარმოებულ სამხედრო კონფლიქტებს, მაგალითად, 2020 წლის ყარაბარის ომს, დავინახავთ, რომ აზერბაიჯანელების ,,კამიკაძე“ უპილოტოების მიერ ქვედანაყოფებზე შეტევების ამსახველმა ვიდეოკადრებმა გამანადგურებლად იმოქმედა სომხეთის თავდაცვის ძალებზე, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა დეზერტირობა და მოშალა საბრძოლო სულისკვეთება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კავკასიის რეგიონში და ახლო აღმოსავლეთში ბოლო პერიოდში წარმოებულმა სამხედრო კონფლიქტების ანალიზმა მკაფიოდ გამოავლინა ახალი ტექნოლოგიების გამოყენების პერსპექტივები. საინფორმაციო ომმა, სპეციალური ოპერაციების ძალებისა და უპილოტო საფრენი აპარატების ფართო გამოყენებამ გაზარდა საომარი მოქმედებების ეფექტურობა, რაც მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებებს იძლევა. შესაბამისად, თავდაცვის საშუალებების სრულყოფა ორიენტირებული უნდა იყოს ასიმეტრიული შესაძლებლობების გამოყენების პრესპექტივებზე, რადგან საქართველოს თავდაცის ძალების მკვეთრად ლიმიტირებული რესურსი ვერ უზრუნველყოფს ყველა მიმართულების თანაბრად განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სვიმონიშვილი, გიორგი. რუსული რადიოელექტრონული ბრძოლის სისტემები თურქული დრონების წინააღმდეგ: 29.10.2020. https://iberiamagazine.com/krasukha-dronebis-winaagmdeg/(25.03.2021)
2. ანთაძე,გიორგი.2020.ჯეოქეისი.ეროვნული უსაფრთხოება. საგარეოპოლიტიკა.GC ანალიზი. ყარაბაღის გაკვეთილები https://www.geocase.ge/ka/publications/266/yarabaghis-gakvetilebi (27.03.2021).
3. ნ. კონდარი, სუნ ძი, თბილისი 2000
4. Wilson Andrew, Ukraine Crisis: What It Means for the West, 2014
5. Georgia 2008, Ukraine 2014: Is Moldova Next? United States. Congress. Commission on Security and Cooperation in Europe, Washington 2015
6. Scott C. Farquhar, Back to Basics: A Study of the Second Lebanon War and Operation CAST LEAD, 2009
7. Raphael D. Marcus, Israel's Long War with Hezbollah: Military Innovation and Adaptation Under Fire. 2017
8. Michael J. BoyleThe Drone Age: How Drone Technology Will Change War and Peace, 2020
9. Malik AyubSumbal, ovuz to Karabakh: A Comprehensive Analysis of War in South-Caucasus, Independent Publ, Mar 23, 2021
10. Adam Baczko, Gilles Dorronsoro, Arthur Quesnay,Civil War in Syria: Mobilization and Competing Social Orders, 2017
11. Olga Oliker, Russia's Chechen Wars 1994-2000: Lessons from Urban Combat, 2001
12. The Fight For Nagorno-Karabakh: Documenting Losses on The Sides Of Armenia and Azerbaijan .https://www.oryxspioenkop.com/2020/09/the-fight-for-nagorno-karabakh.html (21.03.2021)
13. Герасимов Валерий, Ценность науки в предвидении Новые вызовы требуют переосмыслить формы и способы ведения боевых действий, 26 февраля 2013

სამხრეთ კავკასია - გეოპოლიტიკური ცვლილებები და სტაბილურობის დილემა

SOUTH CAUCASUS - GEOPOLITICAL CHANGES AND THE DILEMMA OF STABILITY

ქეთევან მესხიძე
მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების
მიმართულების ასოცირებული პროფესორი
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

KETEVAN MESKHIDZE
ASSOCIATE PROFESSOR,
MASTER'S DEGREE PROGRAM IN THE FIELD OF SECURITY STUDIES
LEPL DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

თბილისი
TBILISI
2021

აბსტრაქტი

სტატიაში გაანალიზებულია ბოლო პერიოდის განმავლობაში საერთაშორისო ასპარეზზე არსებული პოლიტიკური პროცესები, რომლისთვისაც დამახასიათებელია სიღრმე, ყოვლისმომცველი მასშტაბები და კონცენტრირებული ფორმით ასახავს ყველაზე რთული გეოპოლიტიკური პროცესების დინამიკას და ძველსა და ახალს შორის ურთიერთობის დიალექტიკას მსოფლიო პოლიტიკაში. გლობალიზაციის პროცესში აშკარა გახდა წინააღმდეგობრივი ტენდენციები და სულ უფრო დიდი საფრთხე დაემუქრა საერთშორისო სტრატეგიულ სტაბილურობას. უპრეცედენტო გლობალური ცვლილებების შედეგად რადიკალურად იცვლება თავად მსოფლიო პოლიტიკური კონტურებიც.

მკვეთრად იზრდება ლოკალურ და რეგიონალურ კონფლიქტთა გეოპოლიტიკური მნიშვნელობა, რომელთა ინტერნაციონალიზაცია აძლიერებს დაძაბულობას მსოფლიოში, რაც წარმოშობს ახალ გამოწვევებსა და საფრთხეებს ქვეყნებისა და ხალხისთვის (Chitadze 2015).

მსოფლიო პოლიტიკური პროცესები განიხილება, როგორც მოქნილი მობილობის, ცვალებადობის, მრავალი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორის დინამიკური ურთიერთქმედება, რომლებიც განსაზღვრავენ მსოფლიო საზოგადოების განვითარების არსს, ხასიათსა და ვექტორებს.

თანამედროვე გეოპოლიტიკური პროცესების მიმდინარეობის ასეთი სპეციფიკა ნიშანდობლივია მსოფლიოს ბევრი რეგიონისა და მათ შორის სამხრეთ კავკასიისთვის, რომელიც სწორედ ახლა იძენს ახალ პოლიტიკურ წონასა და კონტურებს და დიდი ხანია წარმოადგენს მსოფლიო პოლიტიკურ მოღვაწეთა ინტერესის საგანს. აქედან გამომდინარე, ნაშრომში აქცენტირება გაკეთებულია სამხრეთ კავკასიაზე - გლობალური გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციისა და უსაფრთხოების ახალი გამოწვევების ჭრილში, განსაკუთრებით საქართველოსთან მიმართებაში, რომელიც წარმოადგენს ფართო არეალს განსხვავებული ინტერესების მქონე მსოფლიო დიდ პოლიტიკურ მოთამაშეთა დაპირისპირების ფონზე.

საკვანძო სიტყვები:
სამხრეთ კავკასია, ყარაბაღი, ძალთა ბალანსი, ახალი სტატუს-ქვო, სტრატეგიული სტაბილურობა, გეოპოლიტიკური ტრანსფორმაცია.

ABSTRACT

The article analyzes the recent political processes in the international arena, which are characterized by the extensive, comprehensive scale with a special emphasis on the dynamics of most complex geological processes and dialogue between old and new in a word politics.

In the process of globalization, contradictory tendencies became apparent, thus, increasing the threat to international strategic stability. As a result of unprecedented global changes, the world political contours themselves are changing drastically.

The geopolitical significance of local and regional conflicts is increasing dramatically, the internationalization of which intensifies tensions in the world, creating new challenges and threats for countries and peoples (Chitadze 2015).

World political processes are seen as dynamic interactions of flexible mobility, variability, multiple objective and subjective factors that define the essence, vectors and nature of the world community progress.

Many regions of the world, including the South Caucasus, which is currently gaining new political weight and contours while been the subject of interest of world political figures, are marked with such particularities of modern geopolitical processes. Therefore, the paper focuses on the South Caucasus - in the context of new global geopolitical transformation and security challenges, making the special emphasis on Georgia, which is a wide area amid confrontations between major world political players with different interests.

KEYWORDS:
South Caucasus, Karabakh, the balance of power, new status quo, strategic stability, geopolitical transformation.

ბოლო პერიოდის განმავლობაში მსოფლიო პოლიტიკური სისტემის ცვლილებამ ახალი პოლიტიკური რეალობა ჩამოაყალიბა. გლობალიზაციისა და ძალთა ცვალებადი გლობალური ბალანსის პირობებში თავს იჩენს გავლენის ახალი ცენტრები. იცვლება მსოფლიო პოლიტიკის სახელმწიფო და არასახელმწიფო მოთამაშეთა ურთიერთზემოქმედების ხასიათი, ბუნება და აქედან გამომდინარე, თვითონ „მოთამაშის" ცნება მსოფლიო პოლიტიკაში, რომელიც ახალ კონტურებს იძენს იმ არასახელმწიფო მოთამაშეთა ხარჯზე, რომლებიც ამ როლში სერიოზულად არ განიხილებოდნენ.

ამჟამად, არასახელმწიფო მოთამაშებს შეუძლია დამოუკიდებელი როლის თამაში საერთაშოროსო-პოლიტიკურ სისტემაში, რამდენადაც მათი პოტენციალი ხდება რელური ძალა. ამასთან, გლობალიზაციის პროცესში ადგილი აქვს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების უგულებელყოფას, მოქმედებას იწყებს ძალისმიერი კანონი, სახეზეა ძალისმიერი ფაქტორის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის ზრდა მსოფლიო პოლიტიკაში და სამართალი ადგილს უთმობს გეოპოლიტიკური მიზანშეწონილობის ენას.

მზარდ ურთიერთდამოკიდებულებასა და აქედან გამომდინარე, თანამშრომლობის დიდ შესაძლებლობებთან ერთად, სულ უფრო მეტად იჩენს თავს საერთაშორისო-პოლიტიკური კონკურენაცია, იზრდება შეიარაღებული კონფლიქტების რიცხვი და ღრმავდება მსოფლიო დარეგულირების კრიზისი. რიგი სახელმწიფოების სწრაფვა ჰეგემონიის შენარჩუნებისკენ უბიძგებს მათ უფრო მეტი აგრესიული საერთაშორისო პოლიტიკის გატარებისადმი.

კონკურენციის ასეთი გეოგრაფიული პლატფორმა მთელს მსოფლიოშია, რაც დამახასიათებელია მრავალი რეგიონისა და მათშორის კავკაიისთვისაც.

კავკასიის რეგიონი მდებარეობს შავი და კასპიის ზღვებს შორის, აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ-დასავლეთ აზიის საზღვარზე. ეს არის დიდი კავკასიონის ქედის სამხრეთით მდებარე ტერიტორია, რომელიც ამჟამინდელი პოლიტიკური რუკის მიხედვით მოიცავს საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს. ჩრდილოეთით კი ესაზღვრება რუსეთის ფედერაციის ნაწილს (ჩიქოვანი 2006, გვ. 116).

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული რეგიონი დიდი ხნია საერთაშორისო დღის წესრიგში პერიფერიად განიხილებოდა, საბჭოთა კავშირის დაშლისა და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ფორმირების შემდეგ, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, როგორც მეზობელი ქვეყნების, ისე გავლენიანი არარეგიონალური აქტორებისთვისაც (Markedonov 2012). ამჟამად, სამხრეთ კავკასია წარმოადენს მრავალმხრივ გამორჩეულ რეგიონს როგორც გეოპოლიტიკური, ისე სტრატეგიული მნიშვნელობის თვალსაზრისით. თუმცა, რეგიონი იმყოფება არაერთი გამოწვევის წინაშე გადაუჭრელი კონფლიქტებისა და საბჭოთა კავშირის დაშლით გამოწვეული სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების თვალსაზრისით (Bartlett, Samvelidze, 2013). რეგიონში არსებული გაყინული კონფლიქტები კი დიდი ხანია წარმოადგენს დაძაბულობის წყაროს როგორც საქართველოს, ისე მეზობელი ქვეყნებისთვისაც.

1.1. სამხრეთ კავკასია, როგორც მსოფლიო დიდ მოთამაშეთა გეოპოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო-სტრატეგიულ ინტერესთა გზაჯვარედინი

მსოფლიო პოლიტიკაში ძალისმიერი ხაზების აშკარა გადატვირთვით გამოწვეული არასტაბილურობისა და არეულობის ზრდა მსოფლიო წესრიგში - ახალ გამოწვევად იქცა 21-ე საუკუნეში, რომელიც გამოხატულებას ჰპოვებს ყველაზე ძლიერ მოთამაშეთა შორის ძალთა ბალანსში, ხასიათსა და გავლენის სფეროების გადანაწილებაში.

დღის წესრიგში რჩება დაპირისპირება მთელ რიგ წამყვან სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ცდილობენ საკუთარი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესების დაცვას მსოფლიო ასპარეზზე (Ozkan, 2008, p.2). შესაძლოა კონკურენციის გაძლიერება ძლიერ მოთამაშეთა შორის, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში გავლენის სფეროების გადანაწილებისთვის, სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე რესურსებზე, საქონელსა და კაპიტალზე კონტროლის განსახორციელებლად. სწორედ ყველაზე ძლიერი მოთამაშეები აყალიბებენ საერთაშორისო გეოპოლიტიკურ წესრიგს და თვითონვე ცდილობენ პოლიტიკური ქცევის წესების განსაზღვრას სხვა დანარჩენებისთვისაც.

ისტორიულად, ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასია ყოველთვის იყო დამაკავშირებელი ხიდი ევროპასა და აზიას, ქრისტიანულ და ისლამურ ცივილიზაციებს შორის და წარმოადგენდა სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო კომუნიკაციების სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე არტერიას მთელ რიგ დიდ სახელმწიფოთათვის. აგრეთვე, კასპიისა და შავ ზღვაზე ხელსაყრელი ეკონომიკური და სტრატეგიული პოზიციების განმტკიცებისა

და სტაბილურობის ფაქტორებს მსოფლიოს ძლიერ მოთამაშეთა საერთაშორისო ურთიერთობებში (Гаджиев 2010.44). ყოველივე ეს, შავი და კასპიის ზღვის რეგიონში კონცენტრირებულ უმდიდრეს ენერგეტიკულ წყაროებსა და სხვა ბუნებრივ რესურსებზე (Бжезинский 1997. 46) რეგიონალურ და არარეგიონალურ აქტორთა შორის დიდი დაინტერესებისა და მიმზიდველობის გათვალისწინებით, კავკასიის რეგიონს განსაკუთრებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება რეგიონალურ გეოპოლიტიკაში.

ამჟამად კავკასიის რეგიონი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ გეოგრაფიულ არეალს უსაფრთხოების თვალსაზრისით, რომლის „გეოსტრატეგიული" მიმზიდველობა და პოლიტიკური თუ სამხედრო კონფლიქტები, მთელ რიგ „დიდ მოთამაშეთა" წინააღმდეგობრივ ინტერესებსა და ბრძოლასთან ერთად რეგიონის უმდიდრეს ენერგეტიკულ წყაროებსა და სხვა ბუნებრივ რესურსებზე წვდომის მოსაპოვებლად - განაპირობებს მრავალი გამოწვევისა და საფრთხის კონცენტრაციის მიზეზს.

მსოფლიო წესრიგის ბიპოლარული სისტემის დაშლასთან ერთად, რომელიც დაფუძნეული იყო ორ იდეოლოგიას შორის მკაცრ დაპირისპირებაზე, პრიორიტეტს იძენს ეკონომიკური და სტრატეგიული ინტერესები, რომელთა რეალიზება ხშირად წარმოებს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სამხედრო საშუალებებითაც. გეოპოლიტიკური პროცესების ხასიათის ამგვარმა ცვლილებამ წინასწარ განსაზღვრა მის მონაწილეთა შემადგენლობის გაფართოება. მაგალითად, ირანი და თურქეთი, როგორც მეზობელი სახელმწიფოები, ყოველთვის ცდილობდნენ ურთიერთობების განვითარებას სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან. განსაკუთრებით გაიზარდა რეგიონის როლი და მნიშვნელობა პოსტსაბჭოთა პერიოდში, როდესაც მთავარ პრიორიტეტად იქცა მნიშვნელოვანი რესურსების აზიიდან ევროპაში უნიკალური სატრანზიტო შესაძლებლობები, როგორც სახმელეთო დერეფანის - თურქეთისა და საბერძნეთის გავლით, ისე კასპიისა და შავი ზღვის საშუალებით (Гаджиев 2009).

ამდენად, სუბრეგიონალური და რეგიონალური დონის ტრადიციულ აქტორთა გარდა, როგორიცაა საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, ირანი, თურქეთი და ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანა, კავკასიის მიმართულება სულ უფრო დიდი მნიშვნელობას იძენს შეერთებული შტატებისა და ევროპის წამყვან სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაში.

სტრატეგიული კონტროლი კავკასიის რეგიონზე უზრუნველყოფს ცენტრალური აზიის რეგიონებზე სწრაფ წვდომას (Гаджиев 2010, 318), რაც თავის მხრივ წარმოადგენს მნიშვნელოვან ელემენტს ჩინეთისა და მომავალში, რუსეთის მზარდი გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ძალეუფლების შეზღუდვისა და შეკავების თვალსაზრისით.

ამგვარმა ვითარებამ საფუძველი ჩაუყარა კავკასიაში ე.წ. „დიდი გეოპოლიტიკური თამაშის" გაშლა-გაფართოებას.

ვინ არიან რეალური მოთამაშეები სამხრეთ კავკასიაში? ვინ წარმოადგენს რეალურ ძალას სამხედრო, ეკონომიკურ და პოლიტიკის სფეროში? ამჟამად არსებული მოცემულობით, პასუხები თითქოს არცთუ ისე ძნელი გასაცემია: სამხედრო სფეროში-არიან რუსები და თურქები; ეკონომიკურში - ევროპელები და თურქებიც რა თქმა უნდა (Gabuev 2020). ისინი წარმოდგენილნი არიან როგორც საქართველოში, ისე აზერბაიჯანში - უფრო სერიოზულად; კომუნიკაციების სფეროში - ნაწილობრივ ირანი. პოლიტიკურ სფეროში - აშშ და ევროპელები.

ნებისმიერი სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს. კავკასიას, თავისი უნიკალური გეოსტრატეგიული მდებარეობის, ეთნიკური მრავალფეროვნებისა და შესაბამისად, მაღალი კონფლიქტოგენურობიდან გამომდინარე, ყოველთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში.

ამჟამად კავკასიის რეგიონი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ გეოგრაფიულ არეალს უსაფრთხოების თვალსაზრისით, რომლის „გეოსტრატეგიული" მიმზიდველობა და პოლიტიკური თუ სამხედრო კონფლიქტები, მთელ რიგ „დიდ მოთამაშეთა" წინააღმდეგობრივ ინტერესებსა და ბრძოლასთან ერთად რეგიონის უმდიდრეს ენერგეტიკულ წყაროებსა და სხვა ბუნებრივ რესურსებზე წვდომის მოსაპოვებლად - განაპირობებს მრავალი გამოწვევისა და საფრთხის კონცენტრაციის მიზეზს (Бжезинский 1997,46).

აქედან გამომდინარე, რეგიონის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენა და ანალიზი, რომელიც უზრუნველყოფს როგორც რეგიონის მაცხოვრებელთა, ისე მეზობელ ხალხთა მშვიდობიან და სტაბილურ განვითარებას, დღეს, როგორც არასდროს, ძალზე აქტუალურია და წარმოადგენს არაერთი მეცნიერის განსჯის საგანს.

გარკვეული საფრთხის შემცველია აგრეთვე სხვადასხვა აქტორთა მიერ ამ და სხვა კონფლიქტების ინტერნაციონალიზაციის მცდელობები და სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებთან დაკავშირებით

არარეგიონალურ მოთამეშეთა (აშშ, ნატო,) განსხვავებული ინტერესები. მათი სამხედრო წარმომადგენლობის გაფართოება შავი ზღვის აუზში, საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიებზე, ისევე, როგორც რეგიონის სახელმწიფოების მილიტარიზაცია (Svante E. Cornell, Roger McDermott 2004), წარმოადგენს რეგიონში ყველა მოთამაშის შეშფოთების მიზეზს.

სამხრეთ კავკასიაში არსებული გადაუჭრელი და გაყინული კონფლიქტები დამოკლეს მახვილივით[1] ადევს სომხეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს და როგორი კუთხითაც არ უნდა შევხედოთ, ამ კონფლიქტის უმთავრესი ფაქტორები რუსეთის გავლენა და მისი მხრიდან მართული არასტაბილურობაა, ისევე, როგორც მისი პოლიტიკა და ბერკეტები.

დასავლეთის მხრიდან გულგრილი დამოკიდებულება, ნატო-ს წევრი ქვეყნების ამბივალენტურ და ჩამოუყალიბებელ პოზიციებთან ერთად, საქართველოს ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით უფრო ართულებს ქვეყანაში არსებულ ვითარებასა და მოწყვლადს ხდის მას რუსეთიდან მომდინარე საფრთხეების მიმართ (Erlanger, Myers 2000), რაც უფრო მეტად ამცირებს კონფლიქტის მოგვარების ისედაც მიზერულ შანსებს.

სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო - სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფო, სამი ომი და სამი განსხვავებული გეოპოლიტიკური ორიენტაციის გზა: სომხეთი - წარმოადგენს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრს; აზერბაიჯანი - ატარებს დამოუკიდებელ პოლიტიკას მსოფლიო ძალებთან ურთიერთობების თვალსაზრისით, ხოლო საქართველო - ახდენს ნატოსკენ ორიენტირების დემონსტრირებას (ასათიანი, ლეჟავა 2014). მაგრამ, აერთიანებთ ერთი და იგივე გამოწვევები უსაფრთხოების თვალსაზრისით და ეს არის რუსეთის გავლენა და მართული არასტაბილურობა.

ამას ადასტურებს მთიანი ყარაბაღის საკითხი, რომელიც წარმოადგენდა ერთადერთ ბერკეტს, რომელის გამოყენებაც შეეძლო რუსეთს აზერბაიჯანის წინააღმდეგ ამ უკანასკნელის მხრიდან ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან და ევროკავშირთან თანამშრომლობის შესაზღუდად, რამდენადაც აზერბაიჯანის მისწრაფება უფრო მჭიდრო თანამშრომლობასთან დაკავშირებით, ეწინააღმდეგება რუსეთის ინტერესებს (Iskandarov 2015, 89), ისევე, როგორც საქართველო სწრაფვა ნატოსკენ ორიენტაციის თვალსაზრისით.

დაპირისპირება მთიან ყარაბაღში მოსკოვს არა მხოლოდ სომხეთისა და აზერბაიჯანის სხვადასხვა დონით შეკავების საშუალებას აძლევდა, არამედ მათზე საკუთარი გავლენის შენარჩუნების ერთგვარ ინსტრუმენტსაც წარმოადგენდა (Valiyev 2011, 143), ეს იყო დამატებითი ბერკეტი აზერბაიჯანის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებზე ზემოქმედებისთვის.

ზოგადად, რეგიონის ეკონომიკის განვითარების დაჩქარების ხელისშემშლელ ფაქტორად კვლავ რჩება შენარჩუნებული კონფლიქტოგენური ვითარება აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, ისევე, როგორც სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. განსაკუთრებით საფრთხის შემცველი რჩება სომხეთ-აზერბაიჯანს შორის არსებული ურთიერთობები მთიანი ყარაბაღის სტატუსიდან გამომდინარე.

ახალი სტსტუ-ქვო და ძალთა ბალანსი სამხრეთ კავკასიის რეგიონში

2.1. ყარაბაღის მეორე ომი

ბოლო პერიოდის განმავლობაში პოლიტიკურ წრეებში აქტიურად საუბრობენ ახალ სტსტუს-კვოზე და რომ ვითარება შეიცვალა. 2020 წლის ნოემბრის შემდეგ ვითარება მართლაც კარდინალურად შეიცვალა არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ რეგიონში, არამედ, მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში და უპირველეს ყოვლისა, მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა შორის ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისითაც. განსაკუთრებით კი შეერთებულ შტატებსა და ნატოს წევრებს შორის და რაღა თქმა უნდა რუსეთთან, რამდენადაც ეს ეხება მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეს, - რუსეთის, მისი ინტერესების სფეროსა და შეერთებულ შტატებსა და მის მოკავშირეთა ინტერესთა სფეროს, რომლებიც ამა თუ იმ დოზით ავლენენ აქტიურობას პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ არასახელმწიფო სექტორში (Sammut, D and Paul, A, 2011). ამიტომ სამხრეთ კავკასიისა და ყარაბაღის მეორე ომის მაგალითი წარმოადგენს ერთგვარ გაკვეთილს როგორც მთელი პოსტსაბჭოთა სივრცის, ისე მთელი დასავლეთისთვის, რამდენადაც ამ ომმა, როგორც ლაკუმუსის ქაღალდმა ისე გააშიშვლა ყველა პრობლემა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არსებობდა. მხედველობაში მაქვს დნესტრისპირეთი, მთიანი ყარაბაღი, სამაჩაბლო, აფხაზეთი, რასაც შემდეგ დაემატა ყირიმი და დონბასი. ამიტომ, ყოველივე

1 გამოთქმა, რომელიც დაკავშირებულია სირაკუზელი ტირანის - დიონისეს შესახებ ძველ ბერძნულ გადმოცემასთან და აღნიშნავს მოჩვენებითი კეთილდღეობის თანმდევ საფრთხეს. **ელერდაშვილი. ა.** დამოკლეს მახვილი - უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი; პირველი გამოცემა, თბ. ფანტაზია, 2006

ეს წარმოადგენს ერთი ჯაჭვის რგოლებს კრემლის დირიჟორობით, რომელსაც ემატება უნიჭო და სუსტი წინააღმდეგობა დასავლეთის სახელმწიფოების მხრიდან, რომლებმაც ვერ შეძლეს იმ უპირატესობის გამოეყენება, რომელიც გაუჩნდათ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. მათ შეეძლოთ ყველაფრის მიღება დიდი ძალისხმევისა და რესურსების (მათ შორის სამხედრო) ჩადების გარეშე, იმის გათვალისწინებით, თუ რა ვითარება იყო მაშინდელ რუსეთსა და მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში, რამდენად ძლიერი იყო ანტისაბჭოთა განწყობები (Rezvani 2020) და ხალხის რწმენა, რომ მოვიდა ნანატრი თავისუფლება და დემოკრატია...

დიახ, დასავლეთმა ვერ გამოიყენა ეს უნიკალური შესაძლებლობა და დღეს ყველა იმკის ამ უნიათობის შედეგს. რამდენადაც, მას შემდეგ, რაც რუსეთში სათავეში მოვიდნენ სპეცსამსახურები პუტინის თაოსნობით, ყველაფერი გართულდა.

ვითარებაში უკეთ გასარკვევად, პარალელი გავავლოთ ყარაბაღის პირველი ომის შემდეგ არსებულ მდგომარეობასთან, რამდენადაც ყველაფერი, რაც ხდებოდა მის ირგვლივ, სწორედ ის აღმოჩნდა ერთგვარი კატალიზატორისა და დეტონატორის როლში მთელი იმ პროცესებისთვის, რომელმაც ამა თუ იმ სახით დააჩქარა საბჭოთა კავშირის, ან რეიგანის სიტყვებით რომ ვთქვათ, - „ბოროტების იმპერიის“ დაშლა (აბაშიძე. 2012, გვ.8).

ამდენად, ის, რაც ხდებოდა 30 წლის წინ და რაც ხდება ახლა ერთმანეთთან კავშირშია და შედარება თვალნათელს ხდის რაოდენ შეიცვალა ვითარება დღეს. დიახ, მაშინ იყო სულ სხვა სტსტუს-კვო. რუსეთი იყო მეტ-ნაკლებად აქტიური, და არა ისეთი, როგორიც დღეს. მაგრამ მისი აქტიურობა მაშინ საკმარისი იყო განსაზღვრული პოზიციების შესანარჩუნებლად, რამდენადაც დასავლეთი არ იყო მაშინ ისეთი აქტიური, როგორიც შესაძლოა რომ ყოფილიყო. დღეს დასავლეთი დიდ ძალისხმევას იჩენს, რომ უფრო აქტიური იყოს, მაგრამ რუსეთია უკვე შეიცვალა...

აქედან გამომდინარე, სულ უფრო ნათელი ხდება რატომ შეიცვალა სტსტუს-კვო. ჯერ ერთი, ყარაბაღის პირველი ომის დროს რუსეთმა მხარი დაუჭირა სომხეთს და დაეხმარა გამარჯვების მოპოვებაში (Posen 1993). დიახ, სამ მილიონიანმა სომხეთმა ათმილიონიან ნავთობისა და გაზის უმდიდრესი რესურსების მქონე აზერბაიჯანზე გაიმარჯვა. ცხადია, აქ, რუსეთის მხარდაჭერის გარეშე, ეს შედეგი არ დადგებოდა. მაშინ, აზერბაიჯანს თურქეთის მხარდაჭერა არ ჰქონია. რა მოხდა ახლა?... ყარაბაღის მეორე ომის დროს, სტსტუს-კვო შეიცვალა უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ტერიტორიაზე, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში რუსეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, დღეს უკვე გაჩნდა კონკრეტული მოთამაშე, რუსეთის ოპონენტი - თურქეთი. შესაძლოა იგი არ არის ჯერ ისეთი, როგორც უნდა და წარმოუდგენია მის ბევრ პოლიტიკურ გულშემატკივარს, იმათ, ვისაც სურს რუსეთის განდევნა რეგიონიდან, მაგრამ, ერთმნიშვნელოვანია, რომ თურქეთი უკვე მოვიდა რეგიონში და არსად წასვლას არ აპირებს. პირიქით, მისი პოზიციები მომავალში უფრო გაძლიერდება, რაც დამოკიდებული იქნება ბევრ ფაქტორზე, როგორც რეგიონის შიდა-პოლიტიკურ პროცესებზე, რომელიც მიმართულია აზერბაიჯან, სომხეთ, საქართველოსკენ, ისე საგარეო პოლიტიკურ პროცესებზე - დასავლეთსა და რუსეთს შორის დაპირისპირებაზე და არ უნდა დაგვავიწყდეს, ის გარემოებაც, რომ თურქეთი ნატოს წევრია და მიუხედავად იმისა ვინმეს მოსწონს ეს თუ არა, ეს არის სიძლიერით მეორე არმია ნატოში და იგივე შეერთებული შტატები და დასავლეთი გამოიყენებს საჭიროების შემთხვევაში იგივე თურქეთის ყველა შესაძლებლობას, რამდენადაც მას სხვა ალტერნატივა ამ რეგიონში არ გააჩნიათ.

აქ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ვიღაცას შეუძლია შესვლა პოსტსაბჭოთა სივრცეში და მოქმედება. აქამდე, ისეთ ფაქტს, რომ პირდაპირ ჩარეულიყო ვინმე პოსტსაბჭოთა სივრცის კონფლიქტში - არასოდეს ჰქონია ადგილი - არც აფხაზეთში, არც სამხრეთ ოსეთში, არც დნეპრისპირეთში, არც ტაჯიკეთში, არც ყირგიზეთში. აქ იყო მოთამაშე თურქეთი, რომელიც უშუალოდ მხარს უჭერდა აზერბაიჯანს უსაფრთხოების სფეროში. უსაფრთხოების სფეროს ხაზგასმით ავღნიშნავ, რამდენადაც, ეკონომიკურ სფეროში თურქეთი დიდი ხანია წარმოდგენილია სამხრეთ კავკასიაში - საქართველოშიც, აზერბაიჯანშიც, ისევე როგორც ეს უკანასკნელი - თურქეთში. ეს ცვლის ვითარებას როგორც სამხრეთ კავკასიაში, ისე პოსტსაბჭოთა სივრცეზე გარე მოთამაშეთა მხრიდან ზემოქმედების მეთოდების კონფიგურაციასაც (Devdariani 2020). დიახ, თურქეთმა გაბედა, ითამაშა ეს თამაში და ის არ ყოფილა განდევნილი ამ პროცესიდან, არამედ დაჯდა მოლაპარაკების მაგიდასთან, რითაც ერთგვარი გამოწვევა ესროლა რუსეთს. ყარაბაღის მოერე ომმა კარგად აჩვენა კიდეც ეს.

თურქეთმა შეძლო რუსეთის განეიტრალება გარკვეული დროის განმავლობაში (Markedonov 2020). დასამალი არ არის და საუბარია იმაზე, რომ არსებობდა შეთანხმება მათ შორის მიმდინარე პროცესებში გარკვეულ ზღვრამდე ჩაურევლობასთან დაკავშირებით, რომელიც თვითონვე მოხაზეს და მოხაზეს აზერბაიჯანის სასარგებლოდ. შედეგად, აზერბაიჯანმა მიიღო თავისი ტერიტორიის 95% - შვიდი ოკუპირებული რაიონი და მთიანი ყარაბაღის ნაწილი - მთავარი დედაქალაქით, სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე - ქალაქ შუშათი. ამიტომ სომხეთი აღმოჩნდა დემორალიზებული და დამარცხებული მხარე.

რუსეთი ჩაერთო თამაშში, მაგრამ ეს მოხდა ბოლო მომენტში. მას სჭირდებოდა სუბიექტი მთიან ყარაბაღის სახით, რომ ყოფილიყვნენ წარმოდგენილნი სამშვიდობო მისიის რანგში და მან გააკეთა ეს.

ამჟამად სტატუს-ქვო შეიცვალა კიდევ არა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ თურქეთი გამოჩნდა რეგიონში, არამედ იმიტომაც, რომ სომხეთმა და აზერბაიჯანმა გაცვალა ადგილები. ოცდაათი წლის წინ აზერბაიჯანი იმყოფებოდა ამ მდგომარეობაში. შევხედოთ როგორ იქცევიან ამ ვითარებაში შეერთებული შტატები და საფრანგეთი - მინსკის ჯგუფის წევრები. ისინი დარჩნენ ისევ მოვლენების მიღმა მთელი ამ პროცესის განმავლობაში. მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ სამხედრო თვალსაზრისით ისინი არ მონაწილეობდნენ ამ პროცესებში და მხოლოდ ინფორმაციულად უჭერდნენ მხარს სომხეთს, მაგრამ ეს არ თამაშობს არსებით როლს რეალური ომის ვითარებაში.

აქ ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რა მოტივაცია ჰქონდა რუსეთს, თურქეთის რეგიონში შემოსაშვებად? სავარაუდოდ, მოსკოვსა და ბაქოს შორისაც იქნებოდა შეთანხმება, მაგრამ ეს სხვა საკითხია და ამას არ შევეხები. იმისთვის, რომ გავიგოთ რუსეთის მოტივაცია თურქეთის რეგიონში შემოშვებასთან დაკავშირებით, უნდა გავაკეთოთ მოკლე ექსკურსი 2015 წლიდან, როდესაც თურქეთის მიერ ჩამოგდებულ იქნა რუსული გამანადგურებელი, გარდაიცვალა პილოტი, მაგრამ მოსკოვსა და ანკარას შორის დაძაბული ურთიერთობები მალევე იქნა დახურული ორივე მხრიდან, რამდენადაც მათ მრავალმილიარდიანი ტვირთბრუნვა აკავშირებს ეკონომიკის, ტურიზმის, ბიზნესისა თუ სოფლის მეურნეობის სფეროში, ამიტომ, არცერთ მხარეს არ აწყობდა დაძაბულობის გაგრძელება. მაგრამ მალევე, მათი ინტერესები ისევ გადაიკვეთა სირიაში (Jones 2016) და იქაც შეძლეს მოლაპარაკება. თუმცა, აქ, თურქეთმა პირველად რეალურად აჩვენა თავისი ძალა და დაიღუპა უამრავი ე.წ. „ვაგნერის“[2] ჯგუფის წევრი. ყველასთვის ცნობილია, რომ ეს არის თავდაცვის სამინისტროს ელიტური ჯარი, ქვედანაყოფები, რომელიც დღეს მოქმედებენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური ხასიათის მნიშვნელოვანი ამოცანების გადასაჭრელად (Parker 2017, გვ.27).

ეს ეხება ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკას, ვენესუელას, სირიას, ლიბიასა და ა.შ. ბევრ სხვა რეგიონს. უკვე არაფერს ვამბობ პოსტსაბჭოთა სივრცეზე, სადაც ამის საჭიროება წარმოიშობა. ამიტომ, როდესაც თურქეთმა თავისი „ბაირაქტარებით“[3] მიუჩინა რუსეთს ადგილი, მოიპოვა იდლიბის პლაცდარმი, მაშინაც შეთანხმდნენ... და რა ხდება შემდეგ? პროცესებმა გადაინაცვლა ლიბიაში, და თუ გავიხსენებთ მოვლენებს, ტრიპოლში, ლიბიის დედაქალაქი გარშემორტყმული იყო გენერალ ხაფთარის ჯარებით, რომელსაც მხარს უჭერს რუსეთი, ეს ზემოაღნიშნული „ვაგნერის“ ჯგუფი, მაგრამ ბოლო მომენტში ისევ ჩაერთო თურქეთი, ხაფთარის ჯარებმა უკან დაიხია და უკვე ბლოკადის ქვეშ აღმოჩნდა ორი მნიშვნელოვანი ტერმინალი, რომლის ბლოკირებაც მოახდინეს თურქულმა ჯარებმა და ამის

შემდეგაც მოხდა შემდგომი დროებითი შეთანხმება. ყოველივე ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ მათ შეუძლიათ შეთანხმება (ანთიძე 2020).

ზემოაღნიშნულის გათვალისწიებით, შესაძლოა ითქვას, რომ მოცემულ ეტაპზე სულ სხვა სურათი იკვეთება. ამჟამად რუსეთის კონკურენტები - მისთვის ყველაზე მნიშვნელოვან - პოსტსაბჭოთა სივრცის გეოგრაფიულ რეგიონში არიან უკვე არა დიდი სახელმწიფოები (მაგალითად შეერთებული შტატები), არამედ რეგიონალური მოთამაშეები. ჩრდილო-დასავლეთით - პოლონეთი; სამხრეთ-დასავლეთით - რუმინეთი, საქართველოში - თურქეთი, ცენტრალურ აზიაში - ჩინეთი. (მართალია ეს უკანასკნელი გლობალური სახელმწიფოა, მაგრამ ცენტრალურ აზიაში გამოდის, როგორც რეგიონალური მოთამაშე) (Baranovsky 2000). სახეზეა რეგიონალურ სახელმწიფოთა ზრდა და რევიზიონისტული პოლიტიკა, რომელიც შესაძლოა ჰქონდეთ არაპოსტსაბჭოთა ქვეყნებს, რომლებიც ადრე რუსეთში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებად იწოდებოდნენ და რომლებსაც რუსეთის გავლენისა და ინტერესთა სფეროში არ უშვებდნენ, - ეს შეიცვალა ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ, თუ ამას შევხედავთ მსოფლიოს გადმოსახედიდან.

ამიტომ, რუსეთს ორი არასასურველი შესაძლებლობიდან უნდა აირჩია ერთ-ერთი, ნაკლებად მტკივნეული: ან დაპირისპირება დასავლეთთან ან დაპირისპირება თურქეთთან.

დასავლეთთან დაპირისპირება არის წმინდა იდეოლოგიური დაპირისპირება, ეს არის ძალაუფლების საკითხი პირადად პუტინისთვის. ამიტომ სამკვდრო-სასიცოცხლოდ, მტკიცედ დგას ბელორუსსა და უკრაინაში, იმიტომ რომ ეს არის მომავლის ხაზი (Rezvani 2020), ეს არის ის, რასაც აშენებდა თითქმის ოცი წლის

2 სიცხადისთვის ვიტყვი, რომ ეს არის არაოფიციალური სამხედრო ფორმირება, რომელიც მასობრივი ინფორმაციის წყაროებში ხშირად მოიხსენიება რუსული კერძო სამხედრო კამპანიის „ვაგნერის“ ჯგუფის სახელწოდებით და არსებობს მტკიცებულება, რომ 2014 წელს ჯგუფი მოქმედებდა უკრაინის ტერიტორიაზე, ხოლო შემდეგ - სირიაში. 2017 წელს კი „ვაგნერის“ ჯგუფი მოხვდა შეერთებული შტატების სანქციების სიაშიც.

3 თურქული, საშუალო სიმაღლეზე მსფრენი ოპერატილ-ტაქტიკური უპილოტო საფრენი აპარატი, რომელიც გამოირჩევა ფრენის დიდი ხანგრძლივობითა და შესაძლებელია მისი დისტანციურად ან ავტომატიურად ოპერირება. წარმოებულია თურქული კომპანია „ბაიქარის“ მიერ, უმთავრესად თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალებისთვის. „ბაირაქტარი“ ითარგმნება როგორც დროშის მატარებელი. მისი შექმნა და განვითარება დაკავშირებულია **სელჩუკ ბაირაქტარის** სახელთან, რომელიც მასაჩუსეტის ტექნოლოგიის ინსტიტუტის სტუდენტი იყო.

განმავლობაში. ამიტომ დგას ლუკაშენკოს მხარეს, რომლის მიმართაც სიმპატიებით არ გამოირჩევა, მაგრამ როგორც ბისმარკი იტყოდა, „პოლიტიკა არის შესაძლებლობების ხელოვნება“.

ხოლო თუ საკითხი ეხება თურქეთის გავლენას ამ რეგიონში, ეს ასევე მეტყველებს დასავლეთის გავლენაზე სამხრეთ კავკასიაში, ან თურქეთის გავლენაზე სამხრეთ კავკასიაზე. ამიტომ, როგორც უკვე აღნიშნულ იქნა, უნდა აერჩია ნაკლებად მტკივნეული - და მან აირჩია თურქეთი, რამდენადაც კარგადესმის, რომ დასავლეთის ფრონტზე წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია და ინარჩუნებს კიდეც ამ მდგომარეობას. (ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ 2008-დან საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის შემდეგ, 2014 წლამდე, დასავლეთს კრემლთან მიმართებაში არანაირი ქმედებები არ განუხორციელებია, რაც შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის ბარაკ ობამას უნიათო „გადატვირთვის“ პოლიტიკის შედეგს წარმოადგენდა (Khalifazadeh 2014). აგრეთვე, 2009 წელს გაშვებულ იქნა „ჩრდილოეთის ნაკადის“ პირველი გაზსადენი, ხოლო 2017 წელს - ტრამპის პრეზიდენტობის დროს - „ჩრდილოეთის ნაკადი“-2). რას ნიშნავს ეს? დასავლეთი შემოიფარგლება მხოლოდ აგრესორთან ქადაგებით, ერთის მხრივ სანქციებს უწესებენ მას, მეორეს მხრივ - დაკავებულნი არიან ჩრდილოეთის მეორე ნაკადით. ეს კი გაუგებარი და ორმაგი სტანდარტებია.

რუსეთისთვის მნიშვნელოვანია, რომ არ დაკარგოს ძალაუფლება, ხოლო თურქეთი, არ აცხადებს პრეტენზიებს კრემლში იდეოლოგიის შეცვლასთან დაკავშირებით. ის იცავს მხოლოდ თავის ინტერესებს სამხრეთ კავკასიაში, იმ ტერიტორიებზე, რომელსაც ისტორიულად ახლობლად თვლის. მაგალითად, ცენტრალური და შუა აზია, როგორც თურქულენოვანი ქვეყნები, და ეს არის მისი ინტერესის უპირველესი ზონა (McFaul 2021). ამიტომაც ამ ომში დღის წესრიგში დააყენა ყირიმის პლატფორმა, რამდენადაც ეს, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია ყირიმელ თათრებთან (McCall 2020), რომლებიც რამდენიმე მილიონი ცხოვრობს თურქეთში. ამიტომ, რუსეთი იძულებულია მოითმინოს, თუმცა წინააღმდეგობასაც უწევს. ვხედავთ ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ როგორ აწყობს პროვოკაციებს და ყველაფერში რაც ხდება სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე, - კრემლის ხელი ურევია, რამდენადაც სხვა შემთხვევაში „სამშვიდობოების“ ყოფნის დროს ასეთი რამ არ მოხდებოდა.

სომხეთის პოლიტიკური კრიზისისა და მოახლოებული არჩევნების ფონზე, ბუნებრივია, მოსკოვს სურს სომხეთის დაბრუნება და ზეწოლის მექანიზმად იყენებს იმ პლაცდარმს მთიან ყარაბაღში, რომელიც შეთანხმების შედეგად მიიღო მთიანი ყარაბაღის მეორე ომის დროს. ამიტომ, დასკვნის სახით უნდა ვთქვა, რომ პუტინი და მისი რეჟიმი წავიდა ნაკლებად მტკივნეული გზით და წავიდა გარკვეულ შეთანხმებაზე ანკარასთან, როგორც ამას ჰქონდა ადგილი სირიის, ლიბიისა და სამხრეთ კავკასიის შემთხვევაში. ყველა ეს შეთანხმება დროებითი ხასიათის მატარებელია და ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ შეიცვლება პოლიტიკური კონიუნქტურა (Yildiz 2021). ეს უკანასკნელი კი შესაძლოა შეიცვალოს იგივე აშშ-სა და რუსეთს შორის ურთიერთდამოკიდებულებიდან გამომდინარეც. ამიტომ, ბაიდენ-პუტინის შეხვედრაც განხილულ უნდა იქნას სწორედ ამ პროცესების პრიზმიდანაც. თუ დავაკვირდებით რა პროცესებს ჰქონდა ადგილი, მაგალითად ესკალაცია, შემდეგ დეესკალაცია უკრაინის ირგვლივ, შემდეგ ესკალაცია ახლო აღმოსავლეთში - თერთმეტდღიანი ომი ისრაელსა და მოძრაობა ჰამასს შორის, მეტყველებს იმაზე, რომ თითოეული ეს მხარე და უპირველეს ყოვლისა რუსეთი, ცდილობს აჩვენოს საკუთარი სიძლიერე. ეს ძალიან ჰგავს თამაშს, რომლის დროსაც შესაძლებელია სიმულაცია, იარაღის ჩხარუნი, ბირთვული იარაღით დასავლეთის საზოგადოების დაშინება და ა.შ. რაც ასე დამახასიათებელია რუსეთისთვის.

დასავლეთი დაიღალა ყოველივე ამით და მისთვის სავსებით მისაღებია ბაიდენის მიერ გაცხადებული „გადატვირთვის“ პოლიტიკა (Lee 2021). ეს ასევე მისაღები იყო მათთვის 2008 წლის შემდეგაც, როდესაც დაკავებულნი იყვნენ აგრესორთან ქადაგებებით და 2014 წლის შემდეგაც, როდესაც ანექსირებულ იქნა ყირიმი და გაჩაღდა ომი დონბასში.

როგორც ვხედავთ, პუტინი ანგარიშს უწევს მხოლოდ რეალურ ძალას, ამიტომ ამჟამად ანგარიშს უწევს მხოლოდ თურქეთს, რომელმაც აჩვენა რეალურად ეს ძალა. იგი არ უწევს ანგარიშს არც დასავლეთს და არც ამერიკას და ასეც იქნება, ვიდრე ისინი თავის ძალას არ დაანახებენ (Bartlett 2013).

სავარაუდოდ, კულისებს მიღმა ადგილი აქვს დიდ ვაჭრობასა და მოლაპარაკებებს. ალბათ კეთდება კიდეც მონახაზები და წესდება ზღვრები, ე.წ. „წითელი ხზების“ სახით, რომლის იქეთაც მთელი რიგი სახელმწიფოებისთვის გადაკვეთა იქნება აკრძალული.

უნდა დავაკვირდეთ რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფ რეგიონებში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებს და დასავლეთის რეაგირებას. უკრაინის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, დასავლეთის მხრიდან სათანადო რეაგირებას დღემდე ადგილი არ ჰქონია და შემდგომშიც, უპირველესი კერიტერიუმი იქნება ის, მიიღებს თუ არა დაჩქარებული წესით საქართველო და უკრაინა განსაკუთრებულ, ნატოს ბლოკს გარეთ მოკავშირის სტატუსს (Gamtselidze, 2018). ეს იქნება სწორედ გამოწვევა რუსეთისთვის და მაჩვენებელი იმისა, რომ დასავლეთი

იმოქმედებს მომავალშიც. წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთი კვლავ განაგრძობს ზეწოლას ამ რეგიონებზე და აამოქმედებს მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტს.

2.2. საქართველო სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციისა და უსაფრთხოების ახალი გამოწვევების ჭრილში

დასრულდა ომი ყარაბაღში და ხელმოწერილ იქნა სამშვიდობო ხელშეკრულება. რას ნიშნავს ახალი სტატუს-ქვო და ძალთა ახალი ბალანსი საქართველოსთვის?

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ საქართველომ შეძლო ყველაზე მძიმე შესაძლო სცენარის თავიდან აცილება (შარაშენიძე 2020). საბედნიეროდ, მას არ დასჭირვებია მძიმე გადაწყვეტილების მიღება საქართველოს ტერიტორიით სამხედრო დერაფანთან დაკავშირებით და ნეიტრალიტეტი ბოლომდე შეინარჩუნა, რის შედეგადაც არც ოფიციალური ბაქოსა და არც ერევნის მხრიდან საქართველოს მისამართით რაიმე სახის ბრალდებებს ადგილი არ ჰქონია.

იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის ბაზა ისედაც თბილისის მახლობლადაა განთავსებული, რუსი „სამშვიდობოები“ ლაჩინთან, საქართველოსთან მიმართებაში ბევრს არაფერს ცვლის და ამ თვალსაზრისით საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით რაიმე განსაკუთრებულ ცვლილებებს არ უნდა ველოდეთ.

თუმცა, აღნიშნულ უნდა იქნას, რომ, სამშვიდობო შეთანხმების თანახმად, აზერბაიჯანი ნახიჩივანს დაუკავშრდება სახმელეთო დერეფანის საშუალებით, ხოლო ნახიჩივანის გავლით - თურქეთს. აქედან გამომდინარე, არსებობს ვარაუდი, რომ ეს მოცემულობა შეასუსტებს საქართველოს სატრანზიტო ფუნქციას, მაგრამ სავარაუდოდ, ეს მცირე ზარალთან იქნება დაკავშირებული.

რუსეთის პოზიციების გამყარებისა და იმის მიუხედავად, რომ კვლავ რჩება რეგიონში დიდი მოთამაშის რანგში (შარაშენიშე 2020), გამარჯვებულ მხარეს მაინც აზერბაიჯანი წარმოადგენს და ეს არის სერიოზული განაცხადი. აზერბაიჯანის გაძლიერება ზრდის საქართველოს ენერგოდერეფნების (ბაქო-თბილისი-ერზრუმი) როლს და ახალი დამატებითი პროექტების გაჩენის შესაძლებლობებს (Baku-Tbilisi-Erzurum Gas Pipeline 2015), რომლის წყალობითაც შესაძლოა უფრო მნიშვნელოვან და მიმზიდველ მარშრუტადაც კი გადაიქცეს ევროპისთვის.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ენერგოპოლიტიკა და განვითარების შემდგომი პერსპექტივები

ევროკავშირის გაზრდილი ინტერესი სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების მიმართ აიხსნება ორგანიზაციის გაფართოებით, რომელიც ახლა მოიცავს შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული ყურადღება მიპყრობილია თურქეთისკენ, რომელიც სამხრეთ კავსაკიის სამივე ქვეყანას ესაზღვრება. ევროკავშირის წევრები დაინტერესებულნი არიან თავიანთი გავლენის გაფართოვებით კავკასიის რეგიონში, რომელსაც არა მხოლოდ ენერგომატარებლების სტრატეგიულად მნიშვნელოვან ბაზრად, არამედ გეოგრაფიულად, ეკონომიკურად მომგებიან სატრანსპორტო მარშრუტად მიიჩნევენ, აგრეთვე ერთგვარ პლაცდარმადაც, რომელიც უზრუნველყოფს გასასვლელს კასპიის ზღვის რესურსებზე, ირანს, ცენტრაურ აზიასა და ჩინეთთან. შესაბამისად, ამიერკავკასიის სტრატეგიული მნიშველობა ევროპაში სტაბილურობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით იზრდება (Averre 2010).

ბოლო პერიოდის განმავლობაში სამეცნიერო წრეებში აქტიურად განიხილება „სამი ზღვის სისტემასთან“ დაკავშირებული კონცეფცია, სადაც სამხრეთ კავკასია წარმოადგენს უფრო ფართო რეგიონის ნაწილს, რომელიც ვრცელდება ხმელთაშუაზღვის ჩათვლით და აღიარებულია, რომ „სამხრეთ კავკასიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აღნიშნულ სისტემაში გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური თვალსაზრისით“.

მართლაც, რეგიონი წარმოადგენს სტრატეგიულად მნიშვნელოვან სატრანსპორტო კვანძს, სადაც ხდება კომუნიკაციებისა და სავაჭრო მარშრუტების გადაკვეთა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ (უძველესი აბრეშმის გზა) და სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ.

კავკასიის პოლიტიკის სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში ევროკავშირის მთავარ პრიორიტეტს საბაზრო ეკონომიკის განვითარება და ევროპელი ინვესტორებისთვის მიმზიდველი ბიზნეს კლიმატის შექმნა წარმოადგენს.

ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, შესაძლოა ითქვას, რომ ჯერ-ჯერობით აქ მხოლოდ რეალობას წარმოადგენს რეგიონის ცალკეულ ბლოკებად დანაწევრება. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მონაწილეობა სხვადასხვა ინტეგრაციულ პროცესებსა და გაერთიანებებში, რა თქმა უნდა ხელს უწყობს თანამშრომლობის ახალი პლატფორმის შემუშავებას, მაგრამ ამავდროულად, მხარს უჭერს არსებულ კონფლიქტებს.

ხშირად სწორედ კონფლიქტები განაპირობებს ახალი ტრანსნაციონალური გაერთიანებების შექმნას, შემდგომ განვითარებასა და ინტეგრაციის პროცესებს. ამჟამინდელი სახით, როგორც ჩანს, რეგიონალური ტრანსნაციონალური ინტეგრაცია იქცა ერთგვარ მანკიერ წრედ, რომელიც ხელს უწყობს კონფლიქტების გაღრმავებასა და ამავდროულად მისი გადაჭრის საშუალებადაც განიხილება. ეს ეხება არა მხოლოდ კონფლიქტებს რეგიონის ქვეყნებს შიგნით, არამედ, რთულ და ზოგჯერ დაძაბულ ურთიერთობებს დიდ მეზობლებთან - თურქეთთან, ირანთან და რუსეთთან.

რეგიონში ენერგეტიკული პროექტები ვითარდება აზერბაიჯანის ნახშირწყალბადის რესურსების ირგვლივ, რაც იწვევს რეგიონით ისეთი დიდი მოთამაშეების დაინტერესებას, როგორიცაა შეერთებული შტატები, ევროკავშირი და რუსეთი. აზერბაიჯანმა შეიმუშავა თავისი ენერგეტიკული სტრატეგია სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში საკუთარი ენერგოუსაფრთხოებისა და საერთაშორისო ბაზარზე კასპიის აუზებიდან ნავთობისა და ბუნებრივი აირის ექსპორტზე დაყრდნობით, რუსეთის გვერდის ავლით (EU/Azerbaijan Action Plan 2006). ყაზახეთი მდიდარია ნავთობრესურსებით, ხოლო თურქმენეთი - ბუნებრივი აირით. აზერბაიჯანს კი გააჩნია როგორც ნავთობის, ისე ბუნებრივი აირის უდიდესი მარაგი. თურქეთისთვის აზერბაიჯანს უკავია სტრატეგიული მდგომარეობა როგორც საკუთარი ენერგორესურსების, ისე ყაზახური ნავთობისა და თურქმენეთის გაზის თურქეთსა და ევროპაში ტრანსპორტირების თვალსაზრისით (Abbasov 2012).

აქედან გამომდინარე, თურქეთი აქტიურად თანამშრომლობს აზერბაიჯანთან ენერგეტიკის სფეროში, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მათ სტრატეგიულ პარტნიორობას. სწორედ ორ ქვეყანას შორის ენერგეტიკულმა თანამშრომლობამ განაპირობა ისეთი პროექტების შექმნა, როგორიცაა **ბაქო-სუფსის** (Baku-Supsa Western Export pipeline, 2015), **ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენები** (Starr S., Svante E, 2015), **ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი** (რომელიც ასევე ცნობილია როგორც სამხრეთ კავკასიის გაზსადენი) (Baku-Tbilisi-Erzurum Gas Pipeline, 2015). **ტრანსატლანტიკური გაზსადენი „TANAP"-ი**, რომლის მილსადენი თურქეთ-საქართველოს საზღვარზე არდაჰანის დაბა ფოსოვში მდებარე სოფელ თურქოზუში იწყება და 20 პროვინციასა და 67 დაბაზე გადის, 1850 კილომეტრის შემდეგ კი ედირნეს დაბა იპსალაში სრულდება, საიდანაც ბუნებრივი აირი ევროპის ქვეყნებს მიწოდება. აგრეთვე **ტრანს-ადრიატიკის გაზსადენი „TAP"-ი**. საქართველო, როგორც სატრანზიტო ქვეყანა მონაწილეობს ყველა ამ პროექტში ამ უკანასკნელის გარდა.

არსებობს მილსადენების მშენებლობის სხვადასხვა პროექტიც, რომელიც კასპიის ზღვის ფსკერის გასწვრივ ირანიდან, თურქმენეთიდან, ყაზახეთიდან და ცენტრალური აზიის სხვა სახელმწიფოებიდან აზერბაიჯანში და შემდეგ საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიების გავლით ევროკავშირის ქვეყნებისთვის გაზის მიწოდებას გულისხმობს.

ასევე მნიშვნელოვანია 2017 წელს **ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის** გახსნა. მოსალოდნელია, რომ პირველ ეტაპზე ამ 800 კილომეტრიანი მონაკვეთით წელიწადში დაახლოებით 1 მილიონი ადამიანის გადაყვანა იქნება შესაძლებელი, ხოლო ტვირთბრუნვის მოცულობა - 6 მილიონი ტონა. შემდგომ ეტაპებზე კი აღნიშნული მაჩვენებლები ორჯერ მაინც გაიზრდება (Тарасов 2017).

როგორც ვხედავთ, თურქეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის ჩამოყალიბებულ იქნა სტაბილური თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში. ენერგეტიკული პროექტების ასეთი სახით ჩამოყალიბებამ გამოიწვია რეგიონის ორ მხარედ დაყოფა, რომელთაგან ერთ მხარეს წარმოადგენს ენერგოპარტნიორობის წევრები, მეორეს კი რუსეთი, სომხეთი და ირანი, რომლებიც ცდილობენ ითამაშონ საკუთარი თამაშის წესების შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანი, რომელსაც აქვს ამბიცია იყოს რეგიონში ყველაზე ძლიერი მოთამაშე, ასევე იყენებს ყველა ამ ენერგოპროექტს სომხეთის ენერგეტიკული ბლოკადისთვის.

იქამდე, ვიდრე დიდი ენერგეტიკული პროექტები იქნება აქტუალური, სამხრეთ კავკასიის, როგორც ერთიანი რეგიონული ეკონომიკური სივრცის ცალკეულ ბლოკებად დაყოფაც დარჩება ერთადერთ რეალობად. იმის გათვალისწინებით, რომ ენერგორესურსების მსოფლიო ბაზრებამდე მისატანად, სამხრეთ კავკასიის სატრანზიტო პოტენციალს უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება შეუძლია, რეგიონის უსაფრთხოება და სტაბილურობა მნიშვნელოვან გამოწვევად დარჩება ყველა მოთამაშისთვის. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენერგეტიკული ბაზრის წევრი ქვეყნების (აშშ. ევროკავშირი) პოლიტიკურ მხარდაჭერას როგორც შიდა და გარე მომდინარე საფრთხეების პრევენციის, ისე ფინანსური მხარდაჭერისა და ინვესტიციების მოზიდვის

თვალსაზრისით, რაც ჯერ ერთი, გაზრდიდა ინფრასტრუქტურის პოლიტიკურ როლს და მეორეც, დადებითად აისახებოდა რეგიონის სტაბილურობაზე.

დასკვნა

დასკვნის სახით შესაძლოა ითქვას, რომ კავკასიის რეგიონში ვითარების განვითარების პროგნოზირებისას, როგორც ჩანს, მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნას სამი გარემოება. კერძოდ: პირველი, რეგიონში ყველა მოთამაშის პოზიციის გათვალისწინება; მეორე - მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას, რომ შეუძლებელია კავკასიის რეგიონის მხოლოდ რომელიმე სუბრეგიონის ვითარების იზოლირება, რამდენადაც ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური და ნათესაური კავშირებით; და ბოლოს, მესამე - აუცილებელია იმის გაგება, რომელ რეგიონსა თუ სფეროშია შესაძლებელი ინტერესთა თანხვედრა მომავალში კომპრომისის მისაღწევად.

უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები შეუძლებელია გადაჭრილ იქნას რეგიონის ერთი რომელიმე სახელმწიფოს სასარგებლოდ. ყველა ისინი ამა თუ იმ დოზით დაინტერესებულნი არიან არა ერთმანეთთან კონფლიქტით, არამედ, არამედ, სისტემური რეგიონალური თანამშრომლობით (Shiriyev 2016).

აქედან გამომდინარე, გარკვეული რეკომენდაციის სახით შესაძლოა ითქვას, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა:

1. ძალისხმევის გააქტიურება კავკასიის რეგიონში უსაფრთხოების ეფექტური სისტემის შესაქმნელად, რომელიც დაფუძნებული იქნება რეგიონის ყველა მოთამაშის ერთიან მიდგომაზე აღნიშნული საკითხის გადაჭრასთან დაკავშირებით;

2. თურქეთთან, ირანთან და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან მაქსიმალური დაახლოება და ინტერესთა საერთო სფეროებზე დაყრდნობით სისტემური რეგიონალური თანამშრომლობის ორგანიზება, რომელიც ორიენტირებული იქნება ახალი საინტერესო პროექტების შეთავაზებასა და ინვესტიციების მოზიდვაზე, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს რეგიონის სტაბულურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას;

გამოყენებული ლიტერატურა

- ანთიძე გ. (2020) ყარაბაღის ომის გეოპოლიტიკური შუქ-ჩრდილები; https://bit.ly/3iDfKca;
- აბაშიძე, ზ. (2012). დანგრეული კედლის ჩრდილში. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა;
- ასათიანი ს. ლეჟავა ნ. (2014) სამხრეთ კავკასია გზაჯვარედინზე: რთული რეალობა და დიდი მოლოდინები, თბილისი, 2014;
- გაჩეჩილაძე, რ. (2013). საქართველო მსოფლიო კონტექსტში. საბჭოთა კავშირის დაშლის პოლიტიკური გეოგრაფია, კონფლიქტი მთიანი ყარაბაღის გამო. 519-524. საქართველოს სამეზობლო, ჩვენი მეზობლები – სომხეთი და აზერბაიჯანი. 728- 735. თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა;
- რადვანი, ჟ. ბერუჩაშვილი, ნ. (2011). კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი. „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“;
- რონდელი, ა. (2006). საერთაშორისო ურთიერთობები. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“;
- რონდელი, ა. (2009). პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში. პოსტსაბჭოური სახელმწიფო, ოთხი მთავარი პრობლემა. 229-231. თბილისი, გამომცემლობა ნეკერი;
- პიპინაშვილი, დ. (2009). სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები. დისერტაცია. თბილისი:თსუ;
- ჩიქოვანი ნინო - რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში: სალექციო კურსი სოც.მეცნ. მაგისტრატურისთვის; მთ.რედ. მარინე ჩიტაშვილი, თბილისი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი 2006, გვ. 116;
- შარაშენიძე თორნიკე (2020) ყარაბაღი - ახალი სტატუს-ქვო და საქართველო, https://publika.ge/article/yarabaghi-akhali-status-kvo-da-saqartvelo;
- Asmus Ron, Bruce Jackson, This concept was further developed, See ‘The Black Sea and the Frontiers of Freedom’, Policy Review (June/July 2004);
- Abbasov, Shanin. 2012. ‘Azerbaijan & Turkmenistan: Renewing Caspian Sea Energy Dispute.’ Eurasianet. org, 11 July. http://www.eurasianet.org/node/65646;
- Averre, D. L. (2010) ‘The EU, Russia and the Shared Neighbourhood: Security, Governance and Energy’, European Security 19(4): 531–4;
- Bartlett Joshua and Samvelidze Nino, (2013) “Turkey and the South Caucasus: Prospects and Challenges for Cooperation,” , https://bit.ly/3iz6CFv;
- Baranovsky Vladimir (Jul., 2000) Russia: A Part of Europe or Apart from Europe? International Affairs (Royal Institute of International Affairs 1944) Vol. 76, No. 3, Europe: Where Does It Begin and End? pp. 443-458 (16 pages), Published By: Oxford University Press; https://www.jstor.org/stable/2625948
- Brooke, James. 2012. ‘Why Russia has lost a generation of Georgians’. The Moscow Times, 4 October. http:// https://bit.ly/358lYJj
- „Baku-Tbilisi-Ceyhan (BTC) Main Export Oil Pipeline. (2015). Retrieved from http:// www.socar.az/socar/en/activities/transportation/baku-tbilisi-ceyhan-btc-main-export-oilpipeline
- Baku-Tbilisi-Erzurum Gas Pipeline. (2015). Retrieved from https://bit.ly/3q3xIWX
- Baku-Supsa Western Export pipeline. (2015). Retrieved from https://bit.ly/2Tzw97c
- Chitadze Nika, (2011) “NATO: One of the Main Guarantees of Peace and Security in South Caucasus,” in Perceptions of NATO and the New Strategic Concept, ed. Luis Nuno Ro¬drigues and Volodymyr Dubovyk (Amsterdam: IOS Press, 61-73;
- Chitadze Nika (2015) Regional and Local Conflicts in the Modern World Political Map, Journal of Social Sciences; ISSN: 2233-3878; Volume 4, Issue 1, 2015

- Covenant of Mayors Committed to local sustainable energy. (2015). Retriever from http://www.covenantofmayors.eu/IMG/pdf/covenantofmayors_text_en.pdf
- Darchiashvili, D.(2012). The August War: A Case for International Relations Theory and an Understanding of Modern Threat. https://bit.ly/3zntgqf;
- Devdariani Jaba (2020) How Turkey challenges Russia in the Caucasus, Foreign and Security Policy, https://bit.ly/3wyMpUh
- Davis, Jacquelyn & Sweeney, Michael. (January 2004) Central Asia in U.S. Strategy and Operational Planning: Where Do We Go From Here?– P. 27.
- Erlanger Steven and Myers Steven Lee. (2000) Op. cit. American Hegemony in an Unplanned World order, Journal of Conflict & Security Law , Oxford University Press ;
- EU/Azerbaijan Action Plan. (2006). Retrieved from https://bit.ly/35qSUwF
- Freni, S. (2013). Causes of Violent Conflict in the Caucasus Since the Collapse of Communism. Inquires Journal/student Pulse.
- Gadzhiyev L. S Comparative analysis of the power systems of the South Caucasus States, 2018, no 3, pp. 46–57
- Gabuev Alexander (November 2020) Playing Great Games in the South Caucasus, Carnegie Middle East Center, http//https://carnegie-mec.org/diwan/83207
- Gamtselidze, David. 2018. The reasons Georgia's disappointment in its pro-Western stance. Carnegie Moscow Center. Accessed November 19, 2018. https://carnegie.ru/commentary/60818
- Ikenberry J. G. After Victory: Institutions, Stratégie Restraints, and the Rebuilding of Order After Major Wars. Princeton, NJ: Princeton University Press, 2001. 293 p.
- Iskandarov Khayal, 19 (2015, 89) "The Road of Integration of Azerbaijan into NATO (1994-2014)," The Caucasus and the World;
- Jones D. Jihadist Ties to Turkish-Backed Free Syrian Army Rebels Raises Questions // Voice of America, 2016. URL: https://bit.ly/3cy18qA;
- Khalifazadeh Mahir, (July 27, 2014) "The South Caucasus: Obama's Russia 'Reset' and Putin's Doc¬trine," CESRAN International, https://bit.ly/3zi7bcF;
- Lee Matthew (2021) Resetting US foreign policy after Trump, Biden declares: 'Diplomacy is back', https://bit.ly/3gxQSBl;
- Markedonov Sergey, "NATO Looks to the Caucasus," The National Interest, May 17, 2012, https://bit.ly/3pLnUAF
- Markedonov Sergey (2020) South Caucasus: the conflict dynamics, https://bit.ly/3gvKSZG;
- McFaul Michael (2021) How to Contain Putin's Russia, A Strategy for Countering a Rising Revisionist Power, weekly newsletter Foreign Affairs, https://fam.ag/2TyUM3L;
- McCall Michael (2020) Turkey and Russia: A New Paradigm for Regional Rivalries? TASS/Russian Ministry of Foreign Affairs, https://bit.ly/3cOMjQO;
- Nabiyev Bakhtiyar, Azerbaijan as an important geopolitical center of the South Caucasus in the politics of the leading states of the world and region, Baku State University, History Department, Azerbaijan, Baku, 2017;
- Ozkan, B. (2008). Who Gains from the "No War No Peace" Situation? A Critical Analysis of the Nagorno-Karabakh Conflict. Routledge.
- Parker John W. (July 2017) Putin's Syrian Gambit: Sharper Elbows, Bigger Footprint, Stickier Wicket, Center for Strategic Research, Institute for National Strategic Studies, Strategic Perspectives, No. 25, National Defense University Press, Washington;
- Posen, B. (1993). The Security dilemma and Ethnic Conflict. Survival. Vol 35, No 1.
- Papuashvili Tamaz, "Georgia–NATO: Cooperation Prospects," Published by: Partnership for Peace Consortium of Defense Academies and Security Studies Institutes 2014, https://bit.ly/3czgWcR;
- Parker John W. (July 2017) Putin's Syrian Gambit: Sharper Elbows, Bigger Footprint, Stickier Wicket, Center for Strategic Research, Institute for National Strategic Studies, Strategic Perspectives, No. 25, National Defense University Press, Washington;
- Rezvani Babak (2020) Russian foreign policy and geopolitics in the PostSoviet space and the Middle East: Tajikistan, Georgia, Ukraine and Syria, Middle Eastern Studies, , VOL. 56, NO. 6, 878–899. Published by Informa, Taylor & Francis Group;
- Raquel Freire Maria, "Security in the South Caucasus: the EU, NATO and Russia," NOREF Policy Brief (Norwegian Peacebuilding Resource Centre, February 2013), accessed June 4, 2017, https://bit.ly/3wl6Xja;
- Sheehan, M. (1996). The Balance of Power: History and Theory. New York: Routledge;
- Sammut, D and Paul, A. (2011). Addressing the security challenges in the South Caucasus .The case for a comprehensive, multilateral and inclusive approach. EPC;
- Starr S. Frederick and Svante E. Cornell (2005), The Baku-Tbilisi-Ceyhan (BTC) Pipeline: Oil Window to the West, A Joint Transatlantic Research and Policy Center, Johns Hopkins University-SAIS, NW, Washington; https://bit.ly/3vwzgdl;
- Svante E. Cornell, Roger McDermott (2004) Regional Security in the South Caucasus: The Role of NATO, a Policy Paper produced by the Central Asia-Caucasus Institute, Johns Hopkins University;
- Shireen T. Hunter January, The New Geopolitics of the South Caucasus Prospects for Regional Cooperation and Conflict Resolution, Publisher: Lexington Books, Lanham, Maryland, 2017;
- Shiriyev Zaur - Institutionalizing a Trilateral Strategic Partnership: Azerbaijan, Georgia, Turkey, Regional Program South Caucasus, The Center for International and European Studies (CIES), Policy Paper, Konrad-Adenauer-Stiftung;
- Tarasov S. Aliyev tied himself up with the project Baku — Tbilisi — Kars (In Russ.) Available at: https://regnum.ru / news / polit / 2340751;
- The South Caucasus: A Playground Between NATO and Russia? Elman Nasirov, a Khayal Iskandarov b and Sadi Sadiyev; Published by: Partnership for Peace Consortium of Defense Academies and Security Studies Institutes 2014; https://bit.ly/3wjsmZW;
- Valiyev, Anar. 2011. „Azerbaijan-Russia relations after the five-day war: friendship, enmity, or pragmatism? " Turkish Policy Quarterly 10, no. 3: 143. pdf;
- Waltz, Kenneth N (Spring 1990) "Realist Thought and Neorealist Theory," Journal of International Affairs, Vol. 44; pp. 21-37;
- Yildiz Güney (2021), Turkish-Russian Adversarial Collaboration in Syria, Libya, and Nagorno-Karabakh, Stiftung Wissenschaft und Politik, https://bit.ly/3xmGthg;
- Бжезинский З. Великая шахматная доска. М., Международные отношения, 1997. 256 с. 46;
- Гаджиев А. Южный Кавказ – центр противостояния или сотрудничества? 2009, https://bit.ly/3gf6utf;
- Гаджиев К. С. Геополитика Кавказа. Большая игра на Кавказе: вчера, сегодня, завтра (Москва, Международные отношения, 2010), 318;
- Ефремова К. А. Формирование «нового мирового порядка»: теоретические интерпретации и практическая реализация //Сравнительная политика. 2016. Т. 7, № 2. С. 5-13.

რეგიონალური აქტორის, რუსეთის კიდევ ერთი იარაღი/ინსტრუმენტი საქართველოს წინაღმდეგ

ANOTHER WEAPON/TOOL OF THE REGIONAL ACTOR, RUSSIA AGAINST GEORGIA

ლევან ნიკოლეიშვილი
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი,
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ასოცირებული პროფესორი

LEVAN NIKOLEISHVILI
DOCTOR OF POLITICAL SCIENCE
ASSOCIATED PROFESSOR
LEPL DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

თბილისი
TBILISI
2021

აბსტრაქტი

რეგიონალურ აქტორებს შორის რუსეთის ფედერაცია ერთადერთია, რომელიც დაუფარავად გამოთქვამს თავის უკმაყოფილებას საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებების გამო. ერთი მხრივ ეს გასაგებიცაა, მათი გეოპოლიტიკური ხედვებიდან და ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. რუსეთის პოლიტიკურ ლიდერებს მიაჩნია, რომ საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში თუ ევროკავშირში გაწევრიანების შემთხვევაში, ის დაკარგავს სერიოზული და გავლენიანი აქტორის როლს არა მარტო კავკასიის რეგიონში, არამედ რუსულ ნაციონალისტურ პოლიტიკურ ელიტაში. მიუხედავად, იმისა, რომ ბალტიისპირეთის რესპუბლიკები და ვარშავის პაქტის ყოფილი წევრები უკვე დიდ ხანია ნატოსა და ევროკავშირის წევრები არიან, რუსეთს ჯერ კიდევ ვერ მოუნელებია ეს ფაქტი და ახლა საქართველოს, მათი ორბიტიდან გაქცევა, სინამდვილეში კი დასავლეთისკენ სწრაფვა, რუსეთისთვის მართლაც მძიმე დარტყმა იქნება. ამ კონტექსში, ცხადია იმპერიული პოლიტიკური აზროვნებიდან გამომდინარე, მათი მხრიდან მოსალოდნელი იყო და არის კიდეც მთლი რიგი ინსტრუმენტებისა თუ იარაღების გამოყენება, მათ შორის ისეთის, როგორიც რბილი ძალა გახლავთ. წინამდებარე სტატიაში მოკლედ მიმოვიხილავთ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მოკლე ისტორიას, შევეხებით მათთვის საქართველოში, რბილი ძალისთვის შექმნილ მოსახერხებელ პლაცდარმებს. დასასრულს კი ხაზს გაუსვამთ ისეთ აქტუალურ საკითხს, როგორიც გახლავთ ეროვნული ერთიანობისა და სამოქალაქო კოსოლიდაციის მიღწევა, ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციებში-ნატოსა და ევროკავშირში გასაწევრიანებლად.

საკვანძო სიტყვები:
რბილი ძალა, ევროატლანტიკური ინტეგრაცია, საქართველო, რუსეთის ფედერაცია, რეგიონალური აქტორი.

ABSTRACT

Among the regional actors, the Russian Federation is the only one that openly expresses its dissatisfaction with Georgia's Euro-Atlantic aspirations. On the one hand, this is understandable, given their geopolitical visions and national interests. Russia's political elite believes that if Georgia joins the North Atlantic Alliance or the European Union, it will lose its role as a serious and influential actor not only in the Caucasus region but also in the Russian nationalist political elite. Despite the fact that the Baltic republics and former members of the Warsaw Pact have long been members of NATO and the European Union, Russia has not yet been able to overcome this fact and now Georgia thinks fleeing, in fact, moving west will be a really hard blow for Russia. In this context, obviously due to imperial political thinking, they were and still are expected to use a number of tools, including those such as soft power. In this article, we will briefly review the history of Georgian-Russian relations, touch on the convenient springboards created for them in Georgia, for soft power. Finally, we emphasize the importance of national unity and consolidation in joining the vital international organizations - NATO and the European Union.

KEYWORDS:
Soft power, Euro-Atlantic integration, Georgia, Russian Federation, regional actor

შესავალი

სამხრეთ კავკასიის რეგიონი გამორჩეულია თავის გეოგრაფიით, პოლიტიკური თუ ეკონომიკური, სამხედრო ძალების ბალანსით თუ კულტურული მრავალფეროვნებით. სამ სამხრეთ კავკასიურ სახელმწიფოს, საქართველოს, სომხეთს და აზარბაიჯანს განსხვავებული საგარეო პოლიტიკური კურსი აქვთ, რასაც ცხადია თავისი როგორც ობიექტური, ასევე სუბექტური მიზეზები გააჩნია. ამავდრულად, თუკი აზერბაიჯანისა და სომხეთის ურთიერთობა კვლავაც დაძაბულობის ხაზზე გადის, საქართველოს ორივე ქვეყანასთან კეთილმეზობლურ და მეგობრულ ურთიერთობას ინარჩუნებს, უფრო მეტიც, სულ ცოტა ხნის წინ ოფიცალურმა თბილისმა, მათ სამშვიდობო მოლაპარაკების მაგიდაც კი შესთავაზა, ჩვენი პრემიერ მინისტრის აქტივობისა და ჩართულობის შედეგად კი მოხერხდა სომეხი სამხედრო ტყვეების თავიანთ სამშობლო დაბრუნება, ხოლო აზერბაიჯანისთვის სომხეთის მიერ დანაღმული ველების რუქების გადაცემა. ეს მართლაც შესანიშნავია, როცა ჩვენი ქვეყანა რეგიონში უკვე სამშვიდობო პროცესების შუამავლად რომ გვევლინება, ის, რომ „საქართველო რეგიონალური თანამშრომლობის გასაღებია!“ - სავსებით სამართლიანად აღნიშნა თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ტაიპ ერდოღანმა. ობიქტურობისთვის უნდა ითქვას, რომ ვინ ვინ და თურქეთი, უკვე წლებია საქართველოს ჩრდილოატლანტიკური ალიანში-ნატოში გაწევრინების ერთერთი მხურვალე მხარადმჭერია. ეს თითქოს გასაკვირიც არ უნდა იყოს, მრავალ მიზეზთა შორის ეს გეოგრაფიული ფაქტორითაც არის განპირობებული: მის სამხრეთ და აღმოსავლეთ სამეზობლოში ისეთი ქვეყნებია, როგორიცაა სირია, ერაყი, ირანი და სომხეთი, ცხადია იმ სასაზღვრო მონაკვეთზე სადაც საქართველოა, თურქეთს ურჩევნია, ისეთი მეზობელი ჰყავდეს, საიდანაც თუნდაც ნაკლებლად შესაძლო, მაგრამ მაინც საფრთხე არასოდეს დაემუქრება. ნატოს წევრ თურქეთთან, მომავალში ნატოს წევრი საქართველოს ურთიერთობა უფრო ძლიერი ამპლუაში, რომ გადავა ამაში დიდი გათვლების გაკეთება არ არის საჭირო. რაც შეეხება სომხეთსა და აზარბაიჯანს, გამომდინარე ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულ-გეოგრაფიული მდგომარეობიდან, ყოველთვის შეეცდებიან ჩვენთან არსებული სტატუს ქვო შეინარჩუნონ, თუ უფრო მეგობრული თანამშრომლობის გაძლიერებაზე არ იზრუნებენ. საქართველოს ნატოში შესაძლო გაწევრიანება ამ ურთიერთობების დამაბრკოლებელი ფაქტორი არ და ვერ იქნება, ყოველშემთხვევაში მათი მხრიდან რაიმე სერიოზულ ხელშეშლას არ ველით.

ამრიგად, რჩება ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ჩრდილოატლანტიკურ ალიანში გაწევრიანების აბსოლიტურად ღია წინააღმდეგია, რა თქმა უნდა ეს რუსეთის ფერედრაცია გახლავთ, მათი გეოპოლიტიკური ხედვებიდან და ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. რუსული პოლიტიკურ ლიდერებს მიაჩნიათ, რომ საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში თუ ევროკავშირში გაწევრიანების შემთხვევაში, ისინი დაკარგავენ სერიოზული და გავლენიანი აქტორის როლს არამარტო კავკასიის რეგიონში, არამედ რუსულ ნაციონალისტურ პოლიტიკურ ელიტაში. მიუხედავად, იმისა, რომ ბალტიისპირეთის რესპუბლიკები და ვარშავის პაქტის ყოფილი წევრები უკვე დიდ ხანია ნატოსა და ევროკავშირის წევრები არიან, რუსეთს ჯერ კიდევ ვერ მოუნელებია ეს ფაქტი და ახლა საქართვეელოს მათი ორბიტიდან გაქცევა, სინამდვილეში კი დასავლეთისკენ სწრაფვა, რუსეთისთვის მართლაც მძიმე დარტყმა იქნება. ამ კონტექსში, იმპერიული პოლიტიკური აზროვნებიდან გამომდინარე, მათ მხრიდან მოსალოდნელი იყო და არის კიდეც მთლი რიგი ინსტრუმენტებისა თუ იარაღების გამოყენება, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებ. თუმცა, რუსეთსაც და არამარტო მათ, არამედ სხვებსაც, არც თუ ისე იშვიათად ავიწყდებათ, რომ საქართველო დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა, რაც იმას ნიშნავს, რომ თვითონ გადაწყვიტავს, თუ რა საგარეო პოლიტიკური კურსი აირჩიოს და რომელ საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანდეს და რომელში არა. ამ შემთხვევაში, მთავარი კონტრიარაღი, რომელიც ჩვენ უნდა დავუპირიპიროთ ჩვენთვის და ჩვენი სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესი მიზნის მისაღწევად სამოქალაქო, თუ გნებავთ ეროვნული გაერთიანება და კონსოლიდაცი უნდა გახდეს.

მცირე ისტორიული მიმოხილვა

საქართველოს დამუკიდებლობის გამოცხადებიდან 100 წელი და დამოუკიდებლობის აღდგენიდან 30 წელი შესრულდა. ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ უამრავი ქარტეხილი გამოიარა: ჯერ დამოკიდებლობის დაკარგვა, ისევ აღდგენა-მოპოვება, სამოქალაქო ომები და სახელმწიფო გადატრიალებები. პოლიტიკურ ველზე ათასი ჯურისა თუ ხასიათის პოლიტიკურ პარტიების და პოლიტიკური სუბიექტების შემოსვლა და გასვლა ჩვეულებრივ მოცემულებად იქცა. სრულიად გასაგები მიზეზებიდნ გამომდინარე, ზოგს ამბიცია აქვს, რომ მას შეუძლია სხვაზე მეტი, ზოგს დაავალეს, ზოგი მართლა სჯერა, თუმცა, უფრო და უფრო ნაკლებია იმ

ხალხის რაოდენობა, ვინც დროულად მიხვდება და პოლიტიკას თავს დააანებებს. სამწუხაროდ, პოლიტიკური ძალების ნაწილი პრორუსული ორიენტაციისაა, და რაც არ უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, ე.წ. პროდასავლურ ძალებს სულაც არ ეხამუშებათ მათ გვერდით ერთ მაგიდასთან ყოფნა. თავის იმით იმართლებენ, რომ ვითომ და „დიადი იდეიისა“ და მიზნის გარშემო არიან თავმოყრილები - ეს მიზანი კი შემდეგია: ნებისმიერ ფასად, თუნდაც რევოლუციით შეცვალონ ხელისუფლება. ასეთი რყევებისა და ქმედებების მთავარი მიზნი, მაინც ერთგვარი პოლიტიკური კრიზისის და დესტაბილიზაციის გამოწვევა გახლავთ. მოგეხსენებათ, პოლიტიკურ კრიზისსა და არასტბილურობას, ეკონომიკური კრიზისის გამოწვევა შეუძლია, მით უფრო კოვიდ პანდემის პირობებში, როდესაც ქვეყნის წინაშე გამოწვევების რიცხვი კიდევ უფრო იზრდება. ამ ფონზე უფრო ნათელი ხდება თუ რომელი და როგორი ძალების ინტერესშია მსგავსი სცენარი: ნამდვილად ვერ ვიხსენებ, რომელიმე დასვლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოს მავნებლურ ქმედებებს საქართველოს წინააღმდეგ, რაც შეიძლება ვერ ვიტყვით რუსეთის ფედერაციაზე, უფრო ადრე საბჭოთა რუსეთზე და კიდევ უფრო ადრე რუსეთის იმპერიაზე. შესაბამისად, მცირე ისტორიული მიმოხილვითაც კი შევძლებთ ბევრი რამ გავიხსენოთ:

1795 წელს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორე 5 000 ლაშქრით შეებრძოლა აღა-მაჰმად -ხანის 35 000 ჯარს. კრწანისი ბრძოლა სპარსელების მიერ თბილისის აღებით დასრულდა. გეორგიევსკის ტრაქტატის თანახმად კი, რომელიც 1783 წელს იყო ხელმოწერილი, რუსეთის იმპერია ვალდებულებას იღებდა არ ჩარეულიყო ქართლ-კახეთის საშინაო საქმეებში, სამაგიეროდ კი ემრათა საგარეო პოლიტიკა და ჯარით დახმარებოდა მოკავშირე სამეფოს თუ კი მის წინააღმდეგ საომარი საშიშროება წარმოიქმნებოდა. რუსეთის იმპერია, სწორედაც, რომ ჯარით უნდა დაგვხმარებოდა, მაგრამ გაგვწირეს, უფრო მეტიც, ერეკლეს გარდაცვალებიდან (1798 წწ) სამი წლის თავზე, 1801 წელს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I მანფესტით გაუქმდა ქართლ-კახეთის სამეფო, მოგვიანებით ეტაპობრივად განხორციელდა სხვა სამეფო-სამთავროების გაუქმება და რუსეთის იმპერიაში იძულებით შეყვანა-ფაქტობრივად საქართველოს ანექსია. 1810 წელს ქართულ მართლმადიდებულ ეკლესიას რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ ავტოკეფალიის ჩამოართვა, რომლის აღდგენა მხოლოდ მხოლოდ 1917 წელს მოხერხდა.

1918 წლის 26 მაისს ეროვნული საბჭოს მიერ გამოცხადდა საქართველოს დამოკიდებლობა. ორი წლის თავზე 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების თანახმად ბოლშევიკურმა რუსეთმა დე იურედ სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მათთვის, რომ 1921 წლის 25 თებერვალს საქართველს ოკუპაცია განეხორციელებინათ. საბჭოთა კავშირში იძულებით ყოფნა 70 წელი გაგრძელდა. 1991 წლის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ კი იწყება იმ რუსულ-სეპარატისტული ნაღმების ამუშავება, რასაც ქრთულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტი დაარქვეს, სინამდვილეში კი რუსუთთან ომი გახლდათ. ამ ყველაფრის დაბოლოება 2008 წლის ომი გახლდათ, რასაც ჩვენი ტერიტორიების 20 % ოკუპაცია მოჰყვა და აღნიშნულ ტერიტორიებზე, რუსული სამხედრო კონტიგენტის უკვე ბაზებად განლაგება. გარდა იმისა, რომ დაგვეღუპა სამხედრო და სამოქალაქო პირები, ჩვენივე ტერიტორიაზე გვყავს იძულებით გადაადგილებულები, რუსეთმა მიწასთან მოასწორა დიდი და პატარა ლიახვის სოფლები, საფუძვლიანად წაშალა ქართული სოფლების გეოგრაფიული ტოპონიმები.

ევროატლანტიკური მისწრაფებები

თითქოს ერთი შეხედვით არ ჩანს, მაგრამ უფრო და უფრო მწვავდება დაპირისპირება პრორუსულ და პროდასავლურ ძალებს შორის, განსაკუთრებით კი იმ დროს, როდესაც სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობის საკმაოდ სოლიდურ უმრავლესობას ოფიციალურად აქვს დაფიქსირებული ქვეყნის ევროატლანტიკური მისწრაფებების შესახებ: ნატოსთან თანამშრომლობა შეიძლება ითქვას საკმაოდ მაღალ ნიშნულს მიუახლოვდა, გრძელდება რეფორმები და ფართომასშტაბიანი სამხედრო სწვლებები ნატოს ეგიდით. ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, უფრო მეტიც 2024 წლისთვის ასევე ოფიციალურად იგეგმება განაცხადის გაკეთება ევროკავშირის წევრობის შესახებ. ყველაფერი გეგმიურად მიდის ამ მიმართულებით, თუმცა ხელის შემშლელი ფაქტორებიც ნელნელა იკვეთება. რუსეთის ფედრერაცია გარდა იმისა, რომ ოფიციალურად აცხადებს არათუ არ მიესალმება საქართველოს ევროატლანტიკურ ორიენტაციას, ასევე ცდილობს სხვა დამატებით ინსტრუმენტები და იარაღიც აამუშავოს.

მწირი ინფორმაცია და რბილი ძალა

სამწუხაროა, რომ ჩვენს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს ფარული თუ ღია მოწინარმდეგეები გააჩნია, რომლებმაც გადაწყვიტეს არა უხეში მეთოდებით, არამედ რბილი ძალის მეშვეობით მიაღწიონ პროგრამა მაქსიმუს თუ არა მინიმუმს მაინც. „რბილიძალის“ თეორია რეალურად ემიჯნება „უხეში ძალის“თეორიას. ეს არის მიზიდულობის, ინტერესის გაზრდ აქვეყნისადმი იძულების გარეშე: „ის წარმოიშობა ქვეყნის კულტურის მომხიბვლელობით, პოლიტიკური იდეალებით და ისეთი პოლიტიკით, როცა ჩვენი პოლიტიკა სხვების თვალში ჩანს კანონიერი, ეს აძლიერებს ჩვენს “რბილ ძალას“, - წერს ჯ. ნაი. მისი აზრით, კულტურა არის ღირებულებების და ინსტრუქციების ნაკრები (ნაზავი), რაც საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე მთავარ გავლენას ახდენს. კულტურას ბევრი გამოვლინება აქვს. მათ შორისაა მაღალი კულტურა - ლიტერატურა, ხელოვნება, და განათლება, რომელიც იზიდავს მაღალ საზოგადოებას და პოპულარული კულტურა, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მასობრივ გართობაზე”[1]

ნატო და ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის არასაკმარისი ცოდნა, ყოველთვის ტოვებს იმ სივრცეს, რასაც ჩვენი ევროატლანტიკური მისწრაფების მოწინაღმდეგეები ადვილად ავსებენ. საქმე იმაშია, რომ ერთერთ მთავარ მესიჯად გამოყენებულია ფორმულა, რომ რუსეთი ამას არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს, უფრო მეტიც, ეს შესაძლოა გახდეს მათი მხრიდან ახალი საომარი მოქმედებების დაწყების მიზეზი. აქ ორი მიზნია: პირველი- მოსახლეობის დაზაფვრა შესაძლო ომის გამო, გაჯერებული იმით, რომ 2008 წლის ომის დროს ნატო საერთოდ არაფერში არ დაგვეხმარა და მეორე, სახელმწიფოებრიობის იდეის ჩაკვლა, რომ ჩვენ კი არ ვწყვეტ იმას თუ რა გვინდა, არამედ სუვერენიტეტი ფორომალური ხასიათისაა და მაინც რუსეთზე ვარ დამოკიდებულები. რა თქმა უნდა, ეს ეგრეთ წოდებული ნარატივი ადვილად მოქმედებს ე.წ. საბჭოთა კავშირის ნოსტალგიის მქონე ადამიანებზე, მაგრამ მთავარი ამ სიტუაციაში მაინც ნატოსა და ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა გახლავთ.

მეორე სერიოზული გათვლა გახლავთ დეზინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნატოც და ევროკავშირიც მიმართულია ჩვენი ქართული ტრადიცების, კულტურის, ისტორიისა და მართლმადიდებლობის გასანადგურებლად. მოჰყავთ სხვდასხვა მაგალითები იმის შესახებ, თუ როგორ დაკანონდება ერთსქესიანთა ქორწინება, ან როგორ განთავსდება უცხო ქვეყნის ჯარები საქართველოში, როგორ შემოგვტენიან ათასგვარ „დასავლურ“ რეგულაციებს, მოხდება ადამიანების ათასნაირი „დაჩიპვა,“ აშენდება სხვდასხვა რელიგური სახლები, როგორ აიკრძალება ქართული ტრადიცები და ასე შემდეგ. თამამად ვაცხადებ, რომ ეს ყოველივე სიცრუე და დეზინფორმაციაა, და აქ არამარტო უცოდინრობა არ არის მთავარი, მით უმეტეს, რომ არცერთი, არც ნატოს-ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება[2] და არც ევროკავშირის-მასტრიხტის ხელშეკრულება[3] მსგავს სისულელეს(!) არც ასპირანტ და არც მომავალ წევრებს არ ავალდებულებს. სხვათაშორის ამის ნათელი დადასტურება საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლების ბრიუსელში ვიზიტი, როდესაც მიტროპოლიტები და ეპისკოპოსები აბსოლიტურად შეცვლილი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ, პოზიტიურს ვგულისხმობ ცხადია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ მცადარი შეხედულებების გავრცელების საფუძველს ხშირად საქართველოში მოქმედი უამრავი არასამთავრობო ორგანიზაციების არცთუ მცირე რაოდენობაც იძლევა: მაგალითად, საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები სხვდასხვა სახელებით თუ სერიოზული დაფინანსებით აღჭურვილები, ხშირად ათასი რამის თუ რაღაცის დამცველებად გვევლინებიან, რაც მათი უფლებაა და თითქოს აქ საგანგაშოც არფერია, მაგრამ საზოგადოებისთვის მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ხშირ შემთხვევაში ცოტა არ იყოს გადაჭარბებულად ანგაჟერიბულია, და ამას ემატება მათ წინააღმდეგ სასწრაფოდ გამოსული გარკვეული თუ გაურკვეველი „ტრადიცებისა თუ ქართველობის“ დამცველი ფსევდო ჯგუფები. ვინ ვის წისქვილზე ასხამს წყალს, ნებსით თუ უნებლიედ, ეს ცალკე მსჯელობის საგანია, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ უბრალო მოქალაქეები ამას არაერთგვაროვნად აღიქვამენ, ცხადია სწორედ დასავლური ვექტორის წინააღმდეგ მოქმედებს. არა და სწორედ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ვისაც უშუალოდ ევალება, ნატოსა და ევროკავშირის ღირებულებების პროპაგანდა და უშუალოდ მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება თითქოსდა მაინდამაინც ეს არ აღელვებთ.

კიდევ ერთი საინტერესო და აშკარად დამაბნეველი საკითხი. არც თუ ისე დიდხნის წინ ე.წ. მეგობარმა ჯგუფებმა საქართველოში ერთგვარი ტესტი ჩაატარეს, მოაწყვეს კონფერენცია, სადაც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას შემდეგნაირად განიხილავდნენ-საქართველოს გაწევრიანება ნატოში აფაზეთისა

1 ვაჟა შუბითიძე, „რა რესურს ეყრდნობა რბილი ძალა“-https://for.ge/view/47365/ra-resursebs-eoba-rbili-Zala-aSS-is-magaliTze.html

2 ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება-https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_17120.htm?selectedLocale=ka

3 Christiansen, Thomas; Duke, Simon; Kirchner, Emil (November 2012). „Understanding and assessing the Maastricht Treaty“. Journal of European Integration, special issue: The Maastricht Treaty: Second Thoughts after 20 Years. Taylor and Francis. 34 (7): 685–698. doi:10.1080/07036337.2012.726009

და სამაჩაბლოს გარეშე, მე-5-ე მუხლის ამუშავება, კი მოგვიანებით, როცა ეს მათთვის ე.წ. ტერიტორიები ინტეგრირებული იქნებოდნენ ჩვენს სახელმწიფოში. თითქოს და უბრალოდ მოსაზრებაა, მაგრამ რა მოჰყვა ამას? საზოგადოების სამართლიანი აღშფოთება: რაც არ უნდა მოხდეს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ტერიტორიების 20% ოკუპირებულია, გამორიცხულია, რომ ვინმე ამ ტერიტორიების ოფიციალურად დაკარგვას შეეგუოს. და აქ რა მოხდა? მცდელობა იმისა, რომ თითქოს ნატო, ამ შემთხვევაში დასვლეთი მოგვიწოდებს ალიანსში გაწევრიანებას აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე, ნეგატიური რეაქცია მოჰყვა. არადა საქმე იქამდე მივიდა, რომ ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენლმა ჯეიმს აპარტურაიმ ოფიციალური განცხადებაც კი გააკეთა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი არ განიხილავს საქართველოს გაწევრიანების საკითხს მისი ტერიტორიების ნაწილების გარეშე. რაოდენ გასაკვირიც არ უნდ იყოს, ბატონი აპარტურის ამ განცხადებას ძალიან მცირე დრო დაუთმო მასმედიამ, ხოლო მანამდე მავნებლურ ე.წ. ტესტს-„საქართველო ნატოში-აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე“ მთელი დღის ეთერები ჰქონდა მიძღვნილი...

დასკვნა

ინფორმაციის ნაკლებობა, ევროატლანტიკური ღირებულებების არასაკმარისი პროპაგანდა მართლაც სამწუხაროდ არაორაზროვან და ფუჭ შეხედეულებებს ჰქმნის ევროატლანტიკურ მიზნების შესახებაც. ასეთი მიდომები კი, რუსეთს დამატებით და საკმაოდ მოქნილ პლაცდარმს უქმნის თავის რბილი ძალის გასაძლიერებლად. გასგებია, რომ რუსეთს ხელს არ აძლევ საქართველოს განვითარება და მით უმეტეს პროდასვლური კურსი და ევროატლანტიკური ორიენტაცია. ოფიციალურად ომის დაწყება არ შეუძლია, მუდმივად ჩასაფრებულია, რომ რაიმე სახის პოროვოკაციაზე წამოგვიკიდოს. მათთვის საქართველოში არეულობა და პოლიტიკური დესტაბილიზაცია ყველაზე სასურველი სცენარია გავლენის გასაძლიერებლად. სამწუხაროდ პრორუსული პოლიტიკური პარტიები და მათი მეგობარი ე.წ. პროდასავლურებიც ხშირ შემთხვევაში ხელშემწყობებად გვევლინებიან. ასევე საყურადღებოა ვითომდა დასავლური ღირებულებებით აღჭურვილი არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი და მათ წინააღმდეგ მებრძოლი „ტრადიცულ-პატრიოტული“ ჯგუფები ფორმულით - „ხედავთ რა ცუდია დასვლეთი?“ ამ ყველაფრის ფონზე კი რუსეთის რბილი ძალა თავის განვითარებას და გზას ადვილად პოულობს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბალტიისპირეთი ქვეყნებს თითოეულს ერთმანეთთან და ცალკ-ცალკე თავიანთ ქვეყნებში არც პრობლემები აკლდათ და არც გამოწვევები. ეს პრობლემები კი არ დაივიწყეს, მაგრამ გვერდზე კი გადადეს, მოხდა კონსოლიდაცია მთავარი იდეის გარშემო, და მათ ეს შეძლეს -ისინი ნატოსა და ევროკავშირის წევრები არიან, უსაფრთხოებაც გარანტირებული აქვთ და ქვეყანებიც ეკონომიკურად ძლიერი. საქართველოსთვის ევროატლანტიკურ ოჯახში დამკვიდრება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ერთმხრივ ეს არის გზა თავდაცვის და უსაფრთხოების განმტკიცებისკენ და მეორე მხრივ ეკონომიკური განვითარებისკენ. წინააღმდეგობები არის და იქნება-მის გადალახვა კი მხოლოდ ეროვნული თანხმობისა და საერთო სამოქალაქო კონსოლიდაციით მიიღწევა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თბილისის აღება აღა–მაჰმად–ხანისაგან 1795წ. (მოთხრობა თვალითმნახველისა), ჟურნალი “ივერია”, თბ.,1885წ. N2;
2. თოიძე ლევან, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, თბ., 1991;
3. კაბაძე სარგის , კრწანისის ომი, თბ., 1991;
4. ლობჯანიძე თამარ. საქართველოს ოკუპაცია 1921 წ. (pdf). ნარკვევი. საქართველოს პარლამენტი;
5. მაჭარაძევ., გეორგიევსკის ტრაქტატი, თბ., 1983;
6. მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე)’, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბილისი: ეროვნული საგანძური, 2018, ISBN 978-9941-8-0167-9;
7. შუბითიძე ვაჟა , „რა რესურს ეყრდნობა რბილი ძალა“-https://for.ge/view/47365/ra-resursebs-eyrdnoba-rbili-Zala-aSS-is-magaliTze.html;
8. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება-https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_17120.htm?selectedLocale=ka;
9. Christiansen, Thomas; Duke, Simon; Kirchner, Emil (November 2012). „Understanding and assessing the Maastricht Treaty“. Journal of European Integration.

1910-იანი წლების ქართველი ,,პროგერმანელები'', ქართული ლეგიონი და გერმანიის სარდლობის ამიერკავკასიური პოლიტიკა

GEORGIAN "PRO-GERMANS" OF THE 1910S, GEORGIAN LEGION AND THE TRANSCAUCASIN POLICY OF THE GERMAN COMMAND

თადარიგის პოლკოვნიკი არჩილ ჩაჩხიანი
პროფესორი

RESERVE COLONEL ARCHIL CHACHKHIANI
PROFESSOR

თბილისი
TBILISI
2021

აბსტრაქტი

ისტორიული რეალობაა, რომ მთელი თავისი სახელმწიფოებრიობის მთელი სამათასი წლის განმავლობაში, რთული გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველო ხშირად ხვდებოდა "ნაკლებად ბოროტების" არჩევანს. საუკუნეების განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო ამა თუ იმ ფორმას არაერთხელ შეექმნა რთული არჩევანის წინაშე და ხელსაყრელი მოკავშირის შერჩევის პრობლემა ყოველთვის მთავარი პრიორიტეტი იყო ქართული სახელმწიფოსა და ქართული საზოგადოებისთვის.

მსგავსი დილემის წინაშე აღმოჩნდა ქართული საზოგადოება XX საუკუნის 10-იან წლებშიც. ქართველ პოლიტიკოსთა უმრავლესობამ სწორად გააანალიზა ის მდგომარეობა, რომ I მსოფლიო ომის შედეგები გადამწყვეტ როლს ითამაშებდა მომავალი მსოფლიოს პოლიტიკურ-ტერიტორიული გადანაწილების პროცესსა და ამ ტერიტორიების შემდგომი მოწყობის საქმეში. მათ მართებულად აღიქვეს ის მდგომარეობაც, რომ ეს იყო საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის შანსი. მაგრამ საკითხი ასე იდგა - ანტანტა და რუსეთი თუ ცენტრალურ სახელმწიფოთა ბლოკი და გერმანია?

ზოგიერთმა ქართველმა პოლიტიკოსმა, რომელსაც ეროვნული სულისკვეთება ჰქონდა, რუსეთის იმპერიისგან სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში არჩევანი გერმანიაზე გააკეთა. ამ მხრივ მათ რეალურ შედეგებსაც მიაღწესა. პირველი მსოფლიო ომის წინ, ოსმალეთის იმპერიაში, ვიწეში, ისტორიული ლაზეთის ტერიტორიაზე, გერმანიის პროტექტორატის ქვეშ შეიქმნა ქართული ლეგიონი, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში რუსების წინააღმდეგ დაწყებულ საომარ მოქმედებებში.

ქართულ-გერმანული სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების შემდგომ განმტკიცებას კი, მოგვიანებით, 1918 წლის გაზაფხულზე ჰქონდა ადგილი, რაც საბოლოოდ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით დასრულდა. წარმოდგენილ სტატიაში სწორედ ეს საკითხებია განხილული.

საკვანძო სიტყვები:
პირველი მსოფლიო ომი, ანტანტა, ცენტრალური სახელმწიფოები, გერმანია, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, მიხაკო წერეთელი, ლეო კერესელიძე, ქართული ლეგიონი, ერიხ ლუდენდორფი, ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტეინი, ენვერ ფაშა, დიდი თურანი.

ABSTRACT

The historical reality is that throughout the long, three-thousand-year history of its statehood, due to its difficult geopolitical location, Georgia has often faced the choice of “less evil.” Over the centuries, the Georgian state in one form or another has repeatedly faced a difficult choice, and the problem of selecting a favorable ally has always been a top priority for the Georgian state and Georgian society.

Georgian society faced a similar dilemma in the 10s of the XX century. Most Georgian politicians correctly analyzed the fact that the consequences of WWI would play a decisive role in the process of political-territorial redistribution of the future world and in the further arrangement of these territories. They also rightly perceived the situation as a chance to restore Georgia’s national independence. But the question was - Entente and Russia or Central Powers and Germany?

Some of the Georgian politicians with a national spirit made a choice on Germany in the struggle for the restoration of full state independence from the Russian Empire, and achieved real results in this regard. In Ottoman Empire, In Vitse, on the territory of historic Lazeti, a Georgian legion was formed under the German protectorate, which will be involved in the ongoing hostilities against the Russians at the beginning of the WWI. Further strengthening of Georgian-German military-political relations took place later, in the spring of 1918, which eventually led to the restoration of Georgia’s state independence. This article discusses these issues.

KEYWORDS:

WWI, Entente, Central Powers, Germany, Georgian Independence Committee, Mikhako Tsereteli, Leo Kereselidze, Georgian Legion, Erich Ludendorff, Friedrich Kress von Kressenstein, Enver Pasha, Great Turan.

საქართველოს იმ ხანად ხშირად ადარებდნენ დემოკრატიისა და სამოქალაქო წესიერების ოაზისს ყოფილი იმპერიის ან არქიის უდაბნოში. და უნდა ითქვას, რომ ეს შედარება სავსებით სწორია. ამიტომ იყო, რომ საქართველო წარმოადგენდა იმჟამით ყველა დევნილთა, ლტოლვილთა და დამარცხებულთა თავშესაფარს. თურქების მიერ აწიოკებული სომხები და ბერძნები, თათართა მიერ დარბეული სომხები და ამის საპასუხოდ სომეხთა მიერ შევიწროებული მაჰმადიანები, რუსთა მიერ დევნილი მთიელები და აზერბაიჯანელები და სხვა მაჰმადიანთა მიერ აყრილი რუსები...

ერთი სიტყვით, ლტოლვილნი და შევიწროებულნი, მიუხედავად მათი რწმენისა და სარწმუნოებისა, საქართველოში პოულობდნენ მშვიდ თავშესაფარს; და ყველაფერი ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც თვით საქართველო დამშეული იყო, ვინაიდან მას ირგვლივ და მის წინააღმდეგ საშინელი ბრძოლა წარმოებდა, როცა ოსმალეთი მას თავის მტრად რაცხდა, დიდ ანტანტას თავის მოწინააღმდეგე ბანაკის დამხმარედ მიაჩნდა იგი და ფარულ ბოლშევიკობას სწამებდა, თეთრი რუსეთი იმპერიის მთლიანობის დამრღვევად და კომუნიზმის აგენტად ნათლავდა, წითელი რუსეთი კი, კონტრრევოლუციურ ბუდესა და დენიკინის მოკავშირეს უწოდებდა, ხოლო ორივე ერთად, თანაბარი სისასტიკითა და ვერაგობით, საშინელ სასურსათო და პოლიტიკურ-ეკონომიკურ რკალს არტყამდა ირგვლივ და მოუსვენრად მუშაობდა მის შიგნიდან ასაფეთქებლად. (ლორთქიფანიძე, 1995, გვ. 158-159).

ეს სიტყვები საქართველოს პირველი რესპუბლიკის ცნობილ პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეს, ბატონ გრიგოლ ლორთქიფანიძეს ეკუთვნის. ცალსახად ვეთანხმებით მის მოსაზრებებს საქართველოში არსებული იმდროინდელი მდგომარეობის შეფასებაში. იგი, როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი ჩინოვნიკი, შემდეგ კი, რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი და მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, ბუნებრივია, ფლობდა ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას და აკონტროლებდა იმ მოვლენებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამიერკავკასიაში 1918-1921 წლების პერიოდში. რაც შეეხება ციტატაში გამოთქმულ მოსაზრებას ანტანტის წევრი ქვეყნების მხრიდან საქართველოს მიმართ გამოხატული უნდობლობის შესახებ, მეტი სიცხადისათვის, საკითხი გაშლასა და უფრო დაწვრილებით განხილვას მოითხოვს. ასეთი მიდგომა უფრო ნათელს გახდის ჩვენი თემატიკის ძირითადი საკვანძო საკითხების გახსნას. საუბარი I მსოფლიო ომს, დაპირისპირებულ მხარეებს და მათთან მიმართებაში სხვადასხვა ქართული პოლიტიკური წრეების მიერ დაკავებული პოზიციების ანალიზს ეხება.

ისტორიული რეალობაა, რომ თავისი სახელმწიფოებრივი არსებობის ხანგრძლივი, მთელი სამიათასწლოვანი ისტორიის მანძილზე, თავისი რთული გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველო ხშირად მდგარა ,,ნაკლები ბოროტების" არჩევანის წინაშე. საუკუნეების განმავლობაში ამა თუ იმ ფორმით არსებული ქართული სახელმწიფო არაერთხელ მდგარა რთული არჩევანის წინაშე. დღესავით ნათელია, რომ ხელსაყრელი მოკავშირის შერჩევის პრობლემა ქართული სახელმწიფოსა და ქართული საზოგადოებისთვის პირველხარისხოვან ამოცანას წარმოადგენდა მუდამ.

XX საუკუნის 10-იანი წლებისთვისაც, ქართული საზოგადოება მსგავსი დილემის წინაშე დადგა. ქართველ პოლიტიკოსთა უმრავლესობამ სწორად გააანალიზა ის მდგომარეობა, რომ I მსოფლიო ომის შედეგები გადამწყვეტ როლს ითამაშებდა მომავალი მსოფლიოს პოლიტიკურ-ტერიტორიული გადანაწილების პროცესსა და ამ ტერიტორიების შემდგომი მოწყობის საქმეში. მათ მართებულად აღიქვეს ის მდგომარეობაც, რომ ეს იყო საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის შანსი. მაგრამ საკითხი ასე იდგა - ანტანტა და რუსეთი თუ სამთა კავშირი და გერმანია? (,,სამთა კავშირი'' - გერმანია - ავსტრო-უნგრეთი - ოსმალეთის სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი. უკვე ომის მსვლელობისას მას ბულგარეთიც შეუერთდადა იგი ,,ოთხთა კავშირად'' გარდაიქმნა. ხანდახან ამ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსს ,,ცენტრალურ სახელმწიფოთა ბლოკსაც" უწოდებენ).

ფაქტია, რომ 1912 წლისათვის საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში ორი მძლავრი ფრთა ჩამოყალიბდა:

1. ერთი, რომლის ლიდერი რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ვარლამ გელოვანი, მხარს უჭერდა რუსეთის იმპერიის ფარგლებში საქართველოს ავტონომიის იდეას;

2. მეორე ფრთა კი (შალვა ამირეჯიბი, ვასილ წერეთელი, ალექსანდრე ყიფშიძე, დავით მაჩაბელი, მიხეილ მაჩაბელი, გიორგი მაჩაბელი, გიორგი გვაზავა, გიორგი ჟურული, ექვთიმე თაყაიშვილი, ძმები - ლეო და გიორგი კერესელიძეები, რევაზ გაბაშვილი და სხვანი) გამოდიოდა საქართველოს სრული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დროშით. ეს ფრთა აშკარად გამოხატული მემარჯვენე, ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ჯგუფი იყო, რომელიც 1912-1915 წლებში, ჟურნალის - ,,კლდე" გარშემო იყო თავმოყრილი. 1915 წლიდან კი, დაირაზმა ყოველკვირეული გაზეთის - ,,საქართველო" გარშემო. სწორედ ამ დაჯგუფების ბაზაზე და ილია ჭავჭავაძის მიერ 1905 წელს შემუშავებული პროგრამის საფუძველზე,

1917 წელს დაფუძნდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. (ლევან ურუშაძე, 2008, გვ. 135). მანამდე კი, 1912-1913 წლების მიჯნაზე ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ არჩილ ჯორჯაძე, მიხაკო წერეთელი, გერონტი ქიქოძე, არჩილ ჯაჯანაშვილი, კიტა აბაშიძე, პეტრე სურგულაძე და ვარლამ ჩერქეზიშვილი, შეადგინა ,,ქართველი ერის მემორანდუმი" დამონებულ ერთა ჰააგის მსოფლიო კონგრესზე წარსადგენად. კონგრესის ოფიციალურ დელეგატებად არჩეულ იქნენ მ. წერეთელი და ვ. ჩერქეზიშვილი. (საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 13, ანაწერი 27, საქმე 5412.).

გარდაუვალი გახდა რა, I მსოფლიო ომის დაწყება, საქართველოში მოქმედმა პოლიტიკურმა ძალებმა განსხვავებული პოზიციები დაიკავეს. გარკვეული პარტიები, სოციალ-დემოკრატების თავკაცობით, პროანტანტურ პოზიციას იჭერდნენ. გარკვეული ეროვნული განწყობების მქონე წრეებს კი, გერმანია, როგორც სამთა კავშირის ლიდერი მიაჩნდათ თავის ბუნებრივ მოკავშირედ რუსეთის იმპერიისგან თავის დასაღწევად. ამ საკითხთან დაკავშირებით გერმანიაში ქართველეროვნულ-დემოკრატთა დელეგაციაც გაიგზავნა იმპერიის უმაღლეს ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებების გამართვის მიზნით. გერმანიაში მყოფი ქართული დელეგაციის ერთ-ერთი წევრი, ეროვნულ-დემოკრატი მიხაკო წერეთელი პირადად შეხვდა გერმანიის გენერალური შტაბის უფროსს, გენერალ ლუდენდორფს და სთხოვა მოეწყო მისი აუდიენცია კაიზერ ვილჰელმ მეორესთან, (ლევან სანიკიძე, 1989, გვ. 243)- აღნიშნავს ღრმადპატივცემული ავტორი, ბატონი ლევან სანიკიძე თავის ნაშრომში ,,მესამე დასის საქართველო". რა თქმა უნდა, სრულად ვიზიარებთ მის პათოსს და ვეთანხმებით ამონარიდში მოყვანილ ისტორიულ ფაქტებს, მაგრამ იმ მცირე შენიშვნით, რომ ერიხ ლუდენდორფს პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე პერიოდში და არც ამ ომის მიმდინარეობის პირველ ეტაპზე იმპერიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობა არ ეკავა. უფრო მეტიც, ამ მომენტისათვის იგი გენერალიც კი არ იყო. 1908-1913 წლებში ერიხ ლუდენდორფი პოლკოვნიკის ჩინს ატარებდა და მას გერმანიის გენერალური შტაბის მე-2 განყოფილების უფროსის თანამდებობა ეკავა, ხოლო პირველი მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით იგი მე-2 არმიის შტაბის უფროსად დაინიშნა და აქვე მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდებაც. გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობას, იგი მოგვიანებით, მხოლოდ 1916 წლის აგვისტოდან დაიკავებს.

გარდა ამისა, უცხოეთში მყოფი მიხაკო წერეთელი და გიორგი მაჩაბელი შეხვდნენ გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებს. მ. წერეთელმა გრაფ პურტალესს მიმართა თურმე შეკითხვით - მომავალ საზავო კონფერენციაზე იქნებოდა თუ არა მოსმენილი საქართველოს მემორანდუმი, გამარჯვებული გერმანია და მისი მოკავშირეები დაეხმარებიან თუ არა ქართველ ხალხს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენაში. საპასუხოდ, გერმანიის რწმუნებულმა განაცხადა, რომ ჩვენი პოლიტიკა განისაზღვრება ქართველთა მიერ დაკავებული პოზიციის შესაბამისად. თუ ისინი აქტიურად იმოქმედებენ რუსეთის წინააღმდეგ, გერმანია დაიცავდა საქართველოს ინტერესებს, მხარს დაუჭერდა მის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. მიხაკო წერეთელმა ივარაუდა, რომ რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებული ქართველები 50-ათასიან ლაშქარს შეკრებდნენ. გერმანიის წარმომადგენლებმა კი ივალდებულეს ამ ლაშქრის შეიარაღება, დაარწმუნეს მოლაპარაკებაში მონაწილე ეროვნული დემოკრატები, რომ საომარი საჭურვლის ნაწილი უკვე მიტანილი იყო ტრაპიზონში და თუ შეთანხმება ოფიციალურად გაფორმდებოდა, იგი გადაეგზავნებაო აჯანყებულ ქართველთა ლაშქარს. (ალ. ბენდიანიშვილი, 2001, გვ. 14). მართლაც, მალე ჩამოყალიბდა აღნიშნულ საკითხებზე და ქართული ლეგიონის ფორმირებაზე მომუშავე საორგანიზაციო ჯგუფი. მსოფლიო ომის დაწყების შემთხვევაში ქართულ ლეგიონს ცარისტული რუსეთის ჯარების წინააღმდეგ უნდა ებრძოლა.

კიდევ ერთი საინტერესო შტრიხი. გერმანიის მეორე რაიხის აღმოსავლური პოლიტიკის გააქტიურებისა და ამ კონტექსტში ბრიტანეთთან დაპირისპირების ფონზე, კაიზერ ვილჰელმ მეორეს კარგად ესმოდა საქართველოს ფასი, როგორც სამხედრო-სტრატეგიული, ასევე გეოპოლიტიკური თვალსაზრისით. ამიტომ გადაწყდა, რომ გერმანია გარკვეულ დახმარებას გაუწევდა საქართველოს. ამავე დროს, ის სურათიც იკვეთება, რომ გერმანიის მეორე რაიხის ჰოჰენცოლერნების სამეფო დინასტიას მნიშვნელოვანი პოზიციები უნდა მოეპოვებინა იმდროინდელი საქართველოს სინამდვილეში. კაიზერ ვილჰელმ მეორის გეგმით, საქართველოში უნდა აღდგენილიყო მონარქია, თუმცა სამეფო ტახტზე იგი ბაგრატოვნების აყვანას არ გეგმავდა. ცნობილი ქართველი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწის, გენერალ შალვა მაღლაკელიძის აზრით, საქართველოს მეფე უნდა გამხდარიყო ვილჰელმ მეორის უფროსი ვაჟი, რომელსაც საქართველოში გამეფების მიზნით დიდი ძალისხმევით ამზადებდნენ. (მაღლაკელიძე, 2012, გვ. 89). აქ ბატონი შალვა მცირე უზუსტობას უშვებს. საქართველოს სამეფო ტახტისთვის არა კაიზერ ვილჰელმის უფროსი ვაჟი, კრონპრინცი ვილჰელმი, არამედ მისი უმცროსი ძე - იოახიმი მზადდებოდა. იგი ხშირად დადიოდა ქართული ჩოხით, ეცნობოდა ქართულ კულტურას და ქართველებს. ერთი პერიოდი ტრაპიზონშიც იყო ჩასული, სადაც ქართველ მოკავშირეებს ხვდებოდა. იოახიმს ქართველი ქალი უნდა შეერთო ცოლად, მარინე მაჩაბელი, საქართველოს

ეროვნული საბჭოს წევრის, თავად მიხეილ მაჩაბლის ქალიშვილი. მიუხედავად დიდი მცდელობებისა, საერთო ჯამში, ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა და საქართველოში ჰოჰენცოლერნების დინასტია ვერ დაფუძნდა, თუმცა, ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებდა იმაზე, რომ გერმანული ინტერესები საქართველოს მიმართ დიდი იყო.

ხოლო რაც შეეხება გერმანელთა მხარდაჭერით ქართული ლეგიონის ფორმირებისათვის დაწყებულ მუშაობას, იგი დიდი აქტიურობით დაიწყო. თბილისში გერმანიის იმპერიის ყოფილი კონსულის, გრაფ ფრიდრიხ-ვერნერ ფონ დერ შულენბურგის (Friedrich-Werner Erdmann Matthias Johann Bernhard Erich Graf von der Schulenburg) აქტიური მხარდაჭერით ქართველმა ნაციონალისტებმა, ძმებმა, ლეო და გიორგი კერესელიძეებმა, პეტრე სურგულაძემ, ნესტორ მაღალაშვილმა და გიორგი მაჩაბელმა მოსამზადებელი სამუშაოები დაასრულეს და ბერლინში ,,საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი" დააფუძნეს. კომიტეტის შტაბი მოკლე ხანში კონსტანტინოპოლში, სამშობლოსთან ახლოს გადმოვიდა. კომიტეტის შტაბის კონსტანტინოპოლში გადმოსვლისდა მიუხედავად, მისი წევრები პოლიტიკური და სამხედრო მიმართულებით, გერმანელებთან დაფუძნების პირველი დღიდანვე აქტიურად თანამშრომლობდნენ. ,,დამოუკიდებლობის კომიტეტის" უპირველესი ამოცანა ქართული ლეგიონის დაარსება იყო ოსმალეთის ტერიტორიაზე. სამოქმედო ადგილად შეირჩა ჭანეთი (ლაზისტანი) - ვიწე, სადაც მრავლად ცხოვრობდნენ ქართველი მაჰმადიანები, რომლებიც სისხლხორცეულად იყვნენ დაინტერესებულნი სამშობლოს მომავლით. ლეგიონის შექმნა ლეო კერესელიძეს დაევალა. გერმანელთა მხრიდან ქართველებს დახმარებას უწევდნენ გერმანიის არმიის ოფიცერი, სამხედრო ატაშე - კიშკე, და ლოის მოზელი - პოლიტიკური ატაშე ქართულ კომიტეტთან. მიხაკო წერეთელს დაევალა გერმანიასა და ავსტრიაში ბანაკების დათვალიერება და ქართველი ტყვეების გამოცალკევება რუსის ჯარის საერთო ტყვეებიდან. (თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი. დამოუკიდებლობის კომიტეტი საზღვარგარეთ - 1914). 1914 წლის 24 სექტემბერს, გიორგი მაჩაბელმა და მიხაკო წერეთელმა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს თავიანთი გეგმა – ,,ამიერკავკასიის ჩამოშორება რუსეთისგან და მისი შემდგომი პოლიტიკური მოწყობა" წარუდგინეს. გეგმის ქვაკუთხედს შეიარაღებული ამბოხების ორგანიზება და ამიერკავკასიაში რუსეთის სამობილიზაციო გეგმის ჩაშლა, კავკასიის რუსული არმიის ბრძოლისუნარიანობის მოშლა და ზოგიერთი სხვა ღონისძიების გატარება წარმოადგენდა. სწორედ ამ გეგმის საფუძველზე, ქართველ ,,მოხალისეთა რაზმების" ფორმირებისთვის ,,საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს" 200 ათასი გერმანული მარკაგა მოეყო. სახელმწიფო მოწყობის თვალსაზრისით გეგმაში წარმოდგენილი იყო ამიერკავკასიის სახელმწიფოთა კონფედერაციის მოდელი. თუმცა, მცირე ხნის შემდეგ გეგმის ავტორებმა გერმანიის საგარეო უწყებას წარუდგინეს ახალი დოკუმენტი – ,,კავკასიის ნეიტრალიზაციისა და მისი მომავალი პოლიტიკური ორგანიზაციის პროექტი". (თხელიძე, 2010, გვ. 42-43).

აღნიშნული ლეგიონის შესახებ მეტად მნიშვნელოვანი კვლევები აქვს ჩატარებული ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ჰუმანიტარულ-სოციალური მიმართულების ემერიტუს-პროფესორს, ქალბატონ შუშანა ფუტკარაძეს, რომელიც აცხადებს: ამ ლეგიონში შედიოდნენ მუსლიმანი ქართველები აჭარიდან, მესხეთ-ჯავახეთიდან, ისტორიული ტაო-კლარჯეთიდან და ლაზეთიდან – სინოპის ჩათვლით. მუჰაჯირებიც იყვნენ და აქაურებიც, მაგრამ სარწმუნოებით მუსლიმანები. ლეგიონმა იარსება 1919 წლის დასაწყისამდე. ჩამოაყალიბა იგი საქართველოს დამოუკიდებლობის პარტიამ. ეს პარტია შეიქმნა ჟენევაში, შემდეგ მისი სათაო ოფისი იყო სტამბოლში, კერძოდ, ქართველ კათოლიკეთა მონასტერში და მას ხელმძღვანელობდნენ ცნობილი პიროვნებები მიხაკო წერეთელი, ივანე მაჩაბელი, ლეო კერესელიძე და სხვები. (ფუტკარაძე, 2006).

მეტად საინტერესო ინფორმაციაა, ქალაქ სტამბოლთან დაკავშირებით კი, მცირე შენიშვნის სახით დავამატებდით, რომ აღმოსავლეთ რომის, ბიზანტიის, ლათინთა და ოსმალთა იმპერიების დედაქალაქს და თურქეთის რესპუბლიკის უდიდეს ქალაქს, 1930 წლამდე ოფიციალურად კონსტანტინოპოლი, კონსტანტინეს ქალაქი ეწოდებოდა და არა სტამბოლი. ასე, რომ ამ პერიოდამდე მისი სტამბოლად მოხსენიება არაკორექტულია. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწყებული VIII საუკუნიდან, არაბები და მოგვიანებით თურქული მოდგმის ხალხები მას ხანდახან ,,ისტანპოლი"-,,ისტამბოლ"-ის სახელით მოიხსენიებდნენ. თუმცა, დავუბრუნდეთ ისევ პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდს და განსახილველ საკითხს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ ლეგიონს სათავეში გერმანიაში მცხოვრები ქართველი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი ლეო კერესელიძე ჩაუდგა. ქ-ნი შუშანა ფუტკარაძე მართებულად აღნიშნავს, რომ ლეგიონის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და სულისჩამდგმელი ცნობილი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" ერთ-ერთი წევრი, პეტრე სურგულაძე იყო. ქართულ ლეგიონზე პატრონაჟი კი, გრაფმა ფონ შულენბურგმა აიღო საკუთარ ხელში.სუფთად გერმანული და არა აღმოსავლეთში უკვე წესად ქცეული გერმანულ-თურქული ხელმძღვანელობა ქართველების სურვილი

იყო. მაგრამ გერმანელებს თურქები რომ სრულიად არ გაენაწყენებინათ, ქართული ლეგიონი ფორმალურად ოსმალთა შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში იქნა ჩართული, ხოლო მთელი ეს წამოწყება იმპერიის სამხედრო მინისტრს, გენერალ ენვერ ფაშას მთავარსარდლობას დაექვემდებარა.

საერთო ჯამში, გრაფ ფონ შულენბურგის მოვალეობა იყო:

1. კავკასიის აჯანყების მომზადება და ,,აჯანყების მოწყობასთან დაკავშირებული ყველა საკითხის მოგვარება რევოლუციურ კომიტეტთან და თურქული არმიის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით".
2. ,,აჯანყებულებსა და პასუხისმგებელ თურქულ და გერმანულ უწყებებთან კავშირის შენარჩუნება..." (ლაშა ბაქრაძე, 2009, გვ. 144).

ქართული ლეგიონი, რომელიც ამ ეტაპზე ძირითადად ლაზებითა და აჭარლებით იყო დაკომპლექტებული, პოლკოვნიკ ლეო კერესელიძის მეთაურობით, I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე აქტიურ საბრძოლო მოქმედებებში ჩაება და მნიშვნელოვან სამხედრო წარმატებებსაც მიაღწია. ,,ქალაქ ბათუმისა და მისი ოლქის რუსული სამხედრო გარნიზონი მცირერიცხოვანი იყო და მისი მეთაურიც, გენერალი ელშინი საკმაოდ უსუსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ლაზებმა და აჭარლებმა, რომლებსაც რუსეთ-თურქეთის განვლილ სამ ომში მონაწილეობის მდიდარი გამოცდილება ჰქონდათ მიღებული, კიდევ ერთხელ დაამტკიცეს თავისი მაღალი საბრძოლო თვისებები. თურქებმა ზედმეტი სირთულეების გარე შეშეძლეს 6000-დე რეგულარული ჯარის შეკრებადა 15 ნოემბრისთვის შეტევაზე გადავიდნენ", (W. E. D. Alenn, Paul Muratoff, 1953, pg. 167) - წერს თავის ფუნდამენტურ ნაშრომში "Caucasian battlefields. A history of the wars on the Turko-Caucasian border. 1828-1921" ბრიტანელი სწავლული და პოლიტიკოსი, საგარეო დაზვერვის ოფიცერი, სამხრეთ კავკასიის სამხედრო ისტორიის აღიარებული მკვლევარი უილიამ ედვარდ დევიდ ალენი (William Edward David Allen) პოლ მურატოვი (Paul Muratoff).

ახლად ჩამოყალიბებულმა ქართულმა ლეგიონმა ,,საზღვარზე მყოფ რუს კაზაკთა რაზმები გაანადგურეს და აიღეს რამდენიმე სოფელი. მათ ხელში ჩაიგდეს რამდენიმე ქვემეხი და ტყვედ აიყვანეს მრავალი რუსი ჯარისკაცი". (ბენდიანიშვილი, 2001, გვ. 19). ქართული ლეგიონის მიერ მურღულთან და მაჭახელასთან ჩატარებულმა სწორედ ამ წარმატებულმა ოპერაციამ გაუკაფა გზა გერმანულ-თურქული სადესანტო ნაწილების ელვისებურ წარმატებას ბათუმთან, I მსოფლიო ომის დაწყების პირველსავე ეტაპზე, 1914 წლის ნოემბრის თვეში. ,,ხოფაში გადმოსხმულ იქნა კონსტანტინოპოლის 1-ლი საარმიო კორპუსის მე-7 და მე-8 პოლკების საზღვაო დესანტი, გერმანელი მაიორ შტანკეს მეთაურობით, რომლებიც უეცრად შეიჭრნენ მდ. ჭოროხის ხეობაში, ბრძოლებით დაიკავეს არტანუჯი, ართვინი, ბორჩხა და რუსებს მდ. აჭარის წყლამდე დაახევინეს", (Корсун, 200, стр. 31) - გვამცნობს ცნობილი რუსი და საბჭოთა სამხედრო ისტორიკოსი და მკვლევარი, ამ ამბების უშუალო „პოდპოლკოვნიკი", შემდგომში გენერალ-ლეიტენანტი, ნიკოლაი კორსუნი. მურღულის ხეობის დაკავებით და პოლკოვნიკ ლავროვის შერეული რაზმის განადგურების შემდეგ, თურქები ძანსულის სპილენძსადნობ ქარხანასაც დაეუფლნენ. (Мартиросянц, 2006, стр. 55-65).ზემოთ ჩამოთვლილ დასახლებულ პუნქტებთან ერთად ოსმალებმა 29 ნოემბერს ხულოც დაიკავეს და ბათუმს მიუახლოვდნენ. ,,რუსული ჯარების წარუმატებელი მოქმედებებისთვის გენერალ იელშინი, ბათუმის გამაგრებული რაიონის უფროსი, გადააყენეს და იგი მაღალკომპეტენტურმა სამხედრო პირმა, გენერალმა ვ. ლიახოვმა შეცვალა". (W. E. D. Alenn, 1953, pg. 167).

სწორედ ამ მოვლენებმა ითამაშა გადამწყვეტი როლი ცარიზმის მკვეთრად ანტიაჭარულ და ანტიქართულ განწყობებზე, ხოლო მაჰმადიან აჭარლებსა და ლაზებზე, რომლებსაც ისედაც არ თვლიდა ქართველებად, დაწოლა გააძლიერა. ცარიზმმა უმალ ,,გამოაცხადა მთელი აჭარა მოღალატედ, ,,ომის დროს აჯანყებულად'' და აპირებდა განმეორებას ძველი ხერხისა, - გაეჟლიტა და გადაერეკა მაჰმადიანი(მათ მუდამ ,,თათრებად'' აცხადებდნენ რუსები და აღწერის დროს ათავსებდნენ თათართა რუბრიკაში მოსახლეობისა) ქართველები ოსმალეთში და მათ ადგილზე დაესახლებინა ქრისტიანი რუსები და სომხები (როგორც ეს წინა ომებში ხდებოდა)'', (გაბაშვილი, 1992, გვ. 152) - აღნიშნავს თავის მემუარში ბატონი რეზო გაბაშვილი. მიუხედავად ცარისტული პოლიტიკის სიხისტისა, რასაც ადგილი ჰქონდა აჭარლებთან მიმართებაში, აქ არაფერია ახალი და გასაკვირი - საომარი მოქმედებების დროს მოწინააღმდეგის მხარის დაჭერა და მისთვის ნებისმიერი სახის დახმარების აღმოჩენა უმძიმესი ანტისახელმწიფოებრივი ქმედებაა და იგი კანონის მთელი სიმკაცრით უნდა იყოს დასჯილი. აქ საკამათო არაფერია. სხვა საკითხია, თუ რამდენად სამართლიანად და ობიექტურად იქნება გამორჩეული ამ საქმეში მტყუან-მართალი და ვისა აქვს უფლება ილაპარაკოს სახელმწიფოს სახელით.

ისევ რევაზ გაბაშვილის მემუარიდან: ,,ჩვენის მხრით, შიგნით საქართველოში, ჩვენ ვაწყობდით ორგანიზაციებს, გაფაციცებით ვაგროვებდით იარაღს და რამდენიმე საწყობიც გვქონდა უკვე, როდესაც მოულოდნელად ჩამოვიდა გიორგი მაჩაბელი და ჩამოიტანა ხელშეკრულებანი გერმანიის, ავსტრიის და ოსმალეთის მთავრობების, რომ ისინი სცნობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას და ყველაფრით ხელს

შეუწყობდნენ მას". (გაბაშვილი, 1992, გვ. 143).

ქართული საზოგადოების ფართო ფენებისთვის ალბათ უცნობია ის ფაქტი, რომ უკვე შემდგომ, 1917 წლისთვის, გერმანელთა მიერ მართლაც რამდენჯერმე განხორციელდა გარკვეული რაოდენობის იარაღის ფარულად შემოტანა საქართველოს ტერიტორიაზე ამისათვის სპეციალურად გამოყოფილი გერმანული წყალქვეშა ნავებით, რითაც გარკვეული არსენალიც შეიქმნა. (ბაქრაძე, 2009, გვ. 229-230). 1917 წლის 3 ოქტომბერს მიხაკო წერეთელი, ოსმან-ბეი (მელიტონ ქარცივაძე) და კიდევ სამი ქართველი, რომელთაც თან დიდძალი იარაღი და ფული მოჰქონდათ, გერმანული წყალქვეშა ნავით "UB-42" საიდუმლოდ საქართველოსკენ გამოემგზავრნენ. 8 ოქტომბერს იარაღი მშვიდობიანად გადაიტანეს ნაპირზე და თავი ჯერ ოხარკალიაში - ნიკო ხორავასთან, ხოლო შემდეგ, ნოსირში - კოკი დადიანთან შეაფარეს. 1917 წლის 5 ნოემბერს შედგა საიდუმლო კრება თბილისში, დათა ვაჩნაძის ბინაზე. მიხაკო წერეთელსა და მელიტონ ქარცივაძეს ფარულად შეხვდნენ იოსებ გედევანიშვილი (სოციალისტ-ფედერალისტი), ნოე ჟორდანია და ევგენი გეგეჭკორი.

სწორედ ამ ისტორიულ კრებაზე გადაწყდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, როდესაც ამისათვის შესაფერისი დრო დადგებოდა. ხოლო რაც შეეხება თავად ,,ქართულ ლეგიონს", 1916 წლის დეკემბერში ,,დამოუკიდებლობის კომიტეტმა" მოითხოვა ლეგიონის გადაყვანა გერმანია-რუსეთის ფრონტზე ევროპაში. 1917 წლის მარტში ლეგიონი 120 კაცის შემადგენლობით რუმინეთში გადაიყვანეს (მოგვიანებით, ეს ნაშთი ლეგიონისა თავისი სამხედრო ფორმით და ლეო კერესელიძის მეთაურობით მარშით შევიდა დამოუკიდებელი საქართველოს დედაქალაქში). (თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი. დამოუკიდებლობის კომიტეტი საზღვარგარეთ - 1914).

გარკვეული ქართული წრეების მხრიდან გერმანო-თურქებისადმი ასეთი დამოკიდებულება და მაიორ შტანკეს დესანტის მიერ განხორციელებული ართვინ-არტანუჯის წარმატებული სამხედრო ოპერაცია დაედო საფუძვლად ანტანტის წევრი ქვეყნების არაკეთილმოსურნე დამოკიდებულებას ზოგადად ქართველებისა და საქართველოს პირველი რესპუბლიკის მმართველი წრეების მიმართ I მსოფლიო ომის მსვლელობისას და მისი დასრულების შემდეგაც, მიუხედავად იმისა, რომ თუნდაც მხოლოდ რუსეთის კავკასიის არმიის შემადგენლობაში მრავალი ქართველი გენერალი და ოფიცერი მსახურობდა, რომლებიც მთელ შენაერთებს მეთაურობდნენ და დიდი პროფესიონალიზმითა და წარმატებით ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს.

გერმანიის სამხედრო წრეების მიერ თავის სტრატეგიულ მოკავშირესთან, ოსმალეთთან მიმართებაში 1918 წლის გაზაფხულისთვის გატარებული პოლიტიკა გადამწყვეტი აღმოჩნდა ამიერკავკასიისა და საქართველოსთვის. გერმანელთა ზემოთ მოყვანილი ,,პროქართული" განწყობებისა და ანტიოსმალური პოლიტიკის საბოლოოდ გამოკვეთას კი, უკვე 1918 წლის დასაწყისიდან ოსმალთა მიერ ამიერკავკასიის მიმართ გატარებულმა იდეოლოგიურმა და სამხედრო მოქმედებებმა შეუწყვეს ხელი. აქ საუბარი ოსმალთა იმპერიის სამხედრო მინისტრის, გენერალ ისმაილ ენვერ ფაშასა და მისი გარემოცვის იდეოლოგიას - პანთურანიზმს ეხება. გენერალი ფრიდრიხ ფრაიერ კრეს ფონ კრეზენშტაინი (Friedrich Freiherr Kress von Kressenstein), გერმანიის საოკუპაციო ჯარების სარდალი და გერმანიის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი საქართველოში 1918 წელს, თავის მემუარში მოგვითხრობს: ,,1917 წლის ბოლოს თურქეთში ე.წ. თურანიზმი წამოვიდა წინ. რელიგიურ-დინასტიური პანისლამიზმის საპირისპირო სისხლისა და რასობრივი ერთიანობის იდეოლოგია. ეს იდეოლოგია, რომელიც აქამდე მხოლოდ აკადემიურად მიმდინარეობდა - რეალური პოლიტიკის სტადიაში შევიდა…

ეს იყო ენვერ ფაშა, რომელიც დესპოტური იდეების განხორციელების დასაცავად გამოდიოდა. მას სურდა თურქული მოდგმა, რომელიც რასით და სისხლით იყო ერთმანეთთან დაკავშირებული, ასევე პოლიტიკურად დაეკავშირებინა ერთმანეთთან და ადრეული ოსმალეთის მრავალეროვანი სახელმწიფოს საპირისპიროდ შეექმნა დიდი თურქული ეროვნული სახელმწიფო. მას თვალწინ ედგა ყირიმში, ვოლგისპირეთში, კავკასიაში და რუსულ და სპარსულ აზერბაიჯანში მცხოვრები თათრების და უპირველეს ყოვლისა კასპიის და არალის ზღვებს შორის მცხოვრები თურქულ-თათრული ერის გაერთიანება". (von Kressenstein, 1943, s. 8).

ფაქტი ის არის, რომ I მსოფლიო ომის წინ, პანთურანიზმის იდეოლოგიამ მკვეთრად განსაზღვრული პოლიტიკური ელფერი შეიძინა. ,,დიდი თურანის" შექმნის დასახული პროექტი კი, I მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე, 1914 წლის შემოდგომაზე გააჟღერეს გენერალმა ენვერ ფაშამ და იტიჰადისტთა სხვა ლიდერებმა, როდესაც აღმოსავლეთ ანატოლიაში გაშლილი ოსმალთა მე-3 არმია რუსეთის კავკასიის არმიის წინააღმდეგ შეტევითი სტრატეგიული ოპერაციის დასაწყებად ემზადებოდა: ,,ჩვენი ჩართვა მსოფლიო ომში ადასტურებს ნაციონალური იდეალებისადმი ჩვენს ერთგულებას. ჩვენი ერისა და ხალხის იდეალი მოითხოვს მოსკოვიტი მტრების განადგურებას, რათა ჩვენი იმპერიისთვის მოვიპოვოთ ბუნებრივი საზღვრები, რომელშიც ჩვენი

რასის ყველა შტო იქნება ჩართული“, - აცხადებდა მაშინ იმპერიის სამხედრო მინისტრი. (Caroline Cox and John Eibner).

ნათელია, რომ ,,დიდი თურანის“ სახელმწიფო-პოლიტიკური პროექტის რეალიზაცია კავკასიიდან უნდა დაწყებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ კავკასია არანაირად არ განეკუთვნებოდა თურქულ, ან თუნდაც უპირატესად თურქულ რეგიონს, თავისი მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობის გამო მან თავიდანვე მიიპყრო პანთურქისტთა და პირადად ენვერ ფაშას ყურადღება. ამ თვალსაზრისით, კავკასია ,,დიდი თურანის“ გეგმის ხერხემალს წარმოადგენდა, რომელსაც შემაერთებელი ხიდის როლი უნდა ეთამაშა ანატოლიასა და ცენტრალურ აზიას შორის. (ჩაჩხიანი, 2015, გვ. 86). სწორედ ამ თვალსაზრისს ანვითარებდა ოსმალო გენერალი, ჰალილ ფაშა, რომელმაც 1918 წლის აგვისტოში ერევანში მიმდინარე სომხურ-თურქული მოლაპარაკებების დროს, სომხეთის დიპლომატიური მისიის ხელმღვანელს საქართველოში, არშაკ ჯამალიანს, განუცხადა: ,,ჩვენ, თურქები, არ ვფიქრობთ, რომ დავიმონოთ რომელიმე ხალხი. მაგრამ ჩვენ მეტად მნიშვნელოვანი იდეა გაგვაჩნია, რომელიც უნდა აღვასრულოთ. ჩვენ გვსურს კავშირის აღდგენა ჩვენს ძველ სამშობლოსთან - თურანთან. ამიტომ ჩვენი ორი სამშობლოს შემაერთებელი გზები არ უნდა იყოს უცხო ხალხების ბატონობის ქვეშ“. (Рубен Шухян).ზუსტად ამ საკითხთან დაკავშირებით, ცოტა მოგვიანებით, ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა მთავარი კომიტეტის ბეჭდვითი ორგანო, გაზეთი ,,სახალხო საქმე“, თავის 794-ე ნომერში დაბეჭდილ სტატიაში, სათაურით ,,ჰალილ ფაშას პროექტები“, წერდა:

,,გერმანელ პოლკოვნიკს, ერნესტ ფარაესენს, რომელიც ერთ დროს მსახურობდა ჰალილ ფაშას ჯარში, დაუბეჭდნია ,,ბერლინერტაგებლატში”თავისი მოგონებანი. აი, რას წერს ხსენებული პოლკოვნიკი:

,,ჰალილ ფაშას უფრო მეტად ეინტერესებოდა აღმოსავლეთის პოლიტიკა, ვიდრე სამხედრო საკითხი. მას წინ მუდამ ედო ინგლისური რუკა, რომელიც ეპოვა კუტელ ამარის გამარჯვების დროს, გენერალ თაუნშენდის ქაღალდებში. კარგი ფრანგული ენით იგი გვიხსნიდა თავისი პანისლამისტური იმპერიის შემდეგ პროგრამას. ლურჯი მელნით ჰხაზავდა თურანის საზღვრებს, რაც არსებობდა მხოლოდ ახალგაზრდა ოსმალთა პოეტების ქმნილებებში, რომელიც განხორციელებული უნდა ყოფილიყო იტტიჰატელების ხელით.

მისი პროგრამის თანახმად, საჭირო იყო უპირველესად შეერთება ყველა თურქული ხალხებისა. პირველ რიგში უნდა დაპყრობილიყო თურქესტანი, თურქული იმპერიის აკვანი. შემდეგ უნდა კავშირი დაეჭირათ ციმბირელ იაკუტებთან, რომელთაც ჰალილ ფაშას თვლიდა აღმოსავლეთის ნაპირის ავანგარდად. შემდეგ ამ კავშირში უნდა შეეყვანათ კავკასიის თათრები, რომლებიც თურქებთან ერთი ტომისანი არიან. კავკასიის ეროვნულ უმცირესობებს, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი სომხები და ქართველები იყვნენ, უნდა მიეღოთ ქვეშევრდომობა ან საკუთარი ნებით, ან ძალადობით.

ამის წყალობით, ,,სომხეთის საკითხი” მიუახლოვდა თავის გადაჭრას. საკითხის ამ შეუბრალებელი გადაწყვეტით სომხობა იჟლიტებოდა როგორც ტომი. ქართველებიც იმავე ბედისწერის შიშით მიეშურნენ გერმანელების კალთაში და გერმანიის იმპერიამ ოფიციალურად თავის მფარველობის ქვეშ მიიღო ქართველობა. ჰალილ ფაშას პროგრამის თანახმად, როცა დრო მოვიდოდა, ქართველობა, შემორტყმული თურქებითა და თათრებით, უნდა ჩავარდნილიყვნენ თურქული ძალაუფლების ხელში. ამ პროგრამის განსახორციელებლად გადამჭრელი ფაქტორი უნდა ყოფილიყო ბათომისაღება, რომელიც გადაეცათ თურქებს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ძალით. თურქულ იმპერიას დიდი გავლენა უნდა მოეხდინა ავღანისტანსა და სპარსეთზე. და ეგონათ, რომ რადგან ავღანელები სუნიტები არიან, დიდი სიმპატია ექნებოდა ოსმალეთისა. მეფის მემკვიდრე უნდა აღზრდილიყო თურქულ ყაიდაზე.

ოსმალეთისსაჭირომოთხოვნილებაიყოაგრეთვესპარსეთისყველაზემდიდარიპროვინციის-აზერბეიჯანის შეერთება. სპარსეთის დანარჩენ ნაწილებს დიდად არ აფასებდა. არაბეთის საკითხში ახალგაზრდა თურქები სხვადასხვა თვალსაზრისზე იდგნენ. იმ დროს, როცა ჰალილ ფაშა იცავდა პანთურქულთ ვალსაზრისს, ენვერ ფაშა ხელოვნურად ასრულებდა პანისლამურ როლს, რომელიც არაბეთს სთვლიდა ხელსაყრელ მასალად მოლაპარაკებების საქმეში. იგი დარწმუნებული იყო, რომ ინგლისი წინააღმდეგობას არ გაუწევდა ოსმალეთს დაეპყრო თურქესტანი, ამის სანაცვლოდ კი, შესთავაზებდა ინგლისს არაბეთს, როგორც ხიდს ეგვიპტესა და ინდოეთს შორის. ამ პროპაგანდისტებს დიდი გავლენა ჰქონდათ კავკასიის გულუბრყვილო მაჰმადიან მთიელებზე, რომლებიც იღებდნენ მათ როგორც წინასწარმეტყველის წმინდა წარმომადგენლებს.

არაბული დიდი იმპერიის აღორძინებას თურქული ხალიფატის ჰეგემონიის ქვეშ და თურქულ-თათრული ტერიტორიების შეერთებას ოსმალეთი უნდა გადაექცია ურყეველ დიდ სახელმწიფოდ აზიაში. მაჰმადიანების დახმარებით ამ სახელმწიფოს გავლენა აფრიკამდე გავრცელდებოდა“. (გაზეთი ,,სახალხო საქმე“, 1920, N794).

აქედან გამომდინარე, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ,,კავკასიის განთავისუფლებისთვის“ შემუშავებული სამხედრო ოპერაციების გეგმების შედგენა ოსმალთა იმპერიის გენშტაბისა და გერმანულ

ისარდლობის საქმიანობის პრიორიტეტებად დაისახა. (Чочиев. 2005) მეტად ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, სამხრეთ კავკასიაში გაშლილი ოსმალთა მე-3 არმიის სარდალი, გენერალი აჰმედ იზეთ ფაშა დაკავებული თანამდებობიდან გადააყენეს, სარდლობა კი, უშუალოდ იმპერიის სამხედრო მინისტრმა, გენერალმა ისმაილ ენვერ ფაშამ ჩაიბარა.

ამ იდეის არსებობის შესახებ სხვა გერმანელი სამხედროებისთვისაც გახდა ცნობილი. ასე მაგალითად, გენერალი ოტო ლიმან ფონ სანდერსი (Otto Liman von Sanders), გერმანიის სამხედრო მისიის ხელმძღვანელი ოსმალეთის იმპერიაში და ოსმალეთის იმპერიის შეიარაღებული ძალების მთავარი სამხედრო ინსპექტორი, მოგვიანებით თავის მემუარებში წერდა: ,,ერთხელ ენვერი კავკასიასთან დაკავშირებით თავისი გეგმების შესახებ მესაუბრებოდა. საუბრის ბოლოს კი, გრანდიოზული და მეტად უცნაური იდეა გამანდო. კავკასიის დაუფლების შემდეგ იგი აღმოსავლეთით წასვლასა და ავღანეთისა და ინდოეთის დაპყრობას აპირებდა“. (Suhnaz Yilmaz, 2010, p. 47). იგივეს აღნიშნავდა გერმანიის საიმპერატორო ჯარების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი ერიხ ლუდენდორფიც.

თავდაპირველად ლუდენდორფი მაინცდამაინც დიდ ინტერესს არ იჩენდა იტიჰადისტთა ამ ჩანაფიქრისა და თურქეთის თურანული გაფართოების პროექტისადმი-შესაბამისად, არც დაბრკოლებებს ქმნიდა ამისთვის. პირიქით, ამ პროცესების განვითარებიდან იგი გერმანიისთვის გარკვეული სარგებლის მიღებასაც მოელოდა. ეს სარგებელი, პირველ რიგში, გერმანული გავლენის სფეროების გაფართოებაში გამოიხატებოდა აღმოსავლეთის მიმართულებაზე. 1918 წლის 15 მარტს ლუდენდორფი შემდეგი შინაარსის დეპეშას უგზავნის კონსტანტინოპოლში გენერალ ჰანს ფონ სეექტს (Hans von Seeckt): ,,თურქული შენაძენის მთავარი არსი აღმოსავლეთში უნდა ვეძებოთ. აქ, მოხერხებული თურქული დიპლომატიისთვის ნიადაგის მოპოვების შესაძლებლობის გვერდით, არსებობს ასევე ჩვენი გავლენის სფეროს შექმნის შანსი ცენტრალურ აზიამდე”.

ასეა თუ ისეა, ფაქტია, რომ, იდეოლოგიური დაპირისპირების თვალსაზრისით, თურანიზმს მხარს უჭერდნენ გერმანელი იდეოლოგები, როგორც პანსლავიზმის საპირწონეს და ცარისტული რუსეთის აგრესიული ექსპანსიონისტური პოლიტიკის კარგ გამანეიტრალებელ საშუალებას სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებაზე. მაგრამ მას შემდეგ, რაც კავკასიის ფრონტის ოსმალთა მე-3 არმიის გასაძლიერებლად ენვერ ფაშას ბრძანებით პალესტინის ფრონტიდან სამხრეთ კავკასიაში ოსმალური სამხედრო შენაერთები გადმოიყვანეს, იგი ,,კავკასიის ისლამურ არმიად“ ტრანსფორმირდა და სარდლად ენვერის უმცროსი ძმა, გენერალი ნური ფაშა დაინიშნა, ლუდენდორფის განწყობები დიამეტრალურად შეიცვალა. ეს გასაგებიცაა, რადგან ამ ქმედებებით პალესტინის ფრონტი მნიშვნელოვნად დასუსტდა და აქ ძირითადში სწორედ გერმანული შენაერთები აღმოჩნდნენ ბრიტანელებთან დაპირისპირებულნი. არავინ უარყოფს იმ ფაქტსაც, რომ გერმანელთა ,,პროქართული” პოზიციების გაძლიერების საქმეში, რა თქმა უნდა, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ბაქოს ნავთობისა და ჭიათურის მანგანუმის მოპოვებასა და მათ ტრანსპორტირებაზე გერმანელთა კონტროლის დამყარება წარმოადგენდა. როგორც ცნობილი ინგლისელი მეცნიერი, ლონდონის დედოფალ მერის უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორი დონალდ რეიფილდი (Donald Rayfield) წერს: ,,1918 წელს გერმანიისთვის საქართველოზე წვდომა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს წარმოადგენდა“. (ერიკ ლი, 2018, გვ. 91).

იყო კიდევ ერთი რამ, ცოტა არ იყოს ეფემერული და ფუტურისტული მიზეზიც - ამიერკავკასიაში გერმანული და ქართული ფაქტორის გაზრდით ლუდენდორფი იმედოვნებდა, რომ მომავალში, თურქესტანსა და ავღანეთში გერმანული პოზიციების გაძლიერებით, შესაძლებელი იქნებოდა ბრიტანელთა საკომუნიკაციო ხაზების მოშლა ინდოეთში და მათ წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება. გენერალი ფონ კრეზენშტაინი: ,,12 მაისს, საღამოს 10 საათსადა 30 წუთზე გამომიძახეს ლუდენდორფთან ხანგრძლივი საუბრისთვის. იგი უჩვეულოდ თავაზიანად მესაუბრა, კიდევ ერთხელ დეტალურად გამაცნო თავისი მოსაზრებები კავკასიაში გადასაჭრელი ამოცანების შესახებ და მითხრა, იმისთვის მეზრუნა, რომ კავკასიის ახალგაზრდა სახელმწიფოებს რაც შეიძლება მალე შეექმნათ ბრძოლისუნარიანი ჯარი. არ იყო გამორიცხული, რომ ჩვენ მოვახერხებდით ინგლისელების საფრანგეთიდან განდევნას, მაგრამ ამით მათ ვერ დავაჩოქებდით. ჩვენ იძულებულნი ვიქნებოდით ინგლისელებს თავს ინდოეთში დავსხმოდით და ჩემი ამოცანა სწორედ ამაში მდგომარეობდა - კავკასიაში შემექმნა ტრამპლინი ინდოეთის წინააღმდეგ მოსალოდნელი ოპერაციისთვის. ტელეგრამაში, რომელიცმე 18 ივნისს მივიღე, ლუდენდორფი კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს იმას, რომ ჩემს წინაშე მდგარ უმნიშვნელოვანეს ამოცანას ქართული ჯარის სწრაფი ორგანიზება წარმოადგენდა“. (von Kressenstein, 1943, s. 22). იგივე ავტორი: ,,სიტუაციის უფრო მეტად სერიოზული და მძაფრი შეფასება მოითხოვდა ჰინდენბურგისგან და ლუდენდორფისგან, რომ თურქებს უარი ეთქვათ კავკასიაში თავიანთ განზრახვაზე და მხოლოდ ბაღდადის წინააღმდეგ შებრუნებულიყვნენ. საქმე საბოლოოდ მოკავშირეთა შორის ურთიერთობების კრიზისამდე მივიდა, რომელმაც ძალიან სერიოზული ხასიათი მიიღო. მხოლოდ იმით, რომ ჩვენ გარკვეულ დათმობებზე

წავედით, შესაძლებელი იყო ენვერის წინსვლის დაბრკოლება და არა ჩვენი დანაშაულის გამო წარმოქმნილი კონფლიქტის მოგვარება. საბოლოოდ ჩვენ მაინც მოგვატყუეს თურქებმა. მათ ჩვენს ზურგს უკან და დანაპირების საწინააღმდეგოდ, ბაქოს ოკუპაცია მოახდინეს," - აღნიშნავს გენერალი ფონ კრეზენშტაინი. (von Kressenstein, 1943, s. 9). და იყო კიდევ ორი ფაქტორი, რამაც გერმანელთა კეთილგანწყობა განაპირობა საქართველოსა და ქართველების მიმართ - ისტორიულ-დინასტიური და სოციალურ-კულტურული ურთიერთობები, რომელსაც აქ აღარ განვიხილავთ.

საბოლოოდ, 1918 წლის 28 მაისს, ფოთში, გერმანული ხომალდის SMS Mina Horn-ის ბორტზე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის წარმომადგენლებს შორის ხელი მოეწერა დროებით ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც საქართველომ გერმანიის იმპერიის მხრიდან მიიღო აღიარება და იგი გერმანული პროტექტორატით აღიჭურვა. ხელშეკრულება ითვალისწინებდა:

- გერმანული მხარის მიერ საქართველოს რკინიგზითა და პორტებით შეუზღუდავ სარგებლობას;
- გერმანიის საექსპედიციო ძალების მიერ საქართველოს სტრატეგიული ობიექტების ოკუპაციის უფლებას;
- გერმანული ვალუტის თავისუფალ მიმოქცევას;
- ერთობლივი სამთო-მომპოვებელი კორპორაციის დაარსებას;
- დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლების გაცვლას;
- საერთაშორისო აღიარებაში დახმარების გაწევას;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას;

გერმანიის მხრიდან ამ დოკუმენტს ხელს აწერდა გენერალი ოტო ჰერმან ფონ ლოსოვი (Otto Hermann von Lossow), ხოლო საქართველოს მხრიდან - რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი ნოე რამიშვილი. სწორედ ამიტომ, ყველა ზემოთ აღწერილი ფაქტორის გათვალისწინებით, გერმანიის საიმპერატორო ჯარების გენერალურ შტაბში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ყირიმიდან საქართველოში გერმანული საექსპედიციო კორპუსი გაგზავნილიყო, არტილერიის გენერლის, ფრიდრიხ ფრაიერ კრეს ფონ კრეზენშტაინის სარდლობით, რომელიც ამავე დროს, გერმანიის პოლიტიკური მისიის ხელმძღვანელიც იქნებოდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ეს მისია საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შექმნასა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის დაცვაში დახმარების აღმოჩენასაც გულისხმობდა. და მართლაც, 1918 წლის ივნისის თვიდან ფოთის პორტიდან საქართველოში გერმანული ჯარების სხვადასხვა გვარეობის რჩეული ნაწილები შემოდიან. უილიამ ალენი განსაკუთრებით გამოყოფს გენერალ კრეზენშტაინის როლს ქართველებთან კარგი ურთიერთობების დამყარების საქმეში და აღნიშნავს, რომ **მთელი მაისის** განმავლობაში კრეზენშტაინი განსაკუთრებით აქტიურობდა თბილისში. (W. E. D. Alenn, Paul Muratoff, 1953, pg. 469). (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.).

აქ პატივცემული ავტორი აშკარად ცდება. გენერალი კრეზენშტაინი მაისის თვეში თბილისში ვერანაირად ვერ იქნებოდა და შესაბამისად, ვერანაირ აქტიურობებს იგი აქ ვერ გამოიჩენდა. პირველმა გერმანულმა სამხედრო ქვედანაყოფებმა ფოთის პორტში 1918 წლის 3 ივნისს დაადგეს ფეხი, გენერალ კრეზენშტაინის გემი კი, მხოლოდ 1918 წლის 23 ივნისს შემოვიდა ფოთის პორტში, ხოლო თბილისში იგი და მისი თანმხლები პირნი 24 ივნისს ჩამოვიდნენ ავსტრო-უნგრეთის და ბულგარეთის სამხედრო დელეგაციებთან ერთად, რაც უტყუარი დოკუმენტებით დასტურდება. (სეა. ცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 3.) ალენი აქვე აგრძელებს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, 1918 წლის 26 მაისს, ფონ კრეზენშტაინმა და ფონ შულენბურგმა სასახლის ფანჯრიდან გამოაცხადეს ახალი ქართული რესპუბლიკის პროტექტორატით აღჭურვა გერმანიის მხრიდან. აქაც ცდება ღრმადპატივცებული ავტორი. მას გენერალი კრეს ფონ კრეზენშტაინი აშკარად კონსტანტინოპოლში გერმანიის საელჩოს სამხედრო წარმომადგენელში, გენერალ ოტო ფონ ლოსოვში ერევა - ეს ცხადია. გენერალი კრეს ფონ კრეზენშტაინი 1918 წლის 26 მაისისთვის თბილისში, და საერთოდ, საქართველოში არ იმყოფებოდა. დიახ, 1918 წლის 26 მაისისთვის თბილისში ნამდვილად იმყოფებოდნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ აქ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში გენერალი ოტო ფონ ლოსოვი და ფრიდრიხ-ვერნერ ფონ შულენბურგი. გენერალი კრეს ფონ კრეზენშტაინი და მისი სამხედრო-დიპლომატიური მისია კი, თბილისში 1918 წლის ივნისის ბოლოდან დაფუძნდა. იგი და გერმანული ქვედანაყოფები საქართველოში წლის ბოლომდე დარჩებიან და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ბრძოლაში გერმანელი ჯარისკაცებიც დაღვრიან სისხლს... თუმცა, ეს უკვე სულ სხვა ისტორიაა...

დასკვნის სახით კი, უნდა ითქვას, რომ მე-20 საუკუნის 10-იან წლებში ისტორიული ქართული მიწები და საქართველო კიდევ ერთხელ მოექცა მსოფლიო იმპერიათა ყურადღების ცენტრში. მათი მხრიდან აშკარად გამოიკვეთა და წინა პლანზე გამოვიდა საქართველოს გეოსტრატეგიით დინტერესება. 1919 წლამდე, აქ პირველ რიგში, ოსმალეთისა და გერმანიის, ხოლო 1919 წლიდან დიდი ბრიტანეთის ინტერესები იკვეთებოდა.

და რა თქმა უნდა, საქართველო უწყვეტად განიცდიდა რუსული იმპერიულ აგრესიას. ამ იმპერიათა სახელმწიფოებრივი იდეოლოგია და მიზნები განსხვავებული იყო. განსხვავებული იყო მათი მოქმედებების ტაქტიკა და მეთოდოლოგია, თუმცა, სტრატეგიული მიზნები მათ ერთნაირი ჰქონდათ - ამიერკავკასიური პლაცდარმის მოპოვება, რეგიონალური დომინანტობის მიღწევა და იმპერიის შემდგომი ექსპანსია. ამ უმძიმეს ჭიდილში, რიგი ხელსაყრელი სამხედრო-პოლიტიკური ფაქტორების ზედდების შედეგად, საქართველომ შეძლო თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

ერთი საუკუნის წინ ამიერკავკასიასა და საქართველოში მიმდინარე ურთულეს სამხედრო-პოლიტიკურ პროცესებს დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა. ამიერკავკასია და საქართველო დღესაც მსოფლიო სახელმწიფოთა ინტერესების სფეროშია მოქცეული და ეს დიდი პოლიტიკური თამაშები დღესაც გრძელდება. მაშინ, მე-20 საუკუნის 10-იან წლებში სტრატეგიულ პარტნიორად და მოკავშირედ საქართველოს გერმანია მოევლინა, თუმცა, ეს სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი სულ რამდენიმე თვე გაგრძელდა და საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდიც ერთობ ხანმოკლე აღმოჩნდა - არასრული სამი წელი. მაშინ ევროპამ მიატოვა საქართველო და რუსულმა მოდერნიზებულმა იმპერიამ ისევ შეძლო საქართველოს დაპყრობა და მისი ტერიტორიების ანექსია. რუსული ფაქტორი და მისგან მომავალი საფრთხეები დღესაც აქტუალურია, თუმცა, გასული საუკუნის 20-იან წლებთან შედარებით, დღეს განსხვავებული მდგომარეობაა. ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ვექტორი საქართველოსკენაა მიმართული, ხოლო თავად საქართველოს ევროპული და დასავლური ღირებულებებისკენ ორიენტაცია განსჯას არ ექვემდებარება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ალ. ბენდიანიშვილი. საქართველოს პირველი რესპუბლიკა. თბილისი. 2001
2. გაზეთი "სახალხო საქმე". საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია. მთავარი კომიტეტის ორგანო. 1920 წ. შაბათი, აპრილის 3. #794
3. ერიკ ლი. ექსპერიმენტი: საქართველოს მივიწყებული რევოლუცია: 1918-1921. ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი. თბილისი. 2018. გვ. 91. Donald Rayfield. Edge of Empires: A History of Georgia. London: Reaktion Books. 2012. გვ. 323
4. გრ. ლორთქიფანიძე. ფიქრები საქართველოზე. თბილისი. 1995
5. ზვიად თხელიძე. პირველი მსოფლიო ომის ქართული ფრონტი. ქართულ-გერმანული 15 000000-იანი საიდუმლო ოპერაცია. თბილისი. 2010
6. თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი. დამოუკიდებლობის კომიტეტი საზღვარგარეთ – 1914. http://german-georgian.archive.ge/ka/blog/32
7. ლაშა ბაქრაძე. გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს. (ქართული ეროვნული კომიტეტის საქმიანობა 1914-1918წ.ნ.) გამომცემლობა ,,პეგასი". თბილისი. 2009. PA AA, R 21012. Wesendonk 10.4. 1915.
8. ლევან სანიკიძე. მესამე დასის საქართველო. ნაკვეთი პირველი."მერანი". თბილისი. 1989
9. ლევან ურუშაძე. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს სადაზვერვო საქმიანობა კავკასიაში 1900-იან - 1910-იან წლებში. ამირანი XX. თბილისი. 2008. http://www.caucasology.com/amirani20/ urushadze.pdf
10. რეზო გაბაშვილი. დაბრუნება. რაც მახსოვს. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა. თბილისი. 1992
11. საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. შემდგომში (sea. cssa.). ფონდი 13, ანაწერი 27, საქმე 5412, ფურცელი (18-19)
12. sea. cssa. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 3, ფურცელი 10
13. შალვა მაღლაკელიძე. მოგონებები. ილუსტრირებული ბიოგრაფიები 6. გამომცემლობა "პეგასი". თბილისი. 2012
14. შუშანა ფუტკარაძე. ჩვენებურები. ქართული ლეგიონი ტრაპიზონში. ინტერვიუ. აჭარის რადიო. ბათუმი. 2006. http://biblioteka.litklubi.ge/print.php?id=3926
15. Георгий Чочиев. Кавказская ориентация в политической деятельности представителей северокавказской диаспоры в Турции в период Первой мировой войны. © БюллетеньВИУ №15 2005 г.http://www.aheku.org/ articles/russian/hist/3645.
16. И. Г. Корсун. Перваямироваявойнанакавказскомфронте. Воениздат. Москва. 1946 г.
17. МартиросянД.Г. Сарыкамышскаяоперация (12-24 декабря 1914г.).Военно-историческиеисследованиявПоволжье. Выпуск 7. Саратов, 2006. С.55-65. www. august-1914.ru/martirosyan2.html
18. Рубен Шухян. Архив истории: как в 1918 году ,,обменивали" Мегри. https://ru.armeniasputnik.am/ exclusive/20170815/8264519/arhiv–istorii-kak-v-1918-godu-obmenivali-megri.html
19. Caroline Cox and John Eibner.Ethnic Cleansing in Progress: War in Nagorno Karabakh. The Pincers of Pan Turkism.(Walker, 1980, p. 198).http://sumgait.info/caroline-cox/ethnic-cleansing-in-progress/pincers-of-panturkism.htm
20. General der Artillerie Friedrich Freiherr Kress von Kressenstein. Meine Mission im Kaukasus. München. 1943.
21. Suhnaz Yilmaz. An Ottoman Warrior Abroad: Enver Pasha as an Expatriate. Middle Eastern Studies.A Frank Cass Journal.ISSN 0026-3206.
22. W. E. D. Alenn. Caucasian battlefields.A history of the wars on the Turko-Caucasian border.1828-1921. CambridgeUniversityPress. 1953.

ენერგეტიკული გარემო შავი ზღვის/კასპიის რაიონში, მთავარი გეოპოლიტიკური მოთამაშეების როლი და მათი ინტერესები რეგიონში ენერგეტიკული და სატრანსპორტო პროექტების მიმართ

ENERGY ENVIRONMENT IN THE BLACK SEA/CASPIAN AREA AND ROLE AND INTERESTS OF THE MAIN GEOPOLITICAL PLAYERS AND THEIR ATTITUDE TOWARD THE ENERGY AND TRANSPORT PROJECTS IN THE REGION

ნიკა ჩიტაძე
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
პროგრამა: საერთაშორისო ურთიერთობები

NIKA CHITADZE
PROFESSOR OF THE INTERNATIONAL BLACK SEA UNIVERSITY
PROGRAM: INTERNATIONAL RELATIONS

თბილისი
TBILISI
2021

აბსტრაქტი

კვლევაში განხილულია ენერგორესურსების გავლენა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაზე და წამყვანი გეოპოლიტიკური აქტორების, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთის, ევროკავშირის, თურქეთის, ჩინეთისა და ირანის სტრატეგიული ინტერესები რეგიონში და მათი დამოკიდებულება არსებული და მომავალი ენერგოპროექტების მიმართ.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ რეგიონში არსებული ენერგორესურსების კონტროლი წარმოადგენს სამხედრო რესურსებზე უფრო მნიშვნელოვან ბერკეტს დიდი სახელმწიფოებისთვის.

საკვანძო სიტყვები:
ენერგეტიკა, კასპიის რეგიონი, შავი ზღვის რეგიონი, აშშ, ევროკავშირი, რუსეთი, ჩინეთი, თურქეთი

ABSTRACT

The research examines the impact of energy resources on the security of the Black Sea environment based on the existed and future energy projects and the geopolitical priorities of the leading geopolitical actors: the United States, Russia, the EU, Turkey, China and Iran in relation to the Black Sea region.

The Black Sea–Caspian Steppe is considered to have valuable reserves of energy resources. This area draws the attention of the international community because of the conflicts that are interrelated with the occupied territories, as well as because of the critical geopolitical, geostrategic and geo-economic role of the region of the Black Sea.

As this weapon for the superpowers can be more important than the military defense in the future, the growing power of the energy resources is addressed.

KEYWORDS:
Energy, Caspian Region, Black Sea Region, USA, EU, Russia, China, Turkey

INTRODUCTION

With the advent of an industrial age, the energy element has come to world politics. The twentieth century, by all available technological, diplomatic and military means, has contributed to the competition for energy supplies. The desire to regulate energy resources has been the dominant element in world history. New strategic realities have been generated in global relations and, in particular, in the post-Soviet space since the fall of the USSR. At the same time, in the early 1990s of the 20th Century, several political and inter-ethnic conflicts emerged in post-Soviet space, particularly in the Black Sea/Caspian region.

The Black Sea/Caspian Zone rivalry is therefore focused on prospective estimates of the reach of the Caspian oil and gas market. It should be noted that in preserving the energy stability, the Black Sea/Caspian States regard the visible expansion of the Caspian gas export range as a serious and promising factor. The briefing note addresses defense and energy security issues around the Black Sea from a political point of view and assesses the potential of Black Sea cooperation to strengthen security in the region.

It recognizes many triggers for change in the security climate of the Black Sea, including the dramatic change in Russia-Ukraine relations, the current Turkish foreign policy, a more aggressive process in all the previously called 'frozen' disputes, a renewed emphasis on naval equilibrium and maritime security, and the race to monitor the gas supply route to Europe from the South-East. Threats are divided into three types: those related to rivalry between the region's great powers, the possible flashpoints that could spark a global conflict at any moment, and the transnational risks that affect all Black Sea countries.

It became apparent during the last time that energy security is as important to the nation as military security. Moreover, under the circumstances of globalization and interconnections between states, for instance, the use of armed forces is not as successful. The role of energy capital within international relations theories has been strengthened. Because of this, taking these facts into account, neo-realism is the key frame of research which is interrelated with the relation between foreign policy and energy supplies.

Significance of the Problem - Energy resources determine the priorities of foreign policy and national security of specific countries and influence the policies of the world's leading geopolitical players (the USA, Russia, the EU, Turkey, China, Iran). The clashing interests of the large number of actors represent a threat to the security.

Research Question - What is the role of the leading geopolitical powers in the Black Sea region?

THE MAIN FOREIGN POLICY CHOICE AND NATIONAL PRIORITIES OF THE LEADING GEOPOLITICAL PLAYERS

Geopolitical Aspirations of the Russian Federation in the Caspian/Black Sea Region

Russia's national politics are worried that the development of oil and gas ventures in the Caspian Basin would result in the reduction of Russia's political power in the region and will reduce Russia's exports of energy resources. The increased amount of oil and gas would boost foreign oil and gas costs, which will eventually decrease revenue from the Russian national budget. It can also be undermined that Russia is itself an involved member in Caspian oil ventures.

The oil pipeline linking Baku (Azerbaijan) with the Russian port of Novorossiysk has been operating since 1997. In addition, the pipeline from Kazakhstan to Novorossiysk was also rehabilitated at the beginning of the 21st century. The Russian company 'Lukoil' is a participant of the Multinational Energy Consortium, which is active in Azerbaijan's oil ventures. But, Russia's oil pipelines from Baku to the Black Sea port of Novorossiysk, as well as supply and communication routes from Russia to the Caucasus, were challenged within the first Chechnya war, which crashed social and economic systems and led to the instability in the North Caucasus. Russia is fighting for a leading role in the Caspian-Black Sea region with both large and smaller adversaries. Russia's energy monopoly policy often turns into a military invasion phase. One case in Chechnya, the second presented in Georgia. At this stage, it can be undermined that the occupied regions become interrelated with the energy resources and energy politics. As it is known the war between Russia and Georgia in August 2008 caused major damage to Georgia's economic and financial institutions, triggered a complete deterioration in military capability, disrupted the influx of capital inflows into the region, and severely tried to erode Geor-

gia's position as a secure and prosperous transit country. However, the energy industry wasn't damaged and therefore the Kremlin's main plan wasn't completed. During military activities, Georgia's energy grid continued to operate uninterruptedly. In a few cases, the energy infrastructure was not disrupted during the Russian bombing campaign and the population was supplied with gas without disruption. Russia has its own national interests in the Caspian Sea region, so it is considering competing with Georgia over being an energy transit country. The Caspian Sea region is of special importance, from a Russian point of view, because of a number of concerns that need to be covered. The following geostrategic priorities are among the most significant. It is clear that Russia needs to stay powerful in the region and exert strength within the Commonwealth of Independent States (CIS) and control over it, thus guaranteeing the stability of its southern flank. As a result, Russia is seriously worried that the policy has been more diversified with respect to individual CIS member countries. Russia's concern that the US will fulfill the power vacuum left by Russia to affect its ties with the US in the region. The worsening of Russian-US relations on the European scene since the beginning of the XXI Century has also had a significant effect on the degree of tension in the Caspian area. Russia seeks to assure that cash flows from Central Asian and Siberian oil fields will remain in the form of Western capital and therefore that cash flows will not be diverted from Russia to the Caspian zone. In this policy, though, Russia is losing because Russia's trust is ruined after Russia's use of hard power by occupying, annexing regions, and disrupting Europe by leaving it without energy. Taking into consideration the Ukrainian crisis as an example, it is clear that today Europe looks for importing alternative routes for oil and gas import on the European market bypassing the territory of Russia. The emerging facts of the Caspian context must be taken into account by Russian diplomacy especially because gas and oil account for 40-45 percent of Russian export earnings (Zhiltsov, 2016).

U.S. POLICY TOWARD THE CASPIAN AND BLACK SEA REGION

The Caspian Black Sea Zone has been an exceptionally crucial field on the United States' geopolitical map. This part of the world has valuable energy reserves and acts as a strategic route for its transport (Chitadze, 2011). The US is one of the key major players with competing interests in the area. The United States has a concrete rationale, from a geopolitical point of view, to keep supporting the Caspian countries' sovereignty. The United States also has a strong interest in limiting the extent and power of the sphere of Russian control, despite certain suspicions about the governmental legitimacy and human rights records of the several states in the Black Sea/Caspian region.

As reported by U.S. officials, U.S. priorities in the area include enhancing the independence and stability of the new states; promoting economic and political reform; reducing regional tensions by establishing economic ties amongst regional powers; promoting the U.S. and its allies and regional states' energy security by maintaining the world market's free flow of oil and gas; and the improvement of commercial markets for U.S. and other enterprises. A quantum change in the international balance of power was indicated by the creation of US military bases in the region.

Nowadays, Washington's agenda tends to be motivated by three general objectives: the need to protect the nation's oil supplies, the strengthening of stability and dispute settlement, and attempts to deter international extremist groups from establishing a foothold in the region, both in the Black and Caspian Sea basins and in the broader neighborhoods. The U.S. policy of diversifying sources of oil, not just for itself, but also for other importers of oil. The goal is to minimize reliance on some single region and to decrease the ability of political upheaval in one country/region to have a major effect on the production of oil and thereby contribute to a global economic crisis.

It should be noted that the US embargo on trade with Iran and investments in it excluded the possibility of a foreseeable future from the energy perspective. Thus, this is the stage when Georgia has become strategically more important for the United States since it is an alternative energy transit state. American interests in the Caspian region today arise largely from its defense contribution to the North Atlantic Treaty Organization's European members (NATO).

In the State Department, the Caspian is split into three separate bureaus: The Bureau of European and Eurasian Affairs includes countries on the Caspian's western coast, focusing on Russia and Azerbaijan; the Bureau of South and Central Asian Affairs includes the eastern coast, within the Kazakhstan and Turkmenistan; and the Bureau of Near Eastern Affairs covers Ira

TURKEY'S ROLE IN THE SECURITY OF THE REGION

Further to the fall of the Soviet Union, Turkey, along with the United States and other western powers, guided the phase of expanding the economic and political independence of the newly independent states of the South Caucasus and Central Asia.

Due to the alternative energy routes and new agreements Turkey held a leading role in the security affairs of the Black-Sea Caspian basin.

Existing Caspian energy resources are exported through the Turkish territory, which is the opening gate of the Black Sea region with the outside world. Numerous global projects have been implemented to circumvent the overcrowded Bosphorus.

The geopolitical location of Turkey gives it a distinct advantage. Knowing its role as an alternate route between suppliers and consumers, Turkey strives to be a place where energy transport between suppliers and consumers is the safest. This scenario is an incentive that not only responds to the energy demands of Turkey but also takes it closer to the attention of energy issues. In the last two decades, one of the most debated issues has been whether Turkey should be an energy bridge, whether it should be used as a hub, or whether there can be another perspective.

However, the security and sovereignty of the Black Sea-Caspian states can only be ensured by a strong Turkish-Western alliance opposed to Russian influence and by genuinely functioning and growing trade and transit between the East and West. So, there are obligatory should be involved as many actors as possible. Ukraine, Georgia, and Azerbaijan are increasingly viewed by Turkey as components of an arc that could help to balance Russia's military presence in the Black Sea and the South Caucasus. With this objective, not only with Baku but also with Tbilisi and Kyiv, Ankara is intensifying its security ties. Moreover, Turkey is largely converging in favor of Georgia's NATO goals due to western strategic concerns.

Turkey's greater desire to position itself as a transport energy center for TANAP and the TAP gas pipeline projects (Agenda, 2020) is also assisted by the West from the energy security perspective.

THE CASPIAN SEA: CHINA'S SILK ROAD STRATEGY

The Caspian region is being enmeshed in a network of competing diplomatic, security, trade, and energy interests of countries that range from Asia to Russia, to Europe, to the Middle East. The Caspian basin has emerged prominently as an alternate resource for the world's rising energy users, considering the increasing uncertainty of the Middle East's energy supply. In recent years, China has also expanded its footprint and been an important player in the region. China has the fastest-growing footprint in the region among the numerous players, propelled by its voracious energy demand but also activated by the context of the Shanghai Cooperation Organization (SCO).

As China stumbles on the Silk Road Strategy of "look west" growth, Syria's "look east" policy appears to be wreaking havoc on the Caspian Sea with Chinese interests. The interplay of China's increasing footprint in the Caspian region via the new Silk Road, strengthened by the emerging "Four Seas Strategy", would have major repercussions for the United States, the European Union, and other allies.

In recent years, with two key infrastructure projects: the Kazakhstan-China oil pipeline and the Turkmenistan-China gas pipeline, China has invested in Central Asia and the Caspian region, especially Kazakhstan and Turkmenistan (also known as Central Asia-China gas pipeline). In Turkmenistan, the biggest gas producer in Central Asia, Beijing's main economic interest in obtaining access to natural gas. Funds worth $3 billion have been issued to explore the South Yolotan gas deposits, which are projected to be the fourth-largest reserves of gas in the world (Weitz, 2020).

In the Caspian region, which is related to the interests in Central Asia, China tends to have three large objectives: ensuring stability for the region and anchoring the dormant Xinjiang province; gaining natural resources, and consolidating political power to become a regional hegemon through the political system of the SCO. This is part of the overall Silk Road policy of China to diversify energy dependency from the turbulent area of the Gulf and to construct overland routes to hedge against Gulf fluctuations in maritime supply.

China's ambitions in the Caspian Sea anchor its broader Silk Road Policy against the Middle East, Eu-

rope, and Africa that set up the Union of the Mediterranean. China spends not just in developing economies, but also creates markets through dollar diplomacy and opens up the possibility of growing Chinese leverage in fiscal-fragile developed countries that could theoretically be connected not only to Chinese loans but also to infrastructure, technologies, or financial asset sales agreements. Similar to Russia China is taking action to use the SCO to create a new regional security framework that enhances regional stability while reducing other influences.

With Russia gradually growing its Mediterranean foothold in the Black Sea Navy, China is rising its presence in the Caspian region via the SCO and Silk Road of pipelines, railways, and highways. Again, across the Caspian region and the Greater Middle East, there seems to be a new "great game." It can be concluded that states of the Black Sea-Caspian region express an interest in partnerships with China as well, due to Chinese trade, investment, loans, and technology, China being a world power with substantial influence in many regions of the world, its permanent membership on the UN Security Council grants Beijing influence over many issues of interest to Black Sea states. China is a feasible Russian balancer and a tool of leverage.

EU ATTITUDE TOWARD THE BLACK SEA/CASPIAN REGION

In the Black Sea/Caspian Zone, the EU is recognized as one of the major geopolitical players. It is clear that the EU has three major interests in the field. The EU imports oil from the Persian Gulf, Russia, and Latin America, which are areas that are economically unpredictable (Chitadze, 2017). The EU is also looking for potential sources for its imports of oil and gas. In the area of oil exploration and shipping, the EU authorities represent their own economic interests.

It is expected that the growth of European companies in the region will lead to economic progress in the Caucasus and Central Asian countries and that the region will be more incorporated into the world economic system. The extension of the economic operations of European companies in the Caucasus, large acquisitions, and the development of new European technology would increase the political power of the EU in the Black and Caspian Territories.

These ventures will reduce external challenges, foster the Black Sea and the Caspian States' freedom and territorial integrity. It would also encourage the growth of the market economy's political institutions and values in the Caucasus and Central Asia. The distribution of Caspian energy resources would, in the view of Western scientists, be among the key contributors to economic growth and political stability in oil-rich Azerbaijan, Kazakhstan, and, as a transit state, Georgia.

CONCLUSION AND RECOMMENDATIONS

Because of the advantageous geographical position and the immense capacity of the reserves of oil (approximately 32 trillion barrels) and gas (approximately 40-50 trillion cubic meters) (Bahgat, 2007), the Black Sea/Caspian Zone is one of the world's most strategic regions and plays an extremely important role in current global security issues. The fundamental shifts in the geopolitical map of the region occurred, as is widely acknowledged, at the end of the 80s and the start of the 90s of the 20th century, interconnected with political changes in Eastern Europe and the post-Soviet area, such as democratic transformations in most of the countries of central and eastern Europe, the dissolution of the Soviet Union and the pursuit of complete sovereignty by former Soviet republics.

In the course of this paper, it was found that energy resources in the 21st century have begun to play a more important role in international relations and, therefore, are attracting the policies of leading geopolitical powers. In modern history, the role of gas and oil transit affects the security of both the Black Caspian Sea Zone and Europe and other international actors involved in the region's politics. In the fight for the Caspian energy resources, finally, in 2018, the Caspian Convention played a positive role, due to which the resources are now fairly distributed among the five countries. According to this, the Russian monopoly of resources automatically decreases, as a new energy market appears on the international arena with stable supplies from the NIS, doubly cheap prices, and a guarantor of quality and strategic partnership.

REFERENCES

- Agenda.ge, N. (2020). Shah Deniz project: Azerbaijani gas delivery to Europe via Georgia underway. Tbilisi.
- Bahgat, G. (2007). Energy Security: The Caspian Sea. Minerals & Energy, 3-15.
- Chitadze, N. (2011). Geopolitics. Second Edition. Tbilisi.
- Chitadze, N. (2015). Main Aspects of the Georgia's Energy Policy and Energy Independence. Journal of Social Sciences. International Black Sea University.
- CIA, T. W. (2016). Azerbaijan. Central Intelligence Agency.
- Civil.ge, N. (2019). Georgia's Gakharia Took Part in TANAP Launching in Turkey. Tbilisi.
- Cobb, M. S. (2010). The Importance of a U.S. Security Strategy in the Caspian Black Sea Region.
- Cornell, S. E. (2004). Regional Security in the South Caucasus: The Role of NATO. Paul H.Nitze School of Advanced International Studies.
- Corporation, G. O. (2013, December 16). Shah Deniz Final Investment Decision To Be Made In Baku.
- L.Djervalidze. (2008). International Transparency Georgia.
- Roberts, J. (2001). Energy reserves, pipeline routes and the legal. In S. I. Institute, The Security of the Caspian Sea Region (p. 44). Oxford University Press.
- Sergey S. Zhiltsov, I. S. (2016). Oil and Gas Pipelines in the Black-Caspian Seas Region.
- SOCAR. (2018). Azerbaijan`s oil and gas production.
- Tonchev, P. (n.d.). Energy Politics and Security In the Black Sea-Caspian Region. Center for Japanese and Asian Studies, ELIAMEP.
- Tsereteli, M. (2008). Economic and Energy Security: Connecting Europe and the Black Sea-Caspian Region. Singapore: Central Asia-Caucasus Institute and Silk Road Studies Program.
- Weitz, R. (2020). China and the Black Sea Region: A Bridge Too Far? Middle East Institute.
- Winrow, G. (2007). Geopolitics and Energy Security in the Wider Black Sea Region. Southeast European and Black Sea Studies, 217-235.

შენიშვნები
NOTES

შენიშვნები
NOTES

შენიშვნები
NOTES

შენიშვნები
NOTES

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA
ISBN 978-9941-8-3696-1